# ლიტერატურული საქართველო

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

18 ოქტომბერი, 2013 წ. | №66 (3676) | გამოცემის 77-ე წელი | ფასი 1 ლარი


თამაზ წივწივაძე

## რეზო მიშველაძის ხვალი ტომეულები, ანუ ხვალი პრუწუნ-პრუწუნები!

**ძვირფასო მკითხველო!**

დავიწყოთ იქიდან, რომ გენიალური გალაკტიონი რეზო მიშველაძის დარ პროზაიკოსებზე ზუსტად ასეთი აზრისა ბრძანდებოდა! –

**ჩვენს გაჭირვებულ პროზას**
**თუ გამოვაკლებთ „ოზას“**
**და მივუმატებთ „უწუნს“ –**
**მივიღებთ პრუწუნ-პრუწუნს!**

არადა, როგორც საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, ამ დღეებში მკითხველი საზოგადოება მართლაც მიიღებს რეზო მიშველაძის 25-ტომეულს, ანუ ამავე ავტორის მიერ 25 წიგნში ჩატენილ, როგორც გალაკტიონი იტყოდა, ახალთახალ პრუწუნ-პრუწუნებს!..

* * *

ოღონდ ეს იქნება ხვალ!

დღეს კი ხელთ გვაქვს ამავე ავტორის წერილი: „ამაზრზენი თამაზ წივწივაძე. შტრიხები პორტრეტისათვის...“

ძვირფასო მკითხველო, ეს იმდენად ბინძური წერილია, რომ მის ავტორს სიტყვიერი პასუხი კი არ უნდა გასცე, არამედ, სადაც გადაეყრები, კარგად უნდა გაასილაქო!

რასაკვირველია, ლიტერატურულად!

მაგრამ, სამწუხაროდ, ახლა ისე ვარ საქმით გადატვირთული, ვინმესთვის თავში ხელების საბრაგუნოდ კი არა, საკუთარი თავის მოსაფხანადაც არ მცალია!..

ეს კია, ამასთან დაკავშირებით ჩემი ერთი ადრინდელი მონათხრობი უნდა გაგახსენოთ!

შეიძლება, ზოგს გაგიგიათ კიდეც – კარგი ქუთაისელი და კარგი დამრტყმელი ჟორჟიკა იაშვილი!

ჰოდა, ერთხელაც ამ სახელოვან ვაჟკაცს შუაგულ ქეიფში ერთი ახვარი მიადგა და უთხრა: გინდა თუ არა, გარეთ გავიდეთ და ერთმანეთს დავარტყათო!

და, როგორ გგონიათ, რა უპასუხა ჟორჟიკა იაშვილმა?

– მეტი საქმე არა მაქვს ახლა, ამ საცივსა და ღომს მივატოვებ, უარს ვიტყვი ამ გადაზელილ ყველზე და ბაჟეზე, ამ თბილ ოთახს დავტოვებ და გარეთ, ამ სიცივესა და ყინვაში, შენ გიბრაგუნებ თავშიო!..

მეც ამ ჭკვიანი კაცივით უნდა ვუპასუხო ბატონ მიშველაძეს! –

რეზოია შტერო! მეტი საქმე არა მაქვს ახლა, ახლად აღდგენილი „ლიტერატურული საქართველოს“ გამოცემა მივატოვო, საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის პოსტი მივატოვო, ამავე აკადემიის მრჩეველთა საბჭოს სათათბირო მივატოვო, გელათის აკადემიის ნამდვილი წევრობა მივატოვო და შენ გიბრაგუნო მაგ ლაყე თავში!

ასეთი სულელი გგონივარ მე შენ?!

თუმცა კი, ბატონო, დავუშვათ და, ცოტა დრო მაინც გამოვნახე და მართლაც ასე მოვიქეცი, მერედა, სამსახურში რომ მიკითხონ: წივწივაძე სადაა, მდივანმა რა უპასუხოს – ახლა სადღაც აქვე მიშველაძეს უბრაგუნებს თავში და, თუ დაიცდით, მალე მოვაო?!

ეჰ, შენს ჭკუაზე იარა ჩემმა მტერმა და დამაწყევარმა, რეზოია შტერო!..

* * *

**ძვირფასო მკითხველო!**

გულწრფელად ვამბობ, დრო რომ მქონდეს, მართლაც გულით მინდა, ამ მეორადი მოხმარების ვითომმწერლისა და სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმის ლიტერატურული „მომყოლის“ რეზო მიშველაძის ახალ ტომეულებზე, ანუ, როგორც გალაკტიონი იტყოდა, ახალ პრუწუნ-პრუწუნებზე გულიანად გაცინოთ, მაგრამ ამ კაცმა ჯერ ჭკუა უნდა ისწავლოს და ტოლი ნახოს!

აბა, მე რომ მეტოლება, სიმაღლეში ჩემი სხეულის სველ წერტილებამდე ხომ მაინც უნდა მწვდებოდეს?!

ეგ კი არა, მე იმაზედაც მწყდება გული, კარგი მწერალი, ჯემალ დავლიანიძე დროს რომ აცდენს და მიშველაძის ბინძურ „შემოქმედებაზეა“ მიჩენილი – ეს აფერისტი და შარლატანი კაცი მკითხველის თვალწინ კუდის რიკამდე რომ გააშიშვლოს!..

**P.S.**

და კიდევ, ძვირფასო მკითხველო!

დღეს, ამ საყოველთაო გაჭირვების ჟამს, ხელმომწერი ნებაყოფილებით (ხაზს ვუსვამ – ნებაყოფილებით!) ხელშეკრულებას რომ გააფორმებს რეზო მიშველაძის 25 ტომზე, ანუ, როგორც გალაკტიონი იტყოდა, რეზო მიშველაძის ახალ პრუწუნ-პრუწუნებზე, იმ კაცის ოჯახში ექსკურსია არ უნდა მოაწყო და არ უნდა გაარკვიო – ამ სახლის ადგილობრივი ბინადრები ნორმალურები არიან თუ არა?!

ბოლოს და ბოლოს, ადამიანის სისულელესაც ხომ აქვს საზღვარი?!

# საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია

„მწერალთა კავშირიდან თოთხმეტი მწერალი გადმოვიბირე, თოთხმეტთა კავშირს „მწერალთა აკადემია“ ვუწოდე და სწორედ თოთხმეტთა ორგანო იქნება „ლიტერატურული საქართველოო“ – მწერალთა აკადემიის პრეზიდენტს „ათქმევინებს“ თავის „უკვდავ“ წერილში „კლასიკოსი“ რეზო მიშველაძე. „ლიტერატურული საქართველო“ ვისი და რამდენი მწერლისაა, აღდგენილმა გაზეთმა უკვე თვალნათლივ დაანახვა თავის მკითხველს, ახლა კი იმ „თოთხმეტის“ გვარებს გთავაზობთ, მარტივი არითმეტიკის უცოდინარმა მიშველაძემ თითებზე რომ გადაითვალა...

**საქართველოს მწერალთა ეროვნულმა აკადემიამ ორგანიზაციის საპატიო წევრებად მოიწვია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები. შეთავაზება პატივით იქნა მიღებული და თანამშრომლობაზე დაგვთანხმდა აკადემიკოსთა დიდი ჯგუფი:**

1. მწერალი-აკადემიკოსი ჭაბუა ამირეჯიბი
2. აკადემიკოსი ავთანდილ არაბული
3. მწერალი-აკადემიკოსი ბაჩანა ბრეგვაძე
4. აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე
5. აკადემიკოსი რისმაგ გორდეზიანი
6. აკადემიკოსი გუჩა კვარაცხელია
7. აკადემიკოსი ჯუმბერ ლომინაძე
8. აკადემიკოსი როინ მეტრეველი
9. აკადემიკოსი მერაბ მერაბიშვილი
10. აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი
11. აკადემიკოსი აპოლონ სილაგაძე
12. აკადემიკოსი ელგუჯა ხინთიბიძე
13. აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე
14. აკადემიკოსი ოთარ ჯაფარიძე

**საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია აქვეყნებს საქართველოს მწერალთა კავშირის იმ წევრთა სიას, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს მწერალთა ეროვნულ აკადემიაში გაწევრიანებაზე (თანხმობა დადასტურებულია ხელმოწერებით):**

15. აბულაშვილი თემურ
16. ავალიშვილი მანანა
17. ამაშუკელი რეზო
18. ამირხანაშვილი ვანო
19. ალბუთაშვილი ცოტნე
20. ამყოლაძე თემურ
21. ანთაძე თამაზ
22. არაბული კობა
23. არველაძე სიმონ
24. ართილაყვა რეზო
25. ახვლედიანი ელზა
26. ახობაძე ნანი
27. ბადიდი ბაგრატ (ბაგრატ გელანტია)
28. ბათიაშვილი გურამ
29. ბარათაშვილი ლინა
30. ბარამიძე ილია
31. ბასლანიძე აზა
32. ბატიაშვილი ნელი
33. ბაქრაძე ეკა
34. ბაქრაძე ნოდარ
35. ბედოშვილი ლია
36. ბედუკაძე ანდრო
37. ბეზარაშვილი ნინო
38. ბენაშვილი გურამ
39. ბერაია გივი
40. ბესელია ბორის
41. ბოსტაშვილი ვასილ
42. ბრეგვაძე-კახიანი ლალი
43. ბუბუტეიშვილი რონა
44. ბუთხუზი გივი
45. ბუკია ციცინო
46. ბულისკერია მანონ
47. გაბელაია ალეკო
48. გაბროშვილი თამარ
49. გაბუნია დავით
50. გასვიანი აკაკი
51. გეგეშიძე გურამ
52. გვასალია თეა
53. გვასალია ლაშა
54. გვენეტაძე ლია
55. გვერდწითელი გურამ
56. გიგაშვილი ვაჟა
57. გოგნაძე გივი
58. გოგნიაშვილი გერონტი
59. გოგოლაშვილი გიორგი
60. გოდერძიშვილი თამაზ
61. გრიგალაშვილი ნოდარ
62. გრიგოლაშვილი დურმიშხან
63. გუგუციძე ალი
64. გულორდავა ნუგზარ
65. დადიანი ინდა
66. დავითაია ბორის
67. დავლიანიძე ჯემალ
68. დანელია ბათუ
69. დარბუაშვილი შოთა
70. დარსაველიძე ნელი
71. დაუშვილი აკაკი
72. დობორჯგინიძე ჯემალ
73. დორეული ლექსო
74. ებანოიძე ზაალ
75. ენუქიძე ზაზა
76. ერისთავი ანა
77. ერისთავი თამარ
78. ვაშაგაშვილი ჟუჟუნა
79. ვაშაკიძე-გვენეტაძე ლია
80. ვეკუა ჯენეტი
81. ზარნაძე გიზო
82. ზოიძე შოთა
83. თავაძე გიზო
84. თავბერიძე ელგუჯა
85. თანდილავა იაშა
86. თოდუა მაგალი
87. თორია ზურაბ
88. ივარდავა დილარ
89. კალანდია გენო
90. კალანდია ზაურ
91. კალანდია რენე
92. კახაბერი გიორგი
93. კახაბერი დავით
94. კახაძე ლადო
95. კახიძე მედეა
96. კენჭოშვილი ნიკო
97. კეჭაღმაძე გიორგი
98. კვანტალიანი შარლოტა
99. კვაჭანტირაძე გიორგი
100. კვაჭანტირაძე თამაზ
101. კვეკვესკირი ინდიკო
102. კვერენჩხილაძე რევაზ
103. კობერიძე კარლო
104. კობერიძე ნოდარ
105. კობერიძე ნუგზარ
106. კობიაშვილი გულო
107. კუდბა ანზორ
108. ლებანიძე ელგუჯა
109. ლობჟანიძე დიმიტრი
110. ლომიძე თამარ
111. მალაზონია ლევან
112. მამა ილია (ჩიკვაიძე ნუგზარ)
113. მამარდაშვილი ნათელა
114. მამულაშვილი ზურაბ
115. მამფორია ნინო
116. მარღია ელგუჯა
117. მასხულია ლანდა
118. მაშოვი მირზა
119. მაცაბერიძე ბონდო
120. მეგრელიშვილი ავთანდილ
121. მედულაშვილი ზეზვა
122. მესხი რობერტ
123. მეტრეველი გიორგი
124. მეტრეველი თამაზ
125. მეხრიშვილი ჯემალ
126. მიროტაძე ვაჟა
127. მიქაუტაძე ამირან
128. მიქელაძე მანანა
129. მოლაშხია ზაურ
130. მოსაშვილი ვალერიან
131. მრევლიშვილი ზაზა
132. მჭედლიშვილი ლილი
133. ნადარაია ფაუსტ
134. ნამორაძე ალექსი
135. ნაჭყებია რევაზ
136. ოტობაია გური
137. პაპიაშვილი თამარ
138. პაჭკორია თამაზ
139. ჟიჟილაშვილი ნოდარ
140. ჟორდანია ხათუნა
141. რაინაული ფარნაოზ
142. რცხილაძე ვიქტორ
143. საბაშვილი შალვა
144. საჯაია სერგი
145. სვანიძე თენგიზ
146. სივსივაძე ბეჟან
147. სიყმაშვილი თინათინ
148. სიხარულიძე გივი
149. სომხიშვილი გივი
150. ტაბიძე ნოდარ
151. ტოგონიძე გუგული
152. ტოგონიძე შოთა
153. ფანჩვიძე ლევან
154. ფირცხალაიშვილი ზურაბ
155. ფიფია დარეჯან
156. ფხოველი ჯარჯი
157. ქადაგიძე ნუნუ
158. ქავთარაძე შოთა
159. ქარდავა ნანა
160. ქაჯაია ეკა
161. ქებურია გიორგი
162. ქოიავა ჭაბუკი
163. ქორიძე თემურ
164. ქუთათელაძე ნინო
165. ღვინეფაძე ნანა
166. ყაჭეიშვილი იუზა
167. შავლაძე თემურ
168. შაიშმელაშვილი თამარ
169. შალაშვილი ცირა
170. შანიძე ნოდარ
171. შერაზადიშვილი უჩა
172. შოთაშვილი გულნარა
173. შონია ჯემალ
174. ჩადუნელი თამაზ
175. ჩიტიშვილი მანანა
176. ჩორდელი ვაჟა
177. ჩხაიძე ავთანდილ
178. ჩხაიძე თენგიზ
179. ჩხიკვაძე ვანო
180. ჩხიკვიშვილი ნინო
181. ცერცვაძე თემურ
182. ცეცხლაძე მამუკა
183. ციგროშვილი ირაკლი
184. ძამუკაშვილი ნუნუ
185. წაქაძე ზაურ
186. წერეთელი ნუგზარ
187. წივწივაძე თამაზ
188. წითელაშვილი ნანა
189. ჭავჭავაძე ლია
190. ჭანტურია მურად
191. ჭარბაძე ნატო
192. ჭეიშვილი გონერი
193. ჭეიშვილი რეზო
194. ჭელიძე ჯემალ
195. ჭილაშვილი ქეთევან
196. ჭოლოკავა-ძიძიგური მურად
197. ჭუმბურიძე დოდო
198. ჭუმბურიძე ზურაბ
199. ხავთასი ტარიელ
200. ხარაიშვილი ავთანდილ
201. ხარანაული ბესიკ
202. ხარანაული გოჩა
203. ხარჩილავა ვახტანგ
204. ხაჯიშვილი ჟუჟუნა
205. ხელაია ნაზი
206. ხერგიანი მირონ
207. ხიმშიაშვილი დოდო
208. ხმალაძე თამაზ
209. ხმალაძე მარინა
210. ხოდაშნელი შოთა
211. ხუნდაძე ნოდარ
212. ჯავახიშვილი თამარ
213. ჯაფარაშვილი ლალი
214. ჯაფარიძე სიმონ
215. ჯაყელი ჯემალ
216. ჯაჭვაძე თამარ
217. ჯახუა გივი
218. ჯინჭარაძე ვალერი
219. ჯინჯოლია აპოლონ
220. ჯიქია შუკო
221. ჯიჯეიშვილი მაია
222. ჯულუხიძე ციცინო

*(გაგრძელება იქნება)*

# როგორი არ უნდა იყოს აღამიანი
## (ციკლიდან – ომი ბნელეთთან)

ჯემალ დავლიანიძე

მიშველაძე მუშტს იბრაგუნებს იმ მკერდზე, რომელზედაც მუდამ რუსეთის და საბჭოთა კავშირის სიყვარულის თილისმა ეკიდა! მერედა რა, რომ წარსულს ივიწყებს ეს პირდორბლიანი კომუნისტი, პროლეტარი და სოცრეალისტი? მერედა რა, რომ ჟურნალისტ რცხილაძეს მახსოვრობაში აღარ შემორჩენია, – ვინ არის მის წინ მჯდომი მიშველაძე?

ნახეთ, ამავე ინტერვიუში რას გაიძახის რევაზი:

„საქართველოს დღევანდელობაზე გამოსაცემად მზადა მაქვს ასი ახალი ნოველა. უნდა ვისესხო ორი ათასი ლარი, რომ გამოვცე ნიგნი (უსაზღვროდ ცრუობს!-ჯ.დ.“, თუნდაც, ათას ცალად. არ ვიცი, ვალის გადახდას შევძლებ თუ არა (ცრუობს – იგი ძვირფასი „მერსედეს“-ით დაჰქრის!-ჯ.დ.). მწერალიც ისე უნდა ეწამებოდეს, როგორც მისი ერი ეწამება. მე უფლება არა მაქვს ჩემს თანამემამულეებზე უკეთ ვიცხოვრო“. და მაინც, ათასჯერ უკეთ ცხოვრობს! განცხრომაშია და, სინამდვილეში, თავის თავის გარდა, ყველა და ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია!

ინტერვიუს დასასრულს ჟურნალისტი ზურაბ რცხილაძე „ამწყალობებს“ თავის უსაყვარლეს და „ტანჯულ-წამებულ“ მწერალს, – მიშველაძეს:

„ღმერთი გიშველით, ბატონო რევაზ, ოქროპირი ბრძანდებით და რაკი ერთი შემოგიტყუეთ „ასავალ-დასავალში“, იმედი მაქვს, ხშირად გვესტუმრებით ხოლმე ჩვენი მკითხველისა და ჩვენდა გასახარად“.

წინ, ვეჟო, წინ წავდგეთ. აქ უკვე ჟურნალისტი ირაკლი თოდუაა, გაზეთი კი ისევ და ისევ „ასავალ-დასავალია“ (42, 1997 წ.):

„მიშველაძის ნოველების ახალი კრებული გამოიცა – „ასი ახალი ნოველა“. მატიანეს უფრო დაარქმევ ამ გამოცემას კაცი. მწერლის ბასრი კალამი ვნებიანი დონ ჟუანივით აშიშვლებს ათასგვარი გველაძუობით შენიღბულ სიმანდვილეს. გადავწყვიტე შევხვედროდი მწერალ რევაზ მიშველაძეს. მასპინძლის მაგიდაზე ბლომად ქაღალდები და ორი სირჩა კონიაკი დგას“.

შემდგომ, ირაკლი თოდუა თითქმის ეტრფიალება მიშველაძეს:

„ბატონო რევაზ, თქვენ კომუნისტების დროს ხელისუფლებას აკრიტიკებდით (ცრუობს ჟურნალისტი!-ჯ.დ.) არც ზვიადის პერიოდში გწყალობდათ სამთავრობო ფორტუნა, დღეს ხომ ხიჭვივით ესობით თვალში ამა ქვეყნის ძლიერთა“.

წმინდა წყლის სიცრუე და ჟურნალისტური დემაგოგიაა.

ინტერვიუს ბოლოში ირაკლი თოდუა უფრო ღრმად ბრუნავს სიცრუეთა მორევში:

„ოქროსფრად გაჩახჩახებულ ფილარმონიას ჩავუარე. დიდი აფიშა მსოფლიო თეატრალური ფესტივალის გახსნას გვაუწყებდა. ხალხი ჭიანჭველასავით შესეოდა ოთხივე შესასვლელს... ვერც ერთი (ხაზს ვუსვამ – ვერც ერთი!) მოქალაქის სახეზე ვერ შევნიშნე ის სევდა, რაც ბატონი რევაზის საუბარს ახლდა. სევდა დამარცხებული სამშობლოს ჭირისუფლისა. ლამის თვალცრემლიანი მოვშორდი ფილარმონიის პარმაღს. ყურში ჩამესმოდა მწერლის სიტყვები: „საეჭვო ზარ-ზეიმითაა გართული გუშინ დამარცხებული ქვეყანა... ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრა ხომ არის ეს?“

თითქმის თვალცრემლიან და გულაჩუყებულ ირაკლი თოდუას ამ წიგნში, მერე და მერე, რევაზ მიშველაძის ისეთი ოინბაზობები ელოდება, მართლაც (და არა „თითქმის“) იტირებს სულგამწარებული და ვიმედოვნებ – ინანებს, უფრო კი საკუთარ თავს გაუბრაზდება, ნახავს, ვინ არის და ვინ არა სამშობლოს ჭირისუფალი!

ჯერხნობით კი თვით მიშველაძეს მოუსმინოს:

„ბაქოში ოცდაექვსი კომისრის მემორიალთან, უქრობი ცეცხლი ანთია და კომუნართა კედელთან ყოველდღე მიაქვთ სისხლისფერი მიხაკები. მრისხანედ გამომხირალნი გვერდით-გვერდ დგანან კომისარნი და წამებული სახეებით აღმოსავლეთს გასცქერიან. იქვე, გრანიტის ფილაზე შრიალებს რევოლუციის ცეცხლი, ამ საუკუნის გარიჟრაჟზე სწორედ ამგვარ თავდადებულთა სულის ბერვით რომ გაჩაღდა... რას იფიქრებდნენ თვითმპყრობელობის დამქაშები მაშინ, რომ ისტორია ამ „ბუნტოვჩიკების“ სასარგებლოდ იმუშავებდა, რომ კასპიის ქვიშაში ჩაღვრილი მათი სისხლი რევოლუციის კოცონად აგიზგიზდებოდა და თავისუფლებისთვის მებრძოლ თაობათა უკვდავ მაგალითად იქცეოდა...“

ვეჟო, ირაკლი თოდუავ, ვიცი, – მეტყვი – ეს იყო გუშინო! არა, ბიძიკო, ეს იყო 1987 წელს და მერეც, 1997 წელსაც და მერეც, რევაზ მიშველაძე არაფერს შეუცვლია. მისი ხასიათი რომ ვიცი, იყვირებს (იქნებ შენც შეუბანო!) – ეს ტყუილია, მე არსად დამიწერიაო, ამიტომ, ბატონო ირაკლი, გითითებთ წიგნს, რომლის სათაურია „სიტყვა და საქმე“ (გამ. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1987 წ., რევაზ მიშველაძე, ქვესათაურია „რომანი რევოლუციის ჯარისკაცზე“, გვ. 324-325.). და გვერდსაც კი აღგინიშნავთ! იქნებ მითხრათ ბატონო ირაკლი, რომ მიშველაძე მაშინ სხვა იყო, ახლა სხვა არისო? არ გაგივათ! ვერც მეტყვით, რადგან – გუშინაც და დღესაც, ხვალაც, ზეგაც, მაზეგაც, ყველა ჭეშმარიტი ქართველისათვის ცნობილია, ვინ იყვნენ ბაქოს კომისრები! ქართველებმა ვიცით მე-11 არმიის შესახებ, რომელიც სწორედ ბაქოს მხრიდან შემოესია საქართველოს და კიდეც დაამხო ჩვენი დამოუკიდებლობა! რაო, რევაზ მიშველაძემ 1987 წელს არ იცოდა, ვინ იყვნენ კომისრები? იცოდა, მაგრამ იგი თავით ფეხამდე კომუნისტია. კომპარტიის ძუძუ ედო მუდამ პირში. იგი რუპორი იყო სოცრეალიზმისა და მუდამ იქ შეჩხირვას ცდილობდა, სადაც საკუთარი თავის გამოჩენა და გამორჩენა შეიძლებოდა!

**P.S.**

მეორე ათეული წელიწადია „ლიტერატურული საქართველო“ მიშველაძეს ამხელს, მაგრამ და ძირითადად, იშვიათი გამონაკლისის გარდა, საზოგადოების უდიდესი ნაწილი დუმს. წერილობით გამოხმაურებას უდაბნოს ძილქუში დასწოლია. ვიღაც-ვიღაცები, რაღა თქმა უნდა, მიშველაძის წყეულ ბანაკში მყოფნი, რედაქციაში რეკავენ, ვინაობას მალავენ. ზოგიერთი უბრალოდ ლანძღვით იცავს საკუთარ რჩეულს, ზოგი კი ლაჩრულად ვალს იხდის – გვეყოფა, გავიგეთ, ვინც არის მიშველაძეო.

საზოგადოების დიდი ნაწილი გულგრილობისა და ლუკმა-პურის შოვნის პროცესშია! თანაც, წარსულში საკუთარი კეთილგანწყობა მიშველაძისადმი გულ-გვამში ღრმად შესჩრია და იქიდან კარგა ხანი ვერ გამოიღებს: სხვათა შორის – არც სურვილი გააჩნიათ! მიზეზი ამ სულიერი ჰომოსექსუალიზმისა, ქვეცნობიერში აქვთ გამჯდარი! მიშველაძის მხილების მთავარი ადრესატები ხომ თვითონვე ბრძანდებიან, ოდესღაც ხომ აქებდნენ, მეგობრობდნენ, სჭირდებოდათ, იყენებდნენ, აქედან იქით ადგებოდნენ!

ჯერ მიშველაძეს ხმარობდნენ, იყენებდნენ!

მერე, მიშველაძე ხმარობდა და იყენებდა!

ვინმეს ხომ არ ჰგონია, მიშველაძეს მხოლოდ მორალური მხარდამჭერები ჰყავს. არა, ბატონებო! მიშველაძეს მის მიერვე აღზრდილ-გამობრძმედილი, უკვე ჩამოყალიბებული ტიპები ახვევია გარს!

აბა, შეხედეთ, ნაცმოძრაობის არა მხოლოდ გამოჩენილ წევრებს, არა მხოლოდ ე.წ. ცნობად სახეებს, არამედ უბრალო მომხრეებს – მათი საერთო შამქმნელ-მშობელი მიშველაძეა და ეს უკანასკნელი ისეთი უიშვიათესი ჰიბრიდია, ისეთი ჰერმაფროდიტული შერწყმაა – შიგნითვე ინაყოფიერებს თავს და უბნელესი საშვილოსნოც მენჯში ჩასჭედვია!

უნდა შევნიშნო, რომ ყველა უბედურებაში მიშველაძეს საზოგადოება ეხმარება!

თუ კარგად დააკვირდებით, ნაცმოძრაობა ზუსტი ასლია მიშველაძისა! სინდისი, ნამუსი, პატიოსნება, თავმოყვარეობა, ეროვნულობა, ოჯახიშვილობა, ღირსება მათში ძირფესვიანად ატროფირებულია, ამომშრალია. ერთს იტყვიან, მეორეს აკეთებენ! თავზე გაფურთხებენ, რა კარგი წვიმააო! გარყვნილობაზე, დანაშაულზე თუ წაასწრებენ მთლად ნიფხავჩახდილს, ურცხვად გეტყვის, – ეს მე არ ვარ, როგორ გეკადრებათო! ბევრი რომ არ გავაგრძელო – ყველაფრის მკადრებლები არიან და... ერთადერთ კითხვას – ადამიანებს განეკუთვნებიან თუ არა, ადვილად ვერ უპასუხებ, რადგან... წესით და რიგით, ადამიანი სულაც არ უნდა იყოს ასეთი! ადამიანები, არასოდეს არ უნდა დაემსგავსონ ამ დაწყევლილებს!

მიმიხვდით ალბათ, მიშველაძეებს რაღაც ბნელი ძალა უწყობს ხელს! ვიღაცას ძალუმად ესაჭიროება და საამისოდ აურაცხელი ფინანსური დახმარება მოედინება!

განა აშკარა არ გახლავთ, რას ემსახურება დღევანდელი ე.წ. ჟურნალისტური, „წამყვანი“ ამქარი? როგორ ფიქრობთ, – სად იყო მათი გამოსაყვან-გამომჩეკავი ინკუბატორი და ვინ ხელმძღვანელობდა? ვინ უკითხავდა ლექციებს? ვის ბაძავდნენ ჯერ კიდევ სტუდენტები და ვისგან სწავლობდნენ ცხოვრებისეულ ლაბირინთებში სრიალ-სისინს? ვინ ლანძღავდა და არცხვენდა დიდი ილიას ბრწყინვალე სამებას: „მამულს, ენას, სარწმუნოებას“?

ეს ყოველივე ხომ ჩვენს თვალწინ ხდებოდა და ხდება? მავანი თუ სიბეცის ანდა თვითდაბრმავების გამო ვერ ხედავდა, „ლიტერატურულმა საქართველომ“ ხომ დაიწყო მხილება?

ვისთან არის წილნაყარი დღევანდელ ჟურნალისტთა დიდი ნაწილი, რომელმაც საყველპურო ქართული არ იცის და ელემენტარული სინდის-ნამუსი ცხრა მთას იქით გადაუკარგავს?

ოთხმოცდაათიანი წლებიდან ვინ დაამშია საქართველო და ეს ოხრად დასარჩენი დემოკრატია, ევროამერიკიდან რაღა ნაცმოძრაობის დროს გამოგვიტყვრა? ვითომ, მანამდე, საერთოდ არ არსებობდა არც ჰენდერული თანასწორობა, არც სექსუალური უმცირესობები, არც პედერასტია, არც ჰომოსექსუალიზმი, არც საძულველი ენა, არც ადამიანთა უფლებები, არც ტოლერანტობა, არც საბაზრო ეკონომიკა, არც ე.წ. ფონდები და ათასი ჯანდაბა თუ დოზანა?

საზარელი სანახავი იყო ჟურნალისტთა ბატალიონთან ბატონი ბიძინა ივანიშვილის შეხვედრა! ამგვარი სურათის მომსწრე თვითონ ვარ, როცა ზვიად გამსახურდიამ დამოუკიდებლობა, თავისუფლება გამოაცხადა და ე.წ. ჟურნალისტთა კორპუსმა იგრძნო თუ არა, ამ კაცმა მართლაც გაგვათავისუფლა, ახლა, რასაც გვინდა იმას ვიზამთო, უცხოელთა წაქეზებით, დაფინანსებით და გვერდში დგომით, საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ მომართეს როგორც კალამი, ასევე იარაღი! სულ რაღაც ერთ წელიწადში, ხელი შეუწყვეს სამხედრო გადატრიალებას, დაამხეს მთავრობა, გააძევეს კანონიერი პრეზიდენტი, შემდგომ კი, სამშობლოში დაბრუნებული, ვერაგულად მოჰკლეს!

კითხვა შეიძლება უსასრულოდ:

სად ბრძანდებოდა მაშინ მსოფლიო დემოკრატია, ტოლერანტობა, ადამიანის უფლებების დაცვის ათასი ჯურის ორგანიზაცია, რომლებიც მხოლოდ ახლა ხმაურობენ?

ვინმეს ხომ არ ჰგონია, ქართველ ხალხს მახსოვრობა დაუჩლუნგდა, აღარაფერი ახსოვს? დღევანდელ პოლიტიკურ არენაზე მობორიალე მრავალი პიროვნება ხმამაღლა რომ გაჰკივის სამშობლოს ერთგულებაზე და მკერდზე მუშტს იბაგუნებს, რაო, მზის უსასრულო დაბნელებაა ჩვენს ქვეყანაში?

აქვე მსურს შევნიშნო, რომ ვინც ერთი სიტყვით მაინც გამოთქვა სინანული და აღიარა საკუთარი შეცდომა, ვინც საკუთარ თავს მოერია, ვინც ადამიანად დარჩა, მათთან არაფერი პრეტენზია არ გამაჩნია! პირიქით, – კიდეც ვმეგობრობ, მაგრამ... რა ვუყოთ გამოუსწორებელ და თავხედ მიშველაძეთა პარპაშს და სიმყრალედაცემულ პატრიოტობას?

დღეს დიდი აურზაურია ატეხილი ბატონი ბიძინა ივანიშვილის თანამდებობიდან წასვლა-არწასვლის თაობაზე! ვგონებ, რამდენიმე კაცის გარდა (არ ვიცი, ვინ არიან, მაგრამ რომ არსებობენ, ეჭვი არ მეპარება!). არავის ესმის ამ ადამიანისა! რაოდენ მძიმე ტვირთს შეეჭიდა და რაოდენ საშინელი ბნელეთი დაუპირისპირდა! ისეთი სახიფათოა ეს ძალა, ხმამაღლა მოლაპარაკეს ქუჩაშივე გესვრიან ტყვიას!

წინამდებარე წიგნს – „როგორი არ უნდა იყოს ადამიანი“, ასეთი ქვესათაური აქვს: „ციკლიდან – ომი ბნელეთთან“. როგორ ფიქრობთ, ეს მხოლოდ ჩემი აკვიატებაა თუ მართლაც ვიცი ამ დემონური წკვარამის შესახებ?

ვიცი, ბატონებო და ჩინებულადაც მომეხსენება, რადგან შარშან „საერთო გაზეთმა“, შეძლებისდაგვარად, გამოაქვეყნა ჩემი საკმაოდ ვრცელი, დოკუმენტური წიგნი, რომლის სათაურია: „მწარე გაკვეთილები – ევროამერიკა, რუსეთი და საქართველო“.

სწორედ ამავე გაზეთში, გაშლილ ორ გვერდზე, დაიბეჭდა ჩემი ღია წერილი ბატონი ბიძინა ივანიშვილისადმი (როგორც შემდგომ აღმოჩნდა!) პრესსამსახურმა არ მიუტანია. ეს მხოლოდ და მხოლოდ თვითონვე მოვახერხე, როცა რამდენიმე ჩემს მეგობართან ერთად ბატონ ბიძინას შევხვდი.

გაზეთი ხელთ მქონდა და საუბრის დასასრულს, მივუახლოვდი ბატონ ბიძინას, ვუჩვენე და ვკითხე: თუ წაიკითხეთ-მეთქი?

სინანულით მიპასუხა:

– სამწუხაროდ, არ მოუტანიათ ჩემამდეო!

გადავეცი გაზეთი, სადაც დაბეჭდილ ღია წერილს სათაურად ჰქონდა: „მწარე გაკვეთილები და ქართული ოცნება“.

მთლიანად წერილს ახლა ვერ მოვიტან, მაგრამ ძირითად შინაარსს გეტყვით: მომავალ პრემიერ-მინისტრს, ჯერ კიდევ არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, ვუთხარი, რომ იგი საქართველოს ასაღორძინებლად, ნაცმოძრაობის დასამარცხებლად, ვერაფრით ვერ ასცდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთა განვლილ გზა-ბილიკებს! რომ ეს გზა გადის წიწამურზე! რომ ეს გზა არის ეკალ-ბარდიანი და მკვლელი მუდამ ჩასაფრებულია! რომ ამ გზაზე საუკუნის დასაწყისში, როცა შვიდი წელი იყო გასული, მოჰკლეს დიდი ილია, ხოლო, როცა ამავე საუკუნეს აკლდა შვიდი წელი – მოჰკლეს ზვიადი!

არ ვიცი, წაიკითხა თუ არა ბატონმა ბიძინამ ჩემი ღია წერილი! არც ის ვიცი, წაკითხვის შემდგომ, რაიმე თუ გაითვალისწინა, მაგრამ ერთი რამ აშკარაა: მარადიულად უხილავმა ბნელმა ძალამ, ბატონ ბიძინა ივანიშვილს თავისი კოჰაბიტაციით, ზუსტად ისეთივე ომი გამოუცხადა, როგორც 1990-1991 წლებში ეროვნულ ხელისუფლებას. სცენარი იგივეა, მონაწილეები კი, ვინ ძველი და ვინ ახალი!

და, ბატონ ბიძინას ვგონებ არ უმტყუნა ალღომ, – მან იპოვა ერთადერთი გამოსავალი და მთელი მსოფლიოს გასაგონად განაცხადა:

– მე ჩემი საქმე გავაკეთე, სააკაშვილი მოვაშორე ხელისუფლებას, ახლა კი თანამდებობიდან მივდივარო!

სხვა გზა და სხვა ხსნა, – როგორც ამას დიდი ქართველი პოეტი მურმან ლებანიძე იტყოდა, არც გააჩნდა და... არც ჩანდა!

და ბოლოს, ამ სათქმელით თემა არ სრულდება! საამისოდ წიგნი მაქვს დაწერილი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ – „მწარე გაკვეთილები – ევროამერიკა, რუსეთი და საქართველო“.

ერთს კი ვიტყვი – 2012 წლის მარტის შეხვედრისას, ბატონი ბიძინა (რომელსაც გვერდით მხოლოდ ირაკლი ალასანია უჯდა!) ნაძალადევში, ჩემი დედ-მამის ძველ კარ-მიდამოში დავპატიჟე, ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეზე. დამპირდა – ძალიან მინდა გესტუმროო, მაგრამ... როგორც ჩანს, მერე ის მოხდა, რაც მარადიულ ბნელეთში ჩვეულებრივი და სამწუხარო მოვლენაა!

**მინაწერის მინაწერი:**

სამწუხაროდ, ბიძინა ივანიშვილთან, 2013 წლის 17 ოქტომბრის შეხვედრაზე არ მიიპატიჟეს საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი ბატონი თამაზ წივწივაძე.

რატომ, ბატონებო? ნუთუ დიდი ხანია, რაც ქართველ მწერალთა აზრი და სამშობლოსადმი სამსახური ზედმეტია ქვეყნისთვის?

ქართული მწერლობა ხომ ისტორიულად მუდამ ჩვენი სამშობლოს სულიერი და ფიზიკური გადარჩენისთვის იღვწოდა და იბრძოდა?

რა დროება დაგვიდგა ისეთი, რომ მხოლოდ პოლიტიკოსობა შეიქმნა ე.წ. წამყვანი ძალა ერის და ბერის სამსახურში?

2003 წლიდან, სააკაშვილმა და მისმა ქართველთმოძულე ხელისუფლებამ, ვისი მითითებით სცადა ეროვნულ ფასეულობათა დაცვის სამსახურში მარად მოწინავე მწერლობის განადგურება და ე.წ. გლობალისტ შემოქმედთა წარმოჩენა?

რა ფარული ლოზუნგია „წინ — ზნედაცემულობისკენ“?

ვინ არის მწერლების გამომრჩევი, ჩრდილს შეფარებული მეთვალყურე-მრჩეველი, რომელიც მხოლოდ კომუნისტურ ეპოქაში „სახელგანთქმულ ცოცხალ კლასიკოსებს“ და გარყვნილების მოქადაგე პიროვნებებს აქებს და ადიდებს?

როდემდე?

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

▶▶ *გაგრძელება. დასაწყისი „ლს“ 52–65*

# შევიცნოთ მტრები ჩვენი

ზურაბ ცუცქირიძე

ერძო კაცისა თუ სახელმწიფოს წარმატება და კეთილდღეობა იმაზეა დამოკიდებული, რამდენად დროულად და სწორად გამოიცნობს იგი მტერ-მოყვარეს, მერე კი იმასაც შეძლებს, მტერს მტრულად დახვდეს და მოყვარეს მოყვრულად. საუკუნეთა ქარტეხილებში ბევრი სახელმწიფო აღიგავა პირისაგან მინისა, მათ შორის ისეთნიც, ძალითა და ენერგიით სამაგალითოდ რომ მიაჩნდათ მაშინ. მტერ-მოყვარე ვერ გამოიცნეს დროზე და ამიტომ მიიბარა ისტორიულმა მეხსიერებამ ისინი.

არსებობა თუ გვინდა, წინაპართა არც ის შეგონება უნდა დაგვავიწყდეს, რომ „მტერი, მოყვრულად მოსული, მტერზედაც უარესია“. უარესი იმიტომ არის, რომ, ვიდრე ამ „მოყვრულად მოსულში“ მის ნამდვილ სახეს დაინახავ, ამასობაში ის თავის შავბნელ საქმეს სანახევროდ მაინც გააკეთებს და მერე სდიე კუდში და იდაყვზე იკბინე თუ გინდა, წამხდარ საქმეს რაღას უშველი, ნეტავი.

ამას რომ ვამბობ, ვინმეს განათლება კი არ განმიზრახავს – ეს ყველაფერი აქამდეც იცოდით ყველამ, მაგრამ ზოგიერთ წარუვალ ჭეშმარიტებას, საჭიროებისდა მიხედვით ხშირ-ხშირად რომ შევახსენებდეთ ერთმანეთს, კარგი იქნებოდა.

სწორედ ამის საჭიროებაა დღეს ჩვენში, როცა მარცხნიდან და მარჯვნიდან ძლიერნი ამა სოფლისანი დღენიადაგ ჩაგვჩიჩინებენ კოჰაბიტაციის რეჟიმში იცხოვრეთო, ანუ ავსა ავი არ უწოდოთო. მაშინ კარგსა რა დავარქვაო, თუ იკითხე, შეგაჩვენებენ: შემწყნარებელი, ანუ ტოლერანტული(!) არა ხარო, „ევროპულ ღირებულებებს“ არ აღიარებ და შენს გამო ნატოში არ მიგვიღებენო. ასეთ „ცოდვას“ რომ აგკიდებენ, ავისა და კარგის გარჩევაზე ხელს აიღებ, აბა, რას იზამ!

სწორედ ახლა უნდა გავიხსენოთ ჩვენ და შევახსენოთ კოჰაბიტაციის ადეპტებს, რას ნიშნავს „მოყვარე“ და რას „მტერი“.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს დავიმოწმებ: „მოყვარე – ახლობელი, კეთილის მდომი, მოკეთე“; „მტერი – ვინმესთვის ავის მდომი, ავის მოქმედი, მოსისხლე“.

მინდა თვალებში შევხედო და ვკითხო კოჰაბიტაციონერებს: თქვე სახელმწიფო მოღვაწეებო, იმას გვირჩევთ, რომ კეთილის მდომს, მოკეთესა და ავის მოსურნეს, მოსისხლეს ერთნაირად მოვექცეთ? იქნებ, იმ ხალხთან გვირჩევთ მეგობრულ თანაცხოვრებას, რომლებსაც არაფერი დაუშავებიათ და მხოლოდ შეცდნენ? არა! დამნაშავეები რომ არიან, ამას თვითონ ჩვენი მთავარი კოჰაბიტაციონერიც აღიარებს, ოღონდ გვირჩევს: დააშავეს, მაგრამ მაინც ჩვენები არიან, ქართველები და მტრად ნუ მივიჩნევთო.

არ არის ეს დარიგება მართებული და სასარგებლო. მტერ-მოყვარე გვარისა და წარმომავლობის მიხედვით კი არ უნდა განასხვავო, არამედ საქმითა და საქციელით. გერმანელი არტურ ლაისტი და ინგლისელი მარჯორი უორდროპი საქართველოს მეგობრები იყვნენ, ქართველი ყორღანაშვილი კი მტერი და მტრულადაც მოექცა მას პატრიოტი ქართველი საჩინო ბარათაშვილი: ქარაფზე გადაჩეხა და ყვავ-ყორნებს მიუგდო საძიძგნად. ასე უნდა მოექცე მტერს, რა გვარისა და ჯიშისაც უნდა იყოს იგი.

ახლა იმათი „შეცდომები“ გავსინჯოთ, ვისთანაც „კოჰაბიტაციურ“ ჩახუტებას გვთხოვენ ოკეანისგაღმელი თუ აქაური უფროსები (ყველაფერს ვინ ჩამოთვლის, მე მხოლოდ ზოგიერთს გავიხსენებ!)...

მოვიდნენ თუ არა ხელისუფლებაში, დაიწყეს სამსახურებიდან ოცდაათ წელს გადაცილებული ადამიანების გამოყრა იმ მარტივი მიზეზით, რომ ისინი საბჭოთა კავშირში დაიბადნენ, ხოლო გადამწყვეტი უპირატესობა მიენიჭათ იმათ, ვინც 1991 წლის შემდეგ იყო დაბადებული. უცხოელმა „დამრიგებლებმა“ ურჩიეს, ალბათ, „ვარდების რევოლუციით“ მოყვანილ პოლიტიკურ ბოსებს, საბჭოურ მენტალიტეტს სხვაგვარად ვერ აღმოფხვრითო. შედეგად მივიღეთ ის, რომ ქვეყნის მართვის სადავეები უწვერულმა „უზნეო ბავშვებმა“ ჩაიგდეს ხელში და აგვიხდინეს ჩინური წყევლა: თქვენს ქვეყანას მართავდნენ უასაკონიო.

სხვათა შორის იმასაც ამბობენ, რომ „ვარდოსნების“, იმავე ნაცების ერთ მაღალჩინოსანს საჯაროდ უთქვამს: ორმოც წელს გადაცილებული ხეც არ მინდა ეზოშიო. ის მაღალჩინოსანი ერთხანს განათლების სისტემას ხელმძღვანელობდა და თავისი სურვილი თითქმის აისრულა: სკოლებიდან თუ უმაღლესი სასწავლებლებიდან დაიფრინეს გამოცდილი, აღიარებული, ცნობილი პროფესორ-მასწავლებლების უმრავლესობა. მათ ნაცვლად აუდიტორიებსა და კლასებში შეყარეს გოგო-ბიჭები. ვინც უცხოეთში ორკვირიანი ტრენინგები გაიარა, ინგლისური ენა და კომპიუტერის მოხმარება იცოდა (რაც ჩემმა შვიდი წლის შვილიშვილმაც კი იცის!), ოქსფორდისა თუ ფილადელფიის კურდამთავრებულებად წარმოგვიდგინეს და პროფესორებად დასვეს ქართულ უნივერსიტეტებში.

აი, ამნაირ ხალხს დაევალა რადიკალური რეფორმების გატარება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, იმ რეკომენდაციებისა და მითითებების მიხედვით, რასაც მათ ოკეანისგაღმელი პატრონები აწვდიდნენ. ჩვენი ქვეყნისთვის ფანტასტიკურად მაღალი ხელფასებითა და ბევრი სხვა პრივილეგიებით თავბრუდახვეულმა ლაწირაკებმა თავდავიწყებით დაიწყეს ეგრეთ წოდებული რეფორმების გატარება ეკონომიკაში, განათლებასა და კულტურაში. შედეგად მივიღეთ არა რეფორმირებული, არამედ დეფორმირებული ეკონომიკა, განათლება, კულტურა. დეფორმირებული-მეთქი, რომ ვთქვი, – გული გავიკეთე თითქოს, თორემ, ვინც ბრმა არ არის, კარგად ხედავს, რომ ჩვენი ეკონომიკა მიწასთან არის გასწორებული, კერძოდ, ტრადიციული სოფლის მეურნეობა – გაპარტახებული, განათლების სისტემა – საფუძვლიანად დანგრეული, კულტურა – ლამის ბოლომდე გადაგვარებული.

შეგნებულად ვარიდებ თავს იმის ახსნას თუ კონკრეტულად რას ნიშნავს მიწასთან გასწორებული ეკონომიკა, დანგრეული განათლების სისტემა, თითქმის ბოლომდე გადაგვარებული კულტურა, რათა ისეთი შავბნელი სურათი არ გამომივიდეს, რომ პესიმისტური ნიჰილიზმის განმტკიცებას შევუწყო ხელი.

რა ჰქვიათ იმათ, ვინც ყოველივე ამის შემოქმედია? შემცდარი მოყვრები? არა!

ვისაც ქვეყანა უყვარს და ჭკუა მოეკითხება, დღენიადაგ შეჰღაღადებდნენ ნაცების ხელისუფალთ, რომ არ შეიძლებოდა იმის გაკეთება, რასაც აკეთებდნენ, მაგრამ ვინ უსმენდა მათ? მაკეინი და ძმანი მისნი იყვნენ მათი პატრონებიც და მოძღვრებიც (სხვათა შორის, ერთმა ნაცმა მინისტრმა თავის სამსახურებრივ მანქანას სანომრე ნიშნები მოხსნა და მაკეინის გვარი მიაწერა. დაუშლიდა ვინმე თუ?). მათმა რეკომენდაციებმა ის შედეგი გამოიღო, როგორც ამერიკულმა სიმინდის თესლმა, რომელსაც ნახევარმეტრიანი 5-7 ტარო უნდა გამოეღო და შვიდი მარცვალიც ვერ მისცა მოტყუებულ ქართველ გლეხებს. ის, რაც ოჰაიოსა თუ არიზონას შტატში ვარგობს, საგარეჯოსა და აბაშაში ვერ იხეირებს, ვერა!

არ არის ეს ქვეყნის მტრობა?

გაპარტახებული ეკონომიკის მქონე ქვეყნიდან უცხოეთში რომ გააქციეს მილიონ-ნახევარი ქართველი, თემურ-ლენგსა და შაჰ-აბასს მეტი ბოროტება კი არ ჩაუდენიათ საქართველოს მიმართ.

მტერია ამის მქნელი, მტერი! რა გვარისა და წარმომავლობისაც უნდა იყოს, ის ჩვენიანი არ არის, ის ჩვენი მტერია!

რა კოჰაბიტაცია, რისი შენდობა! მტერი, ვიდრე იარაღს არ დაყრის და არ მოინანიებს, მანამდე თუ შეიწყალე, მაშინ შენ უნდა დაყარო იარაღი და კისერი მიუშვირო მის მოქნეულ ხმალს. ამას გვირჩევენ „ცივილიზებული“ და „ტოლერანტული“ დასავლელი „მეგობრები“? მაშინ თვითონ მოგვცენ ამის მაგალითი! ისეთი მაგალითი კი არა, ბელგრადი რომ დაბომბეს ამას წინათ, რატომ წითელ კოჭს არ უგორებთ კოსოვოელ სეპარატისტებსო, ან პატარა სირიას რომ ემუქრებიან დიდ-დიდი ნატოელები, იმას დაგმართებთ, რაც ლიბიას, ეგვიპტესა და ერაყს დავმართეთო.

იქნებ, ის არ არის მტრობა, ჩვენი სახელით და ვითომ ქვეყნისთვის თორმეტი მილიარდი სესხად რომ აიღეს და თავიანთ გაუმაძღარ სტომაქში გადაუძახეს, ვალის გადახდა კი ჩვენ და ჩვენს შვილებს აგვკიდეს.

ერთ მაგალითს გაგახსენებთ, სადაც კარგად ჩანს ამ „ჩვენი შემცდარი ძმების“ ზნეობრივი მრწამსი და უსინდისო ლოგიკა...

ნაცებმა ძალაუფლება ჩაიგდეს თუ არა ხელში, პირველ ყოვლისა, თავიანთ კეთილდღეობაზე ზრუნვა ხელფასების მომატებით დაიწყეს. საკითხი პარლამენტის სხდომაზე გაიტანეს და ხმის უმრავლესობით (ჰმ!) გადაწყვიტეს: პარლამენტის დეპუტატის ხელფასი ხუთასი (500!) ლარით გაზრდილიყო. კაი დაგემართოთ, მაგრამ ხალხზეც ხომ უნდა „ეზრუნათ“, ამიტომ იქვე ხელდახელ გადაწყვიტეს: პენსიები გაზრდილიყო ხუთი (5!) ლარით. როდესაც ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტმა მაშინდელი პარლამენტის ერთ ბობოლა დეპუტატს მორიდებით ჰკითხა: უხერხული ხომ არ არის, თქვენ თავს ხუთასი ლარით გაუზარდეთ ხელფასი, პენსიონერებს კი ხუთი ლარითო, იმ ბობოლას სირცხვილით ყურის ბიბილოები კი არ გაწითლებია და თავი კი არ ჩაუღუნავს, საქმეში სხვაზე მეტად ჩახედული კაცის სიამაყით აუხსნა: პარლამენტში მხოლოდ ორას ორმოცდაათი დეპუტატია, პენსიონერი კი ათეულობით ათასია და, იმდენი ფული სად არის, ყველასთვის გაგვეწვდინაო.

მიდი და შეედავე!

ეს კაცი და ძმანი მისნი არიან ჩვენი „შემცდარი მოყვრები?“ არა! ისინი ჩვენი მოყვრები არ არიან!

მშობლიური ქართული ენის აბუჩად აგდება და დაკნინება მტრობაა, აბა, რა ჯანდაბაა! მშობლიურ გრძნობას რომ თავი დავანებოთ, ქართული ენა საქართველოს სახელმწიფო ენაა და „მტერობა ენის არს მტრობა ქვეყნის“. ქვეყნის მტრობა კი, თუ ის შინაურის ჩადენილია, ღალატია და მოღალატეს უმძიმესი სასჯელი ელის ნებისმიერი ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ხოლო ზნეობრივი სასჯელი უფრო მძიმეა, თაობიდან თაობაზე გადადის. ყორღანაშვილებისა და ბერბიჭაშვილების შთამომავლებს ახლაც რცხვენიათ თავიანთი პაპის პაპის პაპის ღალატის გამო.

ინგლისური თუ არ იცი, წარმატებული ვერ იქნებიო, – ბრძანა ნაცების ერთმა ბოსმა და დაიწყო... ნებისმიერ სამსახურში კადრების შერჩევისას ინგლისურის ცოდნა უპირველეს მოთხოვნად იქცა. ქართული ენა იცი თუ არა, ამას არავინ კითხულობს. ქართული ტელეარხების ჟურნალისტებსაც კი აღარ სთხოვენ ქართულის ცოდნას, რაც კარგად ეტყობა მათ გადაცემებს.

ქართული ენის მცოდნენი და ქვეყნის მოყვრები სამსახურებიდან დაითხოვეს, ქართული ენის უცოდინარები და ქვეყნის მტრები კი გალაღდნენ..

ამის ჩამდენები არიან ჩვენი მოყვარე თანამოძმენი? არა! თავიანთი გულითა და შეგნებით ესენი არც ქართველები არიან. რა ქართველები არიან, როდესაც მათ იმ უდიდესი ქართველის ხსენება აკრძალეს, ვისაც ნახევარი მსოფლიო მოწიწებით ფეხზე უდგებოდა, ხოლო ქალაქის ცენტრში, ყარაჩოხელების უბანში ამერიკელი რეიგანის ძეგლი დაასკუპეს, ერთ-ერთ გამოსაჩენ მაგისტრალს კი აშშ-ის ოდიოზური პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის სახელი უწოდეს და მისი პორტრეტი ქუჩის თავში გამოფშკირეს.

რა ძმობა და მოყვრობა უნდა გვქონდეს ამ გაგებისა და მიზნების ადამიანებთან? ვისაც საქართველო უყვარს და სამშობლოდ მიაჩნია, ის ხალხი მტრად უნდა მიიჩნიოს და მტერს მტრულად მოექცეს, თუ არა და აღიაროს, „ბილწთა შევეკარ ზავითა“-ო.

ქვეყნის სათავეში მოქცეულმა ნაცებმა ისეთი ბოროტება ჩაიდინეს, რომელიც დღემდე ცნობილ ყოველგვარ გამცემლობასა და ღალატზე უარესია: ათასწლეულების განმავლობაში ჩვენი წინაპრების სისხლითა და ოფლით შენარჩუნებული, მათი ხორცითა და ძვლებით გაპოხიერებული მიწები უცხოელებს გაუცვალეს მწვანე დოლარებზე. „მშობლიურო ჩემო მიწავ, შენს საყვარელ სახელს ვფიცავ, გიცავდი და გიცავ მარად, გიცავდი და კვლავ დაგიცავ“, – ამ შეგნებითა და მრწამსით გაზრდილი კაცი მშობლიური მიწის გამყიდველს მტერზე უფრო მტრად მიიჩნევს, აბა, რას იზამს! არც მის დაუსჯელობას შეეგუება!

ამას წინათ ჩვენმა ნაწილობრივ ვაი-პარლამენტმა თავისი გადაწყვეტილებით დროებით შეაჩერა მიწის უცხოელებზე გაყიდვა. კი არ აკრძალა, ერთი წლით შეაჩერა! თითქოს ერთი წლის მერე ჩვენი მიწა-წყალი წამოიზრდება, იბარტყებს და გასაყიდიც ბევრი გვექნება. მშობლიური მიწა-წყლის გაყიდვის დროებითი შეჩერება (მორატორიუმი) ამიტომაც არის გაუგებარი ჯანსაღი გონებისთვის. სამაგიეროდ, ძალიან გასაგებია იმ არასამთავრობო ორგანიზაციების აღშფოთება და პროტესტი, რომლებიც ქართული მიწა-წყლის უცხოელებზე გაყიდვის დროებით შეჩერებას აღუშფოთებიათ.

ახლა მე ღვთისა და ხალხის წინაშე ყველა ჭეშმარიტ მამულიშვილს ვეკითხები: ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ჩვენი წინაპრების მიერ საუკუნეთა განმავლობაში გმირული ბრძოლით შენარჩუნებული და ჩვენამდე მოტანილი საცხოვრისის გადამთიელთათვის მიყიდვის მოწადინენი არიან, ან მათი დიდი თუ მცირე მხარდამჭერები საქართველოს პირწავარდნილი მტრები არ არიან? ისინი მშობლიური მიწა-წყლიდან ჩვენი შთამომავლობის ამოძირკვის მსურველნი არ არიან? დარწმუნებული ვარ, არიანო, – იტყვით.

რაგინდარა უცხოელმა „ექსპერტმა“, დემოკრატიის „ექსპორტიორმა“, „უფლებადამცველმა“, ევროპარლამენტარმა თუ ნატოელმა ოპრიჩნიკმა გვირჩიოს ან დაგვემუქროს (მაგათმა თავის ხეთქვამ, ცოტა მუქარა გაგვიგონია ჩვენი ისტორიის განმავლობაში თუ რა!) კიდეც, გინდათ თუ არა ამგვარი „თანამემამულენი“ მოყვრებად მიიჩნიეთ და მათთან იკოჰაბიტაციეთო, არ უნდა დავუჯეროთ! არ უნდა დავუჯეროთ იმიტომ, რომ ჩვენში ათადან-ბაბადან ცნობილია – „ავსა კარგად ვერვინ შეცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშობს“ (რუსთველი). ჰოდა, ჩვენი შთამომავლობის ამოძირკვის მოწადინის მიმართ შემწყნარებელი როგორ ვიქნებით!

ქართული სახელმწიფოებრიობისა და, კერძოდ, ქართველთა უკვე შეუნიღბავი მტრების, არასამთავრობო ორგანიზაციების ერთი ნაწილის შესახებ პირდაპირ ვიტყვი:

ბევრი ჩვენი თანამემამულე დარწმუნდა, რომ ამ ორგანიზაციებს „არასამთავრობო“ კი არ უნდა ერქვათ, არამედ ანტისახელმწიფოებრივი. ანტისახელმწიფოებრივი მოქმედება ჰქვია, აბა, რა ჰქვია იმას, როდესაც ეროვნულ ღირსებას, ზნეობას, ტრადიციებს ვინმე უზნეო და ტვინნაღრძობი ხელყოფს და ამგვარ ხელყოფას საზოგადოება პრინციპულ წინააღმდეგობას გაუწევს, არასამთავრობო ორგანიზაციები კი ერთ ვაი-უშველებელს ატეხენ ხოლმე – არიქა, ადამიანთა ერთი ჯგუფი იჩაგრებაო და მშველელად ოკეანისგაღმელ „ძიებსა“ და „მამიდებს“ უხმობენ.

►►

▶▶ ამგვარი „უფლებადამცველები“, „სამართალდამცველები“ და კიდევ ბევრი ისეთი რამის დამცველები, რომელსაც წესიერ საზოგადოებაში ვერც კი გაამხელ, უხვად ფინანსდებიან უცხოეთიდან. ამდენი სერიალებისგან თუ მთლად გამოსერიალებული არ არის კაცი, ხომ უნდა დაფიქრდეს, უცხოქვეყნელები რატომ უხდიან ფულს იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ჩვენი სახელმწიფოს ზნეობრივ და პოლიტიკურ (არას ვამბობ ეკონომიკურზე) საყრდენებს ანგრევენ. რომელი ჭკუათმყოფელი დაიჯერებს იმას, რომ ოკეანისგაღმელი კაპიტალისტები დღენიადაგ იმის ფიქრში არიან, ფოთსა თუ ხაშურში ვინმე კოჩიასა და გოგიას უფლებები არ დაირღვესო. საქმე მარტივად არის: ჩვენი მტრები ფულს უხდიან ჩვენსავე თანამემამულე დივერსანტებს საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ განხორციელებულ დივერსიაში.

დივერსანტი ქვეყნის მტერზე უფრო მტერია და, სადაც სამართალია, მათ ადგილზევე ანადგურებენ.

მე რომ დივერსანტებზე ვლაპარაკობ, ისინი იმ დივერსანტებს კი არ ჰგვანან, ხიდებსა და გვირაბებს რომ აფეთქებდნენ მოწინააღმდეგის ზურგში. არა! იმ დივერსანტებზე მოგახსენებთ, ჩვენი ხალხის ზნეობისა და ეროვნული ტრადიციების აფეთქება რომ უნდათ. უბედურებით ცნობილ ერთ-ერთ არასამთავრობო ინსტიტუტში აღზრდილმა ზნეობრივი დივერსანტების ერთმა ჯგუფმა ხელისუფლების ხელში ჩაგდებისთანავე განაცხადა: ჩვენი ხალხის მენტალიტეტი უნდა შევცვალოთო და მაშინვე მკვდრეთით აღადგინეს 20-იანი წლების მასონბოლშევიკთა მოწოდება „ძირს სირცხვილი!“ (Далой стыд!). მაშინ იყო სწორედ, ჩვენი ქვეყნის ვაიდაუიპრეზიდენტმა 13-14 წლის გოგო-ბიჭებს რომ მოუწოდა ბუჩქებში „გორაობისკენ“.

უზნეობის ზეობამ დაანგრია რომისა და ბიზანტიის იმპერიები და ჩვენნაირ პატარა ქვეყანას რას უზამს!

მტრების ხელშია მთავარი სამაუწყებლო საშუალებები – სატელევიზიო არხები. მათი დიდი უმრავლესობის მიზანია არა ხალხის ინფორმირებულობა-განათლება, არამედ ტვინების გამორეცხვა-დაბნელება. პოლიტიკური თოქ-შოუებია და... ნახეთ ერთი, ვის იწვევენ: ათ კაცში ორს თუ მოეკითხება ჭკუა, დანარჩენი რვა ან დეგენერატია, ან გასანთლული თოკით გასაკოჭავი. ამას წინათ ერთ არხზე პოლიტიკურ პრობლემებზე ჭკუის საკითხავად ისეთი „პოეტი“ ჰყავდათ მიწვეული, საზოგადოებრივი ტუალეტების კედლებზე მისაწერ „ლექსებს“ რომ წერს, მაგალითად, ასეთს: „მაშინ მომდის მუზები, როცა წაიკუზები“. ამის დამწერს უნდა სთხოვო, ძალიან მაინტერესებს თქვენი აზრი ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის შესახებო? მაშინ ან შენ ხარ გამოთაყვანებული, ან ჩვენი გამოთაყვანება განგიზრახავს.

ერთი სიტყვით, ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენი ქართული საზოგადოება აშკარად გაყოფილია ქვეყნის, ერის მოყვრებად და მტრებად. კიდევ უფრო სამწუხარო ის არის, რომ ამის საჯაროდ გამხელას კეთროვანივით ერიდებიან ჩვენში. „საქმე იმიტომ უფროა ცუდად, რომ ცუდად როა, არ იცის ბევრმა“ (მუხრან მაჭავარიანი).

მოყვრები და მტრები...

ეს რეალობა კიდევ უფრო გაცხადდა მას შემდეგ, როცა ოფიციალურად ითქვა ყველაზე მაღალი ტრიბუნიდან: ჩვენ რომ ახლა დამნაშავეების (მტრების!) დასჯა დავიწყოთ, ჩვენც წინა ხელისუფლებას დავემგვანებით, ამიტომ „სუფთა ფურცლიდან“ დავიწყოთ ცხოვრება, წარსულს შევეშვათ და მომავლისკენ გავიხედოთო.

გიყვარდეს მტერი შენიო, – ამის თქმა მხოლოდ სასულიერო პირს შეეფერება, რადგან არაამქვეყნიური სამყაროს ზნეობრიობას ქადაგებს იგი. მიწიერ სამყაროში კი მტრის შეყვარება ღალატია, რაც უმძიმესი სასჯელით ისჯება. „კაცი ცრუ და მოღალატე ხამს ლახვრითა დასაჭრელად“ (რუსთველი). ■

# AMIKUS PLATO...

გური ოტობაია

*ამდენი ხნის განმავლობაში ერთს მაინც რომ ესინანულა – უნებლიეთ წაბორძიკებულს, ძეცთომილს, გნებავთ – ქრისტეს ფეხის მკვნეტელ დამნაშავეს – აქ მათი გამოჭენებისგან თავს რამენაირად შევიკავებდი. და კიდევ – აქეთკენ მიბიძგა ბატონ თამაზ წივწივაძის ამასწინანდელმა სულისშემძვრელმა მამაკაცურმა წყევლამ ქართული სულიერების დამაქცევარი სააკაშვილის მიმართ; წყევლამ, რომელსაც ანალოგი მხოლოდ „მთვარის მოტაცებაში“ თუ ეძებნება, როცა მანუჩარ შერვაშიძე უფლის წინაშე დააჯურღმულებს ასულის გამბახებელ თარაშ ემხვარს და ყველაფერში ქუდბედი თეთრი რაინდი ველარაფრით გააღწევს აბობოქრებულ ენგურს... ექვსი ათეულით დამთავრდა ჩემი მიამიტური სულგრძელობანი, მართლმადიდებლური მიტევებანი ძაღლის კუდის გასწორების იმედით. ამიერიდან მორჩა, და ზუსტდა უმთავრესი ფასეულობანი ერის გადასარჩენად – ქვეყნიერებაც რიმ დაიქცეს, მართლმსაჯულება უნდა აღსრულდეს!* ***Amikus Plato, sed magis amica veritas*** *– პლატონი (ჩემი) მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება – უფრო დიდი მეგობარი (ლათ.).*

**საქართველოში** ლიტერატურულ-პოლიტიკური ცხოვრება ისეთ ფაზაშია შესული, თუ ოდნავ მაინც გვიღვივის სულში გადარჩენის ინსტინქტი, უნდა შევძლოთ პიროვნულ გულნამცეცობაზე ამაღლება, უნდა შევძლოთ ნებითი თუ უნებლიე მანკიერების აღიარება, უნდა დავადგეთ განწმენდის გზას, კათარზისსაც რომ ეძახიან, თორემ ვერაფრით გადავიგდებთ თავიდან კრამერის ბიზონების სინდრომს (კინოფილმი „დალოცეთ ბავშვები და ცხოველები“). რეზერვაციაში ხარ გამომწყდეული, გხოცავენ თოფიანი მოყვარულები დატუსაღებულებს, ხელფეხშეკრულებს. გათავისუფლებენ ამ შებოჭილობისგან ყმაწვილები, განიჭებენ თავისუფლებას და მაინც იმდენად შეზრდიხარ მონობას, არსად იჩქარი, არსად წაგესვლება, თვინიერად ცოხნი სიკვდილს. დაუსჯელობის სინდრომი ისე ნოყიერად, ისე გაფუებულად დასადგურდა საქართველოში თანდათან განურჩეველი ხდება კაცობრიული ფასეულობანი, რომელსაც მშვენიერ-ამაღლებულისკენ მიჰყავს საადამიანო. მწერლობა სადამსჯელო ორგანიზაცია არ არის. მისი იარაღი მხილებაა, ზნეობრივი სასამართლო და, თუ ახლა ამ კრიტერიუმებზეც უარს ვიტყვით, მორჩენილია სელინჯერისეული თამაში ჭვავის ყანაში, რომლის სასრულს უზნეობის უძირო უფსკრულია.

**ჩემთვის** გამაოგნებელი იყო ,,მწერლის გაზეთის“ ამასწინანდელი მოწინავე. არანაირი სინდისის ქენჯნა, არანაირი პასუხისმგებლობა საკუთარი უმოქმედობით თუ თანამზრახველობით დანაშაულებრივ ხელისუფლებასთან, რომელიც არათუ სამშობლოს ართმევს ჩვენს მომავალ თაობებს, არათუ გადახაზავს წინაპართა ათასწლოვან ძალისხმევას, არამედ სპობს მერმისს ჩვენსას, როგორც ასეთს, მომავლის მოპოვების სურვილსაც კი. ეს სოციალურ-ფსიქოლოგიური სიმსივნე არათუ სამხილია, დასტაქრის დანით არის მოსაკვეთი დღესვე, ახლავე, ამწუთას! თუკი კრამერის ბიზონების სინდრომით არ შევპყრობილვართ ტერფით თხემამდე.

**სამჯერ** ვიყავი მწერალთა კავშირის სოროში შემძვრალ ბუნაგში ახალი ცნობარისთვის. ვერავინ მოვიძიე იქ პარასკევ შუადღეს. მოგვიანებით გადავავლე თვალი ამას წინათ ბატონი რეზო კვერენჩხილაძის მორთმეულს და თმა ყალყზე დამიდგა, იმდენი უცხო გვარსახელი შემომეფეთა. მწერალთა კავშირს, როგორც ჩანს, ჟურნალისტთა ფედერაციიის ფუნქციაც უტვირთავს (რადგან ისიც მოისრა მავანთა გაუმაძღრობით) და ჩვენი კალმისმიერი ძმები ზედმიწევნით შემოუყვანია სამწერლობო არენაზე. ამასთან, მე ჩამაღიმილა ბევრი წევრის ასაკობრივმა სინორჩემ (მათი ხნოვანება 18-22 წლამდეა ცნობარში მითითებული დაბადების თარიღით), ხოლო, რადგანაც ამ უფლების მინიჭების შესახებ არაფერს მეტყველებს იგი, გადაუდებელ საქმედ მიმაჩნია, მოხდეს ქართული კაზმული სიტყვიერების პასპორტიზაცია: დასადგენია, რამდენი მეგობარი წავიდა ჩვენგან ამ უხანო წლებში; დასადგენია, ვინ არიან ეს ახლები და რა სულიერი ფასეულობის გამო შემოკედლებიან მწერლობის ამქარს; დასადგენია, რა მატერიალური ფასეულობანი გააჩნდა მწერალთა კავშირს 1990 წლამდე და სად, ვის გამგებლობაშია ახლა ეს ფასეულობანი – შენობები, ექსპონატები, წიგნები. დასადგენია, ამ ხნის განმავლობაში რა ფინანსური წყაროები შემოდინდა მწერალთა კავშირის მიმართულებით, – საბიუჯეტო, საქველმოქმედო – და რა კონკრეტულ საქმეებს მოხმარდა იგი პრემიების თუ სხვა ღონისძიებების სახით. აი, ამისთანა ძალისხმევის შემთხვევაში არაფრისდიდებით აღარ შესძახებს ჩვენი ცოცხალი კლასიკოსი ჩინებულ პროზაიკოსს, აფხაზეთის ტრაგედიაგამოვლილ გურამ ოდიშარიას – მშიშარა, ლაჩარი, კურდღელი ხარო. მსგავს შეფასებას რაფერით დაროშავდა კონიუნქტურის დიდოსტატი, როცა ჩემს ესეისტურ წერილებს დააფრიალებინებდა ხელქვეითებს სამინისტროში სვანეთის სამკვდრო-სასიცოცხლო გზით ლანჩებისამარა გამოღწეული მწერლის გასაოცარ რომანებზე. მაგრამ არ გამოადგა ფინანსური წყაროების მოსაპოვებლად ის რეცენზიები და თვით ფსევდო-თავმჯდომარის სამინისტროს კომისიაში ყოფნა. მსგავსი უგვანობის დამძრახებელი ერთხელ მაინც უნდა მდგარიყავი ბარიერთან, ერთხელ მაინც უნდა გასულიყავი მრავალათასიან მიტინგზე ალესილი ნიჩბების სივილში; არ გეხოხიალა უნიჭოდ შესრულებული სიმულაციით პარლამენტის იატაკზე; მუშტის მოქნევისას სახეზე კი არ უნდა აგეფარებინა ხელი, არამედ ჯიქურ შესკდომოდი მოწინააღმდეგეს, თუნდაც ასნილ აღმატებულს. მერედა, მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე არ უნდა ლაპარაკობდე მესვეურის პოზიციიდან, თითქოს 600 წევრის უბედობა და მუცლისგვრემა გაჭირდიდებდეს. ბოლო 8-9 წლის განმავლობაში სართულებიდან გადმოშვებული რომელი კოლეგა დაგიტირებია, ბემურაზო?! ან ლოგინში ჩაყინული რომელი თანამოკალმისათვის გინილადებია ჩვეული მაქინაციებით მოპოვებული ლუკმა?! დარჩენილხარ ცარიელ-ტარიელი, თითივით გალოკილი. ბუნებრივად დაიბადა გააზნაურებული მშვენიერი მიშველია-გვარის – მიშველაძის სარითმო სიტყვა – შიშველაძე. დიახ, შიშველია მიშველაძე, გაკოტრებული. მიშველაძემ საქართველოს მწერლებს წაართვა მწერალთა კავშირი, მაგრამ სანაცვლოდ მისმა მოგვარემ, წიგნიერმა და დიდებულმა მამულიშვილმა – წარმატებულმა ბიზნესმენმა ბატონმა **ვახტანგ მიშველიამ** მწერალთა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა „იბერიას“ დროებით სარგებლობაში უსასყიდლოდ გადასცა ფეშენებელური ოფისი ქალაქის ცენტრში, ხილიანზე. რაც შეეხება ბატონ თამაზ წივწივაძის ფენომენს, თითქოს მწერალი ნოველა-რომანებისა და ლექსების მჩორკნელია მხოლოდ, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, წესით, მოეხსენებოდეს უნდა თუ რა ადგილი უკავია ესთეტიკოსს სიტყვაკაზმულობაში. მხატვრული თხზულებანი არ დაუწერიათ არისტოტელეთ, ჰეგელებს, ასათიანებს, ბაქრაძეებს, ჩხეიძეთ, მაგრამ ესთეტიკური აზროვნება მიჰყავდათ წინ და მიჰყავთ კვლავაც, როგორც ლოცმანებს, როგორც ფასეულობათა კრიტერიუმების დამსაზღვრელებს. აქ რადგანაც ფასეულობებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ნეტარხსენებულ ირაკლი აბაშიძეს დავესესხები ერთ ტრივიალურ ფრაზას, ავტორს, რომ გადაუჩურჩულა ჩვეული უნისონით: ,,ხომ გიჩუქნია წიგნები? ჰოდა, ჭკვიანად იყავი, ძამა, თორემ წავიკითხავ, იცოდე!“ თამაზ წივწივაძე შეუძლებელია იყოს წმინდანი (როგორც ვინმე დღევანდელ საქართველოში), მაგრამ მას ვერ წაართმევ საქართველოს მომავლის სიყვარულს, მათგან განსხვავებით, რომელთაც ზეზეურად მოაშთეს ეს მომავალი თავიანთი კოლაბორაციონალიზმით – დანაშაულებრივი თანამშრომლობით ფაშისტურ ხელისუფლებასთან. თამაზ წივწივაძეს არ სჭირდება ვიეთთა ვექილობა, მაგრამ, ადამიანის გასაჭირის გულთან მიმტანი პიროვნება რომ არის, ამისი მოწმე მთელი ქართული მწერლობაა – 600 წევრი ცოცხალი კლასიკოსის ბუღალტერიით. აი, სულ მალე მოვუჭერთ ამ ექვსას ნაცარქექიას ხელებს და, ის ჭყინტი ყველი შრატს რომ გაიდენს ძალუმად და მუჭისხელად იქცევა, მერე შესაძლოა 14 ცერი არ გვეყოს საკბენად (ციფრი 14 ფრიად ნაყვარება ჩვენს 14-გზის ცოცხალ კლასიკოსს. 14 წევრი გვყოლია თურმე აკადემიელებს. ეს ციფრი, ალბათ, მასთან ასოცირდება იმ 14 სოცქვეყანასთან, რომელიც მისი შედევრებით გაბედნიერებულთა გრძედ-განედია. ვთარგმნით ახლა რომელიმესგან ქართულად, და დავტკბებით ჩვენც).

**37 კოლეგასთან** მაქვს ამ დღეებში გასარკვევი – სად არიან, ვისთან. 19-ს მარტო წუხელ ველაპარაკე და აქედან 14 აკადემიელების გვერდით დგას, თანაც ისე, „მწერალთა კავშირის რიგებიც“ არ მიუტოვებიათ, რომ მერე გოგიაშვილისეული არჩევნების ზერელობით კვლავაც კოჭლი ცხვარი არ მოექცეს ფარას სათავეში. დანარჩენი ხუთიდან პირველი ვერაფრით ელევა გალაკტიონისა და ტიციანის დაარსებული სასახლის მაგიურ ჟღერადობას. ფიქრობს, ორჭოფობს, როცა სამშობლოს გასაუბედურებლად დანთებული უჩინარი ხანძარი გიზგიზებს შიგნით. მეორე მიშველაძის ნაშეგირდალია და წივწივაძის თანაკურსელი; და, რადგანაც გაორებულ ვითრებაშია – ვერ განუსაზღვრავს, ვის მიემხროს, რომელს – საერთოდ ზურგის შექცევა განუზრახავს მწერლობის პრობლემებისგან. მესამე ქოლერიკია – არ მივალ აკადემიელებთან, რადგან ბიუჯეტიდან ბოძებული ის თანხა მთლად ათიოდე ხელფასიანი კაცის გასამრჯელოდ შემოგხარჯვიათ, ბედოვლათნო! გერჩივნათ, თქვენი წევრებისთვის გაგენაწილებინათ ის ფული, თუნდაც 25-25 ლარი, უფრო სახიერად წარმოჩინდებოდით მომავლის თვალში, ახლა კი კავშირელებისგან განსხვავდებით რამეთი? მათაც ხომ ტაციობით დააქციეს საქართველოს სინდის-ნამუსი მწერლობაო.

მეოთხე ლერწამდარია, თამაზი ჩემი მეგობარია, მაგრამ, ხომ იცი, გური, ჩემი დამოკიდებულება სააკაშვილთან, მისი ოსტატი ვარ. მერედა ამისთანა პიროვნება არ ღირსებია საქართველოს. მან პირწმინდად მოუგო ომი რუსეთს 2008-ის აგვისტოში. თვითონ 168 ჯარისკაცი დაკარგა, როცა რუსებს რამდენიმე ათასი დაეხოცათო. უსმინე ახლა ამისთანა მოიადებს! მაგრამ შედეგი?! შედეგზე არაფერს იტყვის ლამის მაკედონელი-მიშიკოს მასწავლებელი არისტოტელე ჩვენი, შუაგულ ქართლს ყანყრატომდე რომ მობჯენია რუსული ჩექმა ყელიან-ნალიანა; მეხუთე გონს მოგებულა, ვისაუბრებთ ილიაზე, საფრანგეთში მყოფ მის სახელმწიფოებრივად მოაზროვნე დისშვილზე, ჩვენკენ, აკადემიელებიკენ მოისწრაფვის იგი, ოთხამოღებით, ძმობილო!

**უცნაურ** იღბალზე ვარ გაჩენილი, ბატონო თამაზ, ოტობაიელია, ივანიჩ, ჩემი შუალა ძმა თენგო, კოლეგა ჩვენი, და აი, ამ გულმართალი ძმის პოტენციური დიპლომი არ ამაწაპნა თვალსა და ხელს შუა დავლიანიძისგან მოწონებულმა ცოცხალმა კლასიკოსმა ჩვენმა გასული საუკუნის მიწურულს?! ასე რომ, ამ XXI-შიც სოფლის კაცად დამირჩა მრავლად დამაშვრალი თენგულია. ივანიჩ, საქმე ის გახლავთ, რომ ლიმიტის ქაღალდით ჩამომაკითხა ერთხელ ჩემმა მოამაგე ძმამ დედაქალაქში. ხელიხელგადახვეული მივეშურებით უნივერსიტეტის II კორპუსისკენ. უცებ წინ რევაზ მიშველაძე არ აგვესვეტება აკადემიური მიხრა-მოხრით. მივიკითხმოვიკითხავთ ერთმანეთს. გაიგებს ჩვენს საზრუნავს და ხელად მეურვეობას ივალდებულებს „ხელმწიფის ტოლი“ კაცი?! მივენდობით. ჩვენი პრობლემა რუსულში გასაუბრებაა საყველპურო დონეზე. თენგო ჯარგამოვლილია, მდედრობით სქესს რამდენადმე განარჩევს საშუალოსა და მამრობითისგან, მაგრამ ისეთი ჯანდაბა-დოზანა დასადგურდება ჩვენს გარშემო, რომ აბაშური პანღური მოგვეკერება ავქსენტიევიჩის პროტეჟეებს გოლეთიანის ხალხისგან! ჰოდა, ივანიჩ, შენს სვეკურთხეულ კვახჭირშიაც გამოსადეგ ოყიან თოხს ულაყუნებს დღესაც ოტობაიის მიწას ის უდიპლომო თენგულია. აი, როგორ წართმევებზე მაქვს გართულებები ექვსი ათეული წელიწადია.

**აქ რას** ვაკეთებთ ახლა? გვესტუმრნენ ერთხელ მუხიანის დასახლებაზე, დუმბაძეზე, მერიელები ზაალ სამადაშვილის მეთაურობით. მიგდებული მოედნის გამწვანება განუზრახავთ. რას ერჩი, მონდომებულია

▶▶ *გაგრძელება მე–6 გვ.*

►► მე–5 გვერდიდან

ხალხი. ნერგები უცხოეთიდან ჩამოუტანიათ. ათასობით დოლარი დახარჯულა მათზე. ენდემური კაკლის ხე და ცაცხვი ვის გაახსენდებოდა?! ჩაიყარა კოლექტიურად ეს ნერგები, ასი თუ ას ოცი ძირი და მყისვე ადგილობრივი საზრუნავიც გამახსენდა – ძროხები, მოსახლეობის საქონელი, ოდესღაც დარგული ხეები კოჭებამდე რომ გაუძვალავთ.

– რაიმე ღობისმაგვარი შემოვავლოთ-მეთქი, – გამოვუწევ თითებით ყელს, – თორემ, გაისად მათი ნასახიც არ იქნება-მეთქი.

– მოსახლეობამ მიხედოსო, – ბრძანებს ზაალ ბატონი, არადა, იმ ნერგების საფასური, შევიტყობ მოგვიანებით, ტროასეულ გალავანს შემოავლებდა დესეტინა მიწის ნაკვეთს.

დავრგავთ. მოვრწყავთ. ვუქშევთ ყვავყორნებს, რქაჩანგალა საქონელს და ამძუვნებულ ძაღლებს, მაგრამ, მორიგ გაზაფხულზე კვირტს რომ გამოიტანენ ნერგები და ერთბაშად იფეთქებს მწვანე, წინ ვერაფერი დაუდგება დამშეულ ნახირს – ჩაუტარებენ მძიმე „გასხვლას“. ასე რომ, ახლა იმდენი საწკეპლე და საროზგე მასალა მოგროვილა დუმბაძეზე, ზაალ სამადაშვილის გორგალს კი არა, „ნაცმოელების“ კასტასაც ეყოფა არასამთავრობების ლეგიონთან ერთად არჩევნებიდან არჩევნებამდე.

**ივანიჩ,** განა შენ არ მეთაურობდი მწერალთა იმ დელეგაციას, რომელმაც სამგზის თუ ოთხგზის ერთობ სოლიდური მოსაკითხი ჩაუტანა ჩემს ოტობაიელებს ნანინანატრ წიგნებთან ერთად, ენგურისპირა ჩატეხილ ხიდთან?! განა მათთან არ ინებე პილა სექანიას ოჯახის დაჯაჭვული მსხლის ორნახადი არაყი და სოტკილავების ძირძველი სოფლის განაპირას განა შენც არ შეუხმატკბილდი საქართველოს პირველი ლედის ნაყვარება მეგრულ საგალობლებს? ჩურჩულს გადაჩვეული მიშველაძეც სუფევდა იქ, ოჯახებიდან მეორედ გამობუნძურებულ ხალხში, ჭეიასთან – ბატონ რეზო ჭეიშვილთან და ძმებ კალანდიებთან ერთად შუკო ჯიქიას წამატებით. ცოდნოდა უდიპლომო ჩემს ძმა თენგულიას ენგურამდე მისი დამაქცევარი პროტექტორის ჩამონაპირება, იწვნევდა რუსული ნაჯახის სალუქი ყუის ალერსებს კლასიკური სიტყვაკაზმულობის კინკრიხო, მაგრამ გაუმართლა ეგზომ – მეზობლად, ტყეში ყოფილა გადასული დროგით ჩემი ღვიძლი. მერე ლექსი მიუძღვნა იმ დაფნამობიბინე თავს თენგულიამ – ფუნაგორია, სადაც სულ შაქარყინული სიტყვების კორიანტელია. მოკლედ, შენ მაშინ, ივანიჩ, მწერლების ლუკმა ალალ-მართლად გაუზიარე ჩემს თვისტომ ოტობაიელს – სურსათ-სანოვაგე, ცინცხალი წიგნები. სკამები და „ლეჟანკები“ მიუსწრაფე მათ ზეზეურად გაბარძაყებულ ძილიშორისებს, ამათ კი, ამათ ჯერ სამი თაობა მწერლების ნაჭირდიდევი დაისაკუთრეს სინდისგარეცხილობით; მერე ესეც არ იკმარეს, თავიანთი მაამებლობით და მოწკურული თვალებით გაუყუჩდნენ საქართველოს გასანადგურებლად დაგეშილ მტრებს, რომლებმაც, მსგავსი გულგრილობებით თავგასულებმა, მკვიდრად შეკრული ცოცხის ტარებით და გაუსაპნავი „დუბინკებით“ პატივი აჰყარეს ათასებს.

**ტილი** ნებას მივუშვით და აგვაცოცდა ფეხის ფრჩხილიდან თხემამდე: ამ პალოთა გამსობლებს აზიზ ნესინისებურად, თუ მიმღებლებს თავად, ერთ მშვენიერ დღეს ეცოტავათ ადამიანის ანთროპოლოგია, მატერიალური აგებულება, საზარბაზნე ხორცსაც რომ ვეძახით ხოლმე: რახან პირადობის მოწმობიდან ამოვაღებინეთ ეროვნება და მამის სახელები (შეგვპირდეს, რომ დაგვიბრუნებს მათგანვე წაგვრილ პიროვნულ ავლა-დიდებას პრეზიდენტობის მაძიებელი, „საქართველოს რკინის ლედად“ წოდებული ქალბატონი ნინო ბურჯანაძე და დედოფლობას ნამდვილად ვარგუნებთ პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე); რახან პარლამენტის შენობის წინ 9 აპრილის მონუმენტი ხელების წნულით დავატყვევებინეთ; რახან პარლამენტის წინხედიდან ამოვაძირკვინეთ მარადმწვანე მცენარეები და შუშხუნა შადრევნები შევაყენებინეთ გამოსოროსების სიმბოლოდ; რახან ლოტოსის ყვავილის – სამშობლოს დავიწყების სიმბოლოიანი სახურავით აღვაჭურვინეთ იუსტიციის სახლი ჩვენი მიწა-წყლის შეუფერხებელი გასხვისებისთვის (სიტყვამ მოიტანა და ეს ნაცმოელები რუსთველოლოგიის განხრით არიან განსამწესებელნი უკლებლივ ყველა სამეცნიერო ხარისხის მისანიჭებლად, ვინაიდან მათზე უკეთესად ვერავინ გაიგო კონგენიალური „ვეფხისტყაოსნის“; აქაოდა, რადგან ამ პოემაში არც ქართველი ჭაჭანებს სათოფეზე, აღარც სომეხი და თათარი, ადგნენ და მოუხმეს ოთხივ კუთხით არაბებს, ინდოელებს, მულღაზანზარელებს, ხატაელებს – იგივე ჩინელებს – ლაო ძისა და კონფუცის ხალხს და ამისთვის, ამ სამსახურისთვის, უპრიანია, დიდის გულმოწყალებით მივანიჭოთ მათ ქვეყნის **რეზიდენტის** მეცნიერებათა დოქტორის წოდებანი დემოგრაფიის ხაზით); რახან დრაკონის ხიდი გავადებინეთ მტკვრის გარდი-გარდმო, წმინდა გიორგის ძლევის დასტურად, არც ანაკლიაში 500 000 ქალაქის აშენება უნდა გაგვკვირვებოდა „ლაზიკის“ სახელწოდებით (კიდევ კარგი, საქართველოს სრული წაშლის მცდელობას დროზე მოუსწრო ღვთისნიერმა ბიძინა ივანიშვილმა და ნახევარ-მილიონიან მოლოქქალაქს თამამედროვე პორტის მიმართულება მიანიჭა; თანაც ეს სიტყვა 5,5 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიციით გაამაგრა), და აი, შენს მიერ 1981 წელს „საცისკრედ“ ვიზირებული ჩემი ლექსი ,,მაფშალია“ სალიბრეტო ტექსტად არ მიურთმევია თურმე კომპოზიტორ დაუშვილისთვის ლევან ღვინჯილიას?! ეს ლექსი იმდენად მორგებია მელოდიას, რომ მოსკოვიდან ჩამოფუძნებულ ფიქრია მამფორიას მემბრანასავით მოუმართავს ყელი მისდა სამუსიკოდ, ჰოდა, რურუას კულტურის სამინისტროს გაღებული 130 000 ლარით კლიპიც დაფრთიანებულა ანაკლიის სარეკლამო ირაოდ იბერიელთა სრული იავარქმნისთვის. მოკლედ, საქართველოს დასაქცევად მოაზრებული მოლოქ-ქალაქი „ლაზიკის“ გაპრავებას ჩემი ლექსით აპირებდნენ ნაცმოელები „ეს ცისკარი ოდითგანვე საქართველოს თავშალია, სხვა ქვეყანას არ გაფრინდე, ჩემი ქვეყნის მაფშალია“-მეთქი, რომ ვკვნესოდი, ამათაც ფარისევლურად აიტაცეს, ააგუმბათეს ანაკლიის ცაზე, ისე რომ, ერთხანობა კომპოზიტორისთვის ლექსის მიმწოდებელი გამოაცხადეს მის ავტორად ინტერნეტსაიტზე; იმანაც იყუჩა თავიდან, გაიტრუნა, შეიფერა უნებლიე არმაღანი, ტელეეკრანებზე სხვისი ქონებით ყელყელაობა. მოგვიანებით ოჯახის დაძალებით გურო(!) ოტობაიამ აღიდგინა საავტორო რეგალიები, მაგრამ კლიპისთვის გახარჯული 130 000 ლარიდან ბევრი ვერაფერი მოიციცნა გასამრჯელოდ. ასეა, ივანიჩ, ჩემი საქმე, სულ კოლეგები მაძრობენ ტყავს შაგრენისას. გეხსომება ტყის დაჩივლებული: მე ნაჯახი რას დამაკლებდა, ტარად შიგ ჩემიანი რომ არ იყოს გაჩრილიო. აი, სად არის განსხვავება, ივანიჩ, მწერალთა ერთობის სახელდებაში – ,,კავშირი“ თუ ,,აკადემია?“ კავშირი საბჭოეთსაც ჰქონდა, მაგრამ გამოადგა რო?!

**ეგერ,** ბატონო, კახმეგ რომაა, კუდავა, არც აცივა და არც აცხელა, რადგანაც ნობელის პრემიის ლაურეატების სერიალის გამოქვეყნება შეწყვიტა მსოფლიოში მისმა პირველმა გამომცემელმა გულადი ფეტელავამ, რითი ვარ ვითომ ნაკლები, ,,ნაცმოელები“ მხარში მიდგანან, ერთი შვილი, აჰა, პარიზს მივავლინე დესპანად და რომელი ჭკუათმყოფელი შემომედავება აწიო. აქვე, ჩემგან, ოჯახური ტრაგედიით გათანგულისგან, პროტესტიც რომ ვერ იგრძნო, გაიბერა საპნის ბუშტივით, ნობელიანტების სერიალის იდეის ავტორობაც მიისაკუთრა თურმე უშუბლისძარღვოდ და ხაზი გადაუსვა ამ გამოცემის სარედაქციო კოლეგიის კორიფეებს: აწ ნეტარხსენებულთ – ნიკო ყიასაშვილს, თამაზ ჩხენკელს; ქალბატონ დალი კოკაია-ფანჯიკიძეს, ბატონებს – ბაჩანა ბრეგვაძეს, ნოდარ კაკაბაძეს... ბევრი რომ არ გავაგრძელო, ერთპიროვნულ ჭკუის კოლოფად მოგვევლინა... პუჭურატირაჟიან „ნობელიანტებს“ ამოფარებულმა აცხო და აეშელონა სასკოლო გამოცემები, სანამ „ქართული ოცნების“ ფავორიტმა, განათლების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა, აწ პრეზიდენტობის სარქალ-კანდიდატმა, კოვზი ნაცარში არ ჩაუგდო; სანამ სამართლიანად არ ჩამოართვა სარფიანი რეგალიები კუდავას და მისთანებს და ბავშვებს თავად უსახსოვრა სასკოლო სახელმძღვანელოები უფასოდ. ფსევდოინტელექტუალისთვის მოვიცლი მოგვიანებით, ჩემს თანამეცხედრეს რომ შეეუკმეხა საავტორო უფლებასთან დაკავშირებით; ხოლო ჩემეული „ნობელიანტების“ სარედაქციო კოლეგიის ცაში მორონინე თუ მიწაზე დამკვიდრებული სახელების წინაშე სახალხოდ თუ არ მოიბოდიშებს იდეის მისაკუთრების გამო, კუდს ყავარზე გავადებინებ-მეთქი საარჩევნო ბაქანალიის სასრულს...

**აი, როგორ,** აი, რანაირად მივღწეულვარ 60-ს, თამაზ ბატონო, ივანიჩ, მორგებულ შედარებას თუ შევეპოტინები, ჰემინგუეის ,,მოხუცი და ზღვის“ უსახელო პერსონაჟს ვგავარ, მოხუცი სანტიაგო დიდთევზაობის სამხილ მასალად რომელიღაც კაშალოტის ჩონჩხს რომ გამოანაპირებს წვრილანა თევზებით გაძიძგნილს. ახლა იზეიმონ გეიების აღლუმის გაფუებლმა ტიპაჟებმა, ბევრი ვერაფერი სახეირო შემომრჩენია მათთვის. თანაც მათი ლიდერი სვიფტი როგორაა, სიყვარულის ქალღმერთს აფროდიტას უსულგულოდ რომ ათანაბრებს ლაფში ნათრევ ღრუტუნა ნეზვუნიასთან და ნიშნის მოგებით გვემუქრება: ჰეტერა ღორებო, ავიხდით ნიღაბს და თავიდან გადავწერთ თქვენს მიკერძოებულ ისტორიებსო! რას გვერჩის, რას გვემართლება? რომეო-ჯულიეტა, ტრისტან-იზოლდა, ვისი და რამინი, რუსლან და ლუდმილა, დაფნისი და ქლოა, ტარიელი და ნესტან-დარეჯანი, ავთანდილი და თინათინი, – ეს სანახევროზე მეტად გადარეული ხალხი ვიღაც სვიფტუნიას ბუუტურისთვის მოიცლის, წყალში რომ დგანან და ცეცხლი უკიდიათ?! ან ამათი გიჟმაჟური მიჯნურობის ტრაპეზიდან რა უნდა დარჩენილიყო ჩვენი გრძნობა-სხეულიდან ამ პედოხალხის კბილის გასავლები?! უფლის დანესებული კანონებით რომ გვიყვარს ერთმანეთი ადამის და ევას ჩამომავლებს, იმიტომ ვართ ჰეტერა ღორები?

**ზემოთ** მოტანილი ნაკმაზია აწინდელთან შედარებით, ივანიჩ: გულთმისან რძლად დავასახელე – მესიაკონ ნოსად, სადითირამბო სტრიქონებიც ვუძღვენი ავანსად, რადგანაც ქართულად აგვიმღერდა ნიდერლანდელი პრიმადონა, მეგრულად დაიკვნესა, „ვაგიორქო მა, ვამორწონქო მა“-ოთი, იმდენად მოწონებია ჯიგარი ჩვენი, რომ სახურავზე მორბენალ ქმარს გადაუჯოკრა (ნათქვამია, პწკენაპწკენაში პატარძალი დაორსულდაო. უძახე შენ, გიჟი, გიჟიო, ამასობაში ამ ლაბირინთის ბატონ-პატრონმა მინოტავრმა, კაბიანი არ გაუშვა დინგუკრავი, მეოთხედი საქართველო გააყოლა წყალსა და მეწყერს. არა, ივანიჩ, ამაზე უჭკვიანესი მტერი წარმოუდგენელია!) რომელიც, თავის მხრივ, ვის, რომელს არ ეპატიჟიება საქართველოში ინვესტიციების ჩასადებად. 1-ლარიანი შეღავათებით კი შეიძენენ ქართული მიწის ნაკვეთებს ის მოპატიჟებულნი და კაფე-თესეს სახსენებელი გადაშენებულა მავნებლურად გასხვისებული ადგილებიდან. საგულდაგულოდ შეფუთული მიაქვთ ამ მოპატიჟებულებს ჩვენი უმთავრესი სიმდიდრე – მიწა – თავიანთ ერაყსა თუ ეგვიპტეში, იგივე ჰუმუსი, ჩვენ კი გვრჩება ღორღი, ინერტული მასალა სოკოსავით აცვენილი მშენებლობებისთვის, უკეთეს შემთხვევაში კი აყალო შროშელი მეჭურჭლეებისთვის, ფიალა-საჭინჭილედ ვარგისი მხოლოდ. ზემორე მესიაკონი რძალი ვახსენე, ივანიჩ, და მარტოკა სადედამთილო ,,სოკოს“ დამფუძნებელი რომ მეგონა, ამავდროულად რომელიღაც ,,დოსტის“ პროგრამასაც მესვეურობს თურმე შეთავსებით ის ჩვენი პირველი ლედი და მოწყალების დის ფუნქციის წაიღლიავებით რაღაც სპეცსამსახურების მისიებსაც ესალბუნება, ვიცე-პოლკოვნიკი ზარნაძის რწმუნებით: ათობით, ასობით პატიმარს ამოაჭრეს თურმე მისი პატრონაჟით ფილტვი, თირკმელი, საშვილოსნო, ძუძუ-მკერდი და ვინ მოთვლის... სატრანსპლანტაციოდო, ირწმუნება დაბეჯითებით ის ქალბატონი და სხვა რა ჩარაა, ჰოლანდიურ ნიავს გავატანოთ ყოველივე, მით უფრო, როცა ეს შემზარავი ბრალდებები მამალი არგუმენტებით არსაიდან ბათილდება?! ჰოდა, ნუ გამკილავ, ივანიჩ, ისევ რუსეთი მერჩივნოს ამ საჯინიბოში ხოლსტომერივით ზეზეურ თვლემას. დიახ, რუსეთთან თანაქმედება, თანამეზობლობა, ვინაც ბევრჯერ მოგვკლა და ბევრჯერ გადაგვარჩინა ძაღლის ბალანზე თქმულისამებრ. აგერ, 5000 ლარად რუსულ ენაზე თარგმნილ ჩემს რომან ,,სიცოცხლემისჯილს“ ბუთქავს ნათლიმამა ვახტანგ მიშველია მათთან თანამშრომლობის დასტურლამალად შუაგულ მოსკოვში და მერე იტრაბახონ ვიეთებმა, ერთგულნი ერთადერთნი დაგრჩენივართ ცისქვეშეთში – სომხებიო; ხომ ხედავთ, თქვენგან ქებულმა ქართველებმა როგორ გამოგისვეს ცელი კოჭებშიო. დაავიწყდათ ირანის ელჩი გრიბოედოვის წერილი რუსეთის მეფისადმი. იციან ამის შესახებ ჩახედულებმა. ამიტომაც იტყვის ომახიანად ქოლერიკი ჟირინოვსკი ცოცხალ ეთერში: მკვდარი ქართველი მირჩევნია ცოცხალ სომეხსო.

**ამგვარად** არის საქმე, ივანიჩ, ან ,,ლიტერატურული საქართველოს“ გვერდით როგორ არ დავდგე (ვისი შინელიდან გამოვსულვართ დროულნი თუ ახალუხალნი), ფენიქსივით ფერფლიდან აღმდგარი გაზეთისა და მისი სიტყვაჩუბინი რედაქტორის გვერდით, რომელმაც ერთადერთმა მომილოცა 50 წლისთავი ათეულს მიღმა; აგერ, ახლაც – სამოცეული გასულ პარასკევს, სექტემბრის ექვსში; პიროვნებამ, რომელმაც ერთადერთმა მიიტანა გულთან ჩემი დაუსრულებელი წანწალი თბილისის ერთი უბნიდან მეორეში, სადაც ხან ზვიადისტების ზეპატრიოტულ აურაში ვექცეოდი დედაწულიანად და ხანაც პუტჩისტი კიტოვან-ჯაბასიანების დენთის ნატუსალში მათ მიერ ყურით ჩამოთრეული მამათელის თანამეინახეობით. ჰოდა, ივანიჩ, შენ ერთადერთმა გადამარჩინე იმ მოუნელებელ მომთაბარეობას, როცა მუხიანის ნახირის იდილიაში, დუმბაძეზე, კარკასი ბინა გამოითხოვე ექსკლუზიურად ჩემთვის ქალაქის მერ ზოდელავასგან. და აჰა, ათი წელიწადია ვარემონტებთ იმას მე და ჩემო კოკა. აქეთ ნაცმოელების ღლავისლაყუჩება ბანკები გვიმტვრევენ კარებს, დაუსტამბავ პოემებს და რომანებს მიყრიან დერეფანში და, რომ არა ღვთისნიერი **ლევან მებონია**, ამიგებდნენ წესს სადღაც მახათას სიახლოვეს.

**ისე, საარჩევნო** თადარიგი დროულად დაიჭირა, ივანიჩ, კოჰაბიტაციით დახუნდებულმა ახალმა ხელისუფლებამ: სამი ათეული წლის გავერანებულ ეზო-კარს გვიკოპწიავებენ: მოაშანდაკეს, არჩევნების სწორზე ასფალტსაც დაგვიგებენ უეჭველად. სხვა რაზე დავიჩივლო?! პროსპექტის თავში აღმართულ ნოდარ დუმბაძის ბარელიეფზე მამალი ათაშანგით ამოჭმული ასოები სახელდახელოდ შეასწორა წინა არჩევნების მამითადმა, „მარმარილოზე“ შპილკებით დარჭობილებს მოშორდა ნემსები და იბოქსიდის წებოთი დასადგურდა დაფაზე. მუჭისტოლა სკვერიც მიკოსმეტიკდა – მოქალაქეთათვის, ალბათ, 1000 ლარის ღირებულებით და სათავისოდ – ათჯერ აღმატებულით. დუმბაძის მოედნის ძვირადღირებული ხეები ხომ თქმულისამებრ მოინელეს მუხიანელების ნავარმა ძროხებმა, მაგრამ წინ კიდევ არაერთი არჩევნებია, – საპრეზიდენტო, საპარლამენტო თუ ადგილობრივი... და აღდგომა და ხვალეო, ხალხმა, საზოგადოებამ, დრომ ყველაფრის მკურნალმა...

**დაბოლოს**, დასკვნისთვის, ივანიჩ, არც მე გამოვდივარ მამა აბრამის ბატკანი, რომელსაც ძმის „ლიმიტის“ გაბითურების საკომპენსაციოდ უპრობლემოდ, დაშარბათებული ღიმილით მბეჭდავდა მიშველაძე წლების განმავლობაში „კრიტიკაში“, „პირველ სხივსა“ თუ „მწერლის გაზეთში“; რქებს (არა მოსესეულს) შორის მუშტი რომ არ დავაჭედე დროულად და სანაცვლოდ, რაღაც კონიუნქტურით, რაღაც აუხსნელი ხელფეხშეკრულობით თვინიერად ვითმენდი იმ ტოქსიციდებს. ჰოდა, მიიღოს ახლა ორივემ, ჩემმა 59 წელმა და ტიტლიკანა კლასიკოსის გვამმა ურუსავით გამოქანებული ჯილდო! ვერაფრით აღზევდებოდნენ ესენი, ივანიჩ, მე რომ ვყოფილიყავი პიტალო კლდეზე პეტრესავით აღმოცენებული! ვერა-მეთქი! რომ არა ჩემი და ჩემისთანების მოლერწმეობა, ვერაფრით იზეიმებდნენ მინოტავრები ლაბირინთში; ვერც კეისრები და ბონაპარტები იდიდგულებდნენ კაცთა საჟლეტად; ვეღარც ჰიტლერები და სტალინები იბოგინებდნენ მილიონების გასასრესად; ვერც საკაშვილები და მისი საფარეხო იღავღავებდა აქამომდე. მე ვყოფილვარ თურმე მიზეზი, ივანიჩ, და მევე მოვუხმე ჩემში თეზევსებს და ჰერაკლეთ ავგიას თავლების გასახვეტად. სხვაგვარად გამორიცხულია, ივანიჩ. ანაფორაშელახული იმ ბერის აღმსარებლობის გამორიცხვით ვერ აბობოქრდება სრულიად კახეთი ბიძინა და ელიზბარ ჩოლოყაშვილების მეთაურობით. რა თქმა უნდა, ტრაგედიაა, როცა ნაცმოელებმა ამაზრზენობით იმძლავრეს შენზე და მოგსპეს, როგორც პიროვნება, მაგრამ სამშობლოს სრული მოსარგალებაა, როცა ამ გადათქერვას გულნამცეცობით უმალავ მომავალ თაობებს. ამხილე, ამაღლდი, ადამიანო, საკუთარ მკრთომელობაზე! იცოდე, უფრო დიდი მტერი არა გყავს, ვინემ შენი ბურიდანობა-გაორებაა! ამიტომაც, ივანიჩ, მიშველაძის მიერ დიდის უსულგულობით, სრულიად დაუმსახურებლად გაქიაქებულ კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს ვეუბნები: ჯიმაგე, გურამ, თუ შენზე დაქვემდებარებული უწყების ღირსეულ მესვეურად გვეგულვი, დროულად ალაგმე მსოფლიოს რანგის პოეტის – რუსთაველის მონუმენტის გარშემო შექმნილი ბაკქანალია! დროზე ჩამოაშორე იმ წმინდა ადგილს – კვარცხლბეკს უცხოტომელთა – ერაყელთა, არაბების თუ ინდოელ-ხატაელთა დაუსრულებელი ტრაპეზები... თუკი ეს საძნელოა, ბარემ ჩეჩმაც მივუშენოთ იმ ძეგლს მათი შარდმობევრებული თირკმლების გადასარჩენად. არადა, გპირდებათ 60-ს გადაბიჯებული გური ოტობაია, საერთაშორისო სკანდალს გავუხაზირებ კარზე მომდგარ საპრეზიდენტო არჩევნებს შუა რუსთველზე! ■

# „კეთილი კეთილისათვის არს კეთილ, ვინა იგივე კეთილი ბოროტისათვის - ბოროტ“*

მიდის ბატონი ბიძინა, რომელმაც თავისი ჩუმი, უხმაურო ქველმოქმედებით მრავალი აღაშენა, მრავალი აღადგინა, ყოფილ მთავრობას აფინანსებდა: გზების დასაგებად, წყლის გასაყვანად (გაიხსენეთ ქუთაისის ცენტრში ამოხეთქილი წყალი – ჩაუყრელი მილების გამო), ჯარსა და პოლიციას აცმევდა, ახურავდა და ყაზარმების კეთილმოწყობას უზრუნველყოფდა. მარტო ის რად ღირს, ქართველი მეცნიერები, ინტელიგენცია, ხელოვნების მუშაკები 120-ლარიანი პენსიით სამარცხვინო არსებობას რომ გადაარჩინა. გაზეთის 2 გვერდი ვერ იტევდა მის მიერ საქართველოში გაწეული ქველმოქმედების ფაქტებს. წიგნი ქველმოქმედებისა მისი – არ მეღირსა.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც არც კი ვიცოდი, რომ ბატონი ბიძინა არსებობდა, საჩხერეში მთხოვეს ავადმყოფის კონსულტირება. მანქანით წამიყვანა ძმამ და საჩხერის გადასახვევიდან დაიწყო ჩემი აღფრთოვანება – დეკორატიული ღობეები, ახალი დიდი საავადმყოფო, ახალი დიდი შენობა საავადმყოფოს იმ თანამშრომლებისთვის, ვინც სოფლიდან დადის სამსახურში და მოუწევს იქ ღამის გათევა. შორეულ სოფლებში გაყვანილი გაზის წითლად შეღებილი მილები მოჩანს.

ჩემი აღფრთოვანების გაგრძელება იყო უახლესი სარეცხი მანქანები, გაზის ქურები, მაცივრები – ყველა ოჯახში (!) ხოლო კულმინაცია კი ავტობუსების სადგურის მოსაცდელი დარბაზის ტუალეტში (რომელიც ლუვრის დარბაზის დონეზეა) ცხელი წყლის ავზი მგზავრთა უკეთესი მომსახურების მიზნით. ვიკითხე კიდეც: – კი, მაგრამ ვინ არის ეს კაცი? თურმე, „ჭორვილის ორღობეში გაზრდილა“ (მ. სააკაშვილი“, ილია – ყვარლის ორღობეებში, აკაკი – სხვიტორის გლეხების ეზოებში, ვაჟა – ფშავის მშვენიერ ფერდობებზე. ნუ გამკიცხავთ, მე რა მოსახსენებელი ვარ მათთან, მაგრამ მე თერჯოლის ბებია-ბაბუის მშვენიერ სახლში, დიდნიგვზიან ეზოში გავიზარდე, თერჯოლის სკოლის ოროთახიან, ერთმანეთში გამავალ კლასში ვისწავლე (თუმცა, მერე თბილისის 23-ე, ი. ჭავჭავაძის სახ. სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე!).

ბ-ნი ბიძინა მიდის! ვერ ტოვებს ისეთ ვითარებას, როგორსაც დიდი თამარ მეფის ისტორიკოსი აღწერს: „ერთბაშად ძოვდეს ლომი და ხარი, და იხარებდეს ვეფხი თიკანთა თანა, და მგელი ცხუართა თანა“ („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“).

არ არის ასეთი მშვიდობა ნამდვილად, მაგრამ იმ ამაგის, დამსახურების დანახვა თუ ვერ შევძელით, მაშინ არ ვყოფილვართ სიკეთის ღირსი ქართველები.

იმდენი უსამართლობა, რაც ამ წლებში მოხდა, არა მგონია და არ მახსენდება ჩემს ახალგაზრდობაში.

არც ის არის სწორი, სტიქიური უბედურების შედეგების სანაცვლოდ კახეთში ჩამორიგებული ფულადი დახმარებით მანქანები რომ იყიდეს და ახალი დახმარება მოითხოვეს. ჭიათურელმა ავადმყოფმა ამბავი მომიტანა: რომელი ოჯახიც ერთიანად ხელდაკაპიწებული შრომობს, კარგადაც არის; სადაც მარტო მოხუცები არიან და ახალგაზრდები ქალაქებში უსაქმოდ დაყიალობენ, იმათ უჭირთ.

ჩვენ, ქართველები, უზომოდ ნიჭიერნი ვართ კეთილშიც და ბოროტშიც.

რა უნდა გაგიკვირდეს, როცა დიდი თამარის სამაგალითო მეფობას ვერ შეეგუენ დიდებულები და ხსნა განდევნილი გიორგი რუსის დაბრუნებაში დაინახეს. იური გეგუთშიც კი ჩამოიყვანეს და მეფედ გამოაცხადეს; თამარს ომში ჩაბმა არ უნდოდა თავისი ქვეყნის მკვიდრთა წინააღმდეგ და ამ რთული საკითხის გადასაწყვეტად მოციქულებიც კი გაუგზავნია. არ გაჭრა. ომი თავიდან ვერ აიცილა, თუმცა თამარმა გაიმარჯვა.

გიორგი რუსი მეორედაც შემოიყვანეს დიდებულებმა. მაშინაც დამარცხდნენ.

ჩვენ მეტად მრავალმხრივი, ურთიერთსაწინააღმდეგო თვისებები გვაქვს, უკიდეურესობანიც ვიცით. ამას წინათ გაზეთში ამოვიკითხე: „სანამ სასბჭოთა ეპოქაში ნაცხოვრები ხალხი იქნება, არაფერი გამოსწორდებაო!“ – ამისთანა გაგონილა!

ბ-ნო თამაზ! რა დავაშავეთ ჩვენ, იმ ეპოქაში რომ ვსწავლობდით და ვცხოვრობდით? განათლება გვაკლდა, აღზრდა, ურთიერთობა თუ მეცნიერები და ინტელიგენცია არ იყო დაფასებული? უმუშევრობაც არ იყო.

ყველა ინსტანციის მაღალ პირთან შეხვედრა შეგვეძლო. – ახლა ვერც ერთ მინისტრს ვერ დაუკავშირდები.

ჩვენი პირადი მეგობარი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი, შვედეთის, უკრაინის და სომხეთის მუსიკალური აკადემიების საპატიო პროფესორი, რადიოსა და ტელევიზიის ყოფილი დირიჟორი კულტურის მინისტრთან ვერ მოხვდა, არ უპასუხეს.

ისე მოსრეს ფსიქიატრიის ინსტიტუტის კლინიკა, პოლიკლინიკა, სტაციონარი, არც გაგვაფრთხილეს, არ ჩაგვაყენეს საქმის კურსში. ამხელა კოლექტივი ცხვრის ფარად გვაქციეს და დღემდე პირდაღებულები ვართ: რატომ დააქციეს ასეთი სამსახური, ისე განთავსებული, რომ მისაწვდომი იყო ქალაქის ყველა უბნისთვის, აწყობილი გვქონდა საქმიანობა საათივით – მეკარიდან დაწყებული კათედრით დამთავრებული. ეს ვინც გადაწყვიტა და ჩუმად, ელვის სისწრაფით აღგავა ფსიქიატრიის ინსტიტუტი პირისაგან მიწისა, არ უნდა ვიცოდეთ?

დაახლოებით ამ დღეშია, შეიძლება უარესშიც, ყოფილი რესპუბლიკური საავადმყოფო. დგას თვალდათხრილი, ფუნქციაწართმეული 32-განყოფილებიანი შენობა, მედინსტიტუტის საბაზო კლინიკა, მრავალდარგობრივი და მრავალპროფილიანი.

რა დღე ელის, ვისია და რატომ დაბრმავეს, არ ვიცით (Народ хочет знать своих героев).

ისე, ტრადიციის უპატივცემულობაშიც ვადანაშაულებ ქართველების იმ ნაწილს, ვინც სახელმწიფოს სათავეშია – მერიაში, საკრებულოში და სხვა. კი, მაგრამ, ქუჩების სახელების გადარქმევაზე რომ ასე ზრუნავთ, ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტს რას ერჩოდით?

ნუთუ პატივისცემას არ იმსახურებდა ჩვენი თანამემამულე, პროფესორი ჟორდანია, რომელსაც მის პატივსაცემად გამართულმა მსოფლიო კონგრესმა გმირობა მიანიჭა. ჯერ კიდევ ახალგაზრდამ თავისი გადასარჩენი მაშველი რგოლი ოკეანის თავზე თვითმფრინავის ავიაკატასტროფის დროს, ბავშვს მისცა, თავი გაწირა და ბავშვი გადაარჩინა. ეს არ იყო ექიმის ოპერაციის შედეგად გადარჩენილი ბავშვის ქირურგის გმირობა; ეს არ იყო ალმოდებული სახლიდან ბავშვის გამოყვანის გმირობა. ეს იყო ქმედება, რომელიც გმირობაში არ ეტევა. ამ კაცის გვარ-სახელს ამართლებდა ეს ინსტიტუტი. წინ ჩაჩავას სახელობის სამშობიარო სახლია. ჰქონდათ მონათესავე ინსტიტუტებს საქმიანი ურთიერთობა.

როგორ იკადრეს ასეთი პიროვნების სახელობის ქალაქის ცენტრში, ყველასთვის მისაწვდომ ადგილზე მოთავსებული ინსტიტუტის გაყიდვა?! დგას დადუმებული, ფუნქციადაკარგული, „ნაინსტიტუტარი“, რომელმაც საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს, იმედდაკარგულს, შვილები აჩუქა, ოჯახს – სიხარული. ჩვენში მრავლად არის ასეთი ოჯახები.

მართალია ბატონი ბიძინა! ძინავს ქართულ საზოგადოებას ან სათანადოდ არ აქვს ნამდვილი ღირებულებების განცდა და დაფასება.

ისევ ბატონ ბიძინას! წასვლამდე, ვთხოვთ, იქნებ, ამ სამი ძალიან მნიშნელოვანი ფუნქციის მქონე შენობის და ტერიტორიის ყიდვა-გაყიდვის ფაქტებზე ინფორმაცია მოითხოვოს და მიღებული პასუხი ეცნობოს ტელევიზიით ან გაზეთით საზოგადოებას. ეს სამი ბოროტება ყოფილი მთავრობისთვის დამახასიათებელი „გამჭვირვალობით“ არის შესრულებული.

და ბოლოს, მადლობა მადლისთვის. რაო? პლატონმა რა თქვა? „კეთილს კეთილი დაინახავსო“. ჩვენ ვხედავთ და ვგრძნობთ.

იმასაც ველით, რომ ჩვენი მინისტრები, საჯარო მოხელეები უარს არ იტყვიან მოქალაქეების ზარებზე. ე.ი. უჭირს და რეკავს, შველას თქვენგან ელის. არ იქნება ცუდი, თუ მათი ტელეფონების ცნობარი მოსახლეობისთვის მისაწვდომი გახდება.

იქნებ, ჯარიმების კანონსაც გადახედოს თქვენმა და ჩვენმა სიმპათიურმა შსს მინისტრმა. რუსებსაც აქვთ კარგი ანდაზები, მათ შორის: „Ситый голодного не уразумеет“. 100 ლარი მხოლოდ უწყვეტი ხაზის გადაკვეთაზე ძალიან ბევრი ხომ არ არის? ამას ძნელად გაიგებს 7000-ლარიანი მინისტრი, თუნდაც სიმპათიური.

წერილი მინდა მადლიერებით დავამთავრო. ღმერთმა ღვთის მადლი და სიკეთე ნუ მოგაკლოთ თქვენ და თქვენს ოჯახს. შეიძლება ტალეირანი არა, მაგრამ სამშობლოს ერთგული და მოყვარული ბრძანდებით.

და ბოლოს, იმედია, წასვლის შემდეგ ჩვენს გვერდით დარჩებით.

**P.S.**

მე ველოდი, რომ თქვენი თვალი ლაღიძის წყლების პრობლემას მაინც მიწვდებოდა. არ ეკუთვნის იმ მადლიანი კაცის, მიტროფანე ლაღიძის ნაწვალებ და თბილისის გამხარებელ იმ კუთხეს წყლის მაგიერ ნიფხავ-პერანგს ყიდდეს. ცოტა ზევით ბატონი მიტროფანეს სახლია, სადაც აკაკიმ შვილები მოუნათლა, სახლის სარდაფში კი მთელი საქართველოდან დაკრეფილი ხილი, წვენების დედა ინახებოდა. აქ მისი შვილი თორნიკე ლაღიძე ცხოვრობს. ეს იყო მარტო წყლების კი არა, ნექტრის დასალევი ადგილიც, ეს კულტურის ცენტრი იყო. აქ უნიშნავდნენ ერთმანეთს პაემანს, აქ დაჰყავდათ სტუმრები, აქ ვასიამოვნე ჩემს გერმანელ სტუმრებსაც, აქ იყრიდა თავს ხალხი რუსთაველის თეატრიდან, კონსერვატორიიდან. „სად შევხვდეთ?“ – ლაღიძესთან“.

ბ-ნმა მიტროფანემ მადლიანი ხელი არც თავის ქუთაისს დააკლო – ელექტროსადგური აუშენა (სხვას ცალკე მოგახსენებთ). მას ძალიან კარგი შთამომავლობა დარჩა. მარტო ის რად ღირს, მის სახლში შვილიშვილი თორნიკე, მშვენიერი რძალი – მარინა ბაქრაძე, შვილთაშვილი თინა (მიტროფანეს დის სახელის მატარებელი) და მისი ხნეკეთილი ვაჟი – ლევანი რომ ცხოვრობს.

ახლა ლაღიძეების გვარის გამგრძელებლებს არ იკითხავთ? შვილთაშვილ ვახტანგს და მის მეუღლეს – მაკა-მარიამს 5 შვილი ჰყავთ.

მათი დიდი წინაპრის, მიტროფანე ბაბუას შექმნილ საოცარ „ლაღიძის წყლებში“ კი ისევ იყიდება ის, რაც ამ ადგილს კულტურული ცენტრის ფუნქციას უკარგავს.

იმედია, ბ-ნი ბიძინა, ტრადიციების დიდი მოყვარული, იზრუნებს ამ საკითხზე, დიდ მადლს ერთხელ კიდევ გაიღებს და მომავალში, თუ ცოცხალი დავრჩი, ლაღიძის წყლებთან კვლავ შევხვდებით ერთმანეთს. ■

* პლატონი

# ჩუნასად, ჩასულო, ჩუნასად!



გოგი ხარაბაძე

ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართო, – დაახლოებით ასე წერდა სახელოვანი ფრანგი ანტუან დე სენტ ეკზიუპერი. რაღა თქმა უნდა, ჩვენ-ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ, მაგრამ ხანმოთეულ, დროულ ადამიანებს პირიქით ემართებათ, ჰგონიათ, რომ ბავშვობისკენ მიდიან.

რაღა დაგიმალოთ და მეც ასე მგონია.

ამქვეყნიური სამოთხე თუ სადმე არსებობს, ეს ბავშვობაა, ბავშვობის ხანა, სადაც არის უკვდავება, სიცოცხლე და ბედნიერება.

ჩემი ბავშვობის სავანეში მივდივარ, ჩემს სამოთხეში.

იქ იყო სოფელი და ქალაქი, ორი პოლუსი, რომლებიც ერთმანეთს არაფრით ჰგავდნენ, მაგრამ ორივე იყო ძალიან ძვირფასი და მშვენიერი.

სოფელი ანთეოსივით ვერ მაძლევდა უშრეტ ძალას, მაგრამ ვგრძნობდი, რომ იქ იყო მიწა, რომელიც სუნთქავდა; საფანელი, რომელიც სიკეთეს შთამაგონებდა.

აქ იყო ქალაქი, მიწის ალტერნატივა, ანალიზისა და განსჯის ალაგი, სადაც მთავარ ფილოსოფიას ურთიერთობა, ადამიანური კონტაქტები წარმოადგენდა.

ეს იყო ჩემი სამოთხის ორი მხარე, სიცოცხლის ორი მდინარე.

## „ძაღლი კოჭლობით არ მოკვდება“

ვანიდან დასავლეთით, დაახლოებით ათ კილომეტრზე მდებარეობს სოფელი ინაშაური. სხვათა შორის, ჭყვიშიც ვანის რაიონია, საოცარი ადგილმდებარეობისა და სილამაზის ადგილი.

ამ სოფლიდან არიან წარმოშობით მამაჩემიცა და მისი წინაპრებიც.

ომის შემდეგ, – რა თქმა უნდა, დიდი სამამულო ომი მაქვს მხედველობაში, – ყველგან გაჭირვება იდგა.

ჩაგვსხამდნენ ბავშვებს ზაფხულში „სოიუზტრანსის“ ტენტიან ავტობუსში და ნაგვიყვანდნენ სოფელში.

ინაშაურის გორიდან, სადაც სოფლის სასაფლაოა და სადაც განისვენებენ ჩემი ბებია და ბაბუა, რომლებიც, სამწუხაროდ, არასოდეს მინახავს, ირგვლივ თუ მიმოიხედავ, გაშტერდები სილამაზისგან – კაკაბაძის პეიზაჟებით არის თითქოს მოფენილი იქაურობა.

ხარაბაძეებს მთელი უბანი უკავიათ.

ბაბუაჩემის ნამოსახლარზე ორი სახლი იდგა და ახლაც დგას: ერთი ბაბუასეული და მეორე ბიძაჩემისა.

ბიძაჩემი ალექსანდრე, როგორც სოფელში ეძახდნენ, საშა (რავარია იმერეთი!), არაჩვეულებრივი კაცი იყო, მასწავლებელი, განუწყვეტლივ აბოლებდა გაზეთში გახვეულ თუთუნს, თვითნაკეთ პაპიროსს სველი ბოლოთი. გამხდარი, წყნარი – ასეთი შემორჩა ჩემს მეხსიერებას.

„ბანტიანი“ გიტარა პირველად მის სახლში ვნახე, ბიცოლაჩემი ანიჩკა (რავარია იმერეთი!) – საშას მეუღლე ამღერებდა...

„დედამ კაბა შემიკერა, მოაყოლა არშიაო, გათხოვება რომ ვუხსენე, ქე გამაგდო კარშიაო.“ ან „ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში, ქართველ ქალთა ვნახე კრება, გეფიცებით, მათი ნახვა დღესაც ძლიერ მენატრება.“

თავისუფლად, ლაღად ვგრძნობდი თავს. გრძელი წკნელით, ფეხშიშველი, ბიძაშვილებთან და მეზობლის ბავშვებთან ერთად ხან ძროხებს დავდევდი და ხან ერთადერთ ბურთს – ქალაქიდან ჩატანილს.

ბიძაჩემს ჩემთვის მოკლეტარიანი პატარა თოხი ჰქონდა დამზადებული. თოხის ქნევა ვის უყვარს, რომ მე მყვარებოდა – რუსთაველზე გაზრდილ ბიჭს?! ბიძაჩემი თოხს კი მახვედრებდა, მაგრამ თან მიცოდებდა და, რა თქმა უნდა, არ მამუშავებდა.

ერთ საღამოს ჩვენი ოჯახის მამაკაცები უკლებლივ ყველანი აიშალნენ და გაემართნენ სათოხარში, ეზოს გვერდით მდებარე მომცრო გორაკისკენ, სადაც პატარა სიმინდის ყანა ბიბინებდა; მე სათვალავში არ ვერიე.

ეს ჩემი თბილისური ღირსების შელახვას ნააგავდა. ქალაქელების სახელით დავავლე ჩემს პატარა თოხს ხელი, გავიდე მხარზე და მეცამეტე გოჭივით ავედევნე ხარაბაძეებს.

შევედით ყანაში, ჩავდექით მწკრივში. მე საპატიო ადგილი მერგო ბიძაჩემის გვერდით. დავიწყეთ თოხნა. გამალებული ვუბაყუნებ თოხს, არ მინდა, ჩამოვრჩე ბიძაშვილებს, ბიძაჩემს. საქმე კარგად მიდის, სადაცაა, ბოლოში გავალთ, მაგრამ სწორედ აქ იჩინა თავი გამოუცდელობამ და დროებითი წარმატებებით აღტკინებულმა ფეხის თითის პირველ სახსარში ვითხლიშე თოხი. ხომ გითხარით, რომ ფეხშიშველა ვიყავი – თითის წვერი გადაიხსნა და ჩამოეკიდა, იფეთქა სისხლმა...

შეჩერდა თოხნა...

ყველა შეშინებული უყურებს ჩემს თითს, თოხს და, რა თქმა უნდა, ბიძაჩემს.

საშამ დინჯად ამოიღო ჯიბიდან ალუმინის თვითნაკეთი „პორტსიგარი“, გახსნა, თუთუნი მოსრისა და დამაყარა ჭრილობაზე. სისხლისდენა შეჩერდა...

„არა უშავს, ბიძია, ძაღლი კოჭლობით არ მოკვდება!“ მითხრა წყნარი ხმით და მშვიდად გააგრძელა მუშაობა.

## შატალო



ჩემს ბავშვობაში ძალიან მოდაში იყო „შატალოზე“ სიარული. „შატალო“ გაკვეთილების გაცდენას ნიშნავს.

მე არ მიყვარდა ეს „შატალო“, რადგან დროს ისე კარგად, როგორც სკოლაში – თანაკლასელებთან, უფროსკლასელებთან და, წარმოიდგინეთ, მასწავლებლებთან – ვერსად ვატარებდი, მაგრამ რაღაც „კაცური“ რეპუტაციის გასამყარებლად, იმის დასამტკიცებლად, რომ არაფრის არ გეშინია და ამაზე წამსვლელი „მასტი“ ხარ, მაინც აუცილებელი იყო წელიწადში რამდენჯერმე ამ ნაბიჯის გადადგმა. თავიდან პირველ ვაჟთა სკოლაში შემიყვანეს. გოგოებისა და ბიჭების გაერთიანება რომ დაიწყო, რატომღაც, არ ვიცი – შეიძლება მაშინვე შეამჩნიეს გამოცდილმა პედაგოგებმა ჩემი გამორჩეული სწრაფვა საწინააღმდეგო სქესისადმი – პირველ ქალთაში გადამიყვანეს, რომელიც ცოტა ხანში, ასევე გაუგებარი მიზეზებით, 47-ე სკოლად მონათლეს.

ეზოში უზარმაზარი ჭადარი და პატარა ეკლესია იდგა. იქ ფიზკულტურას გვიტარებდნენ. აი, ამ გაკვეთილებს კი სულ ვაცდენდი, არ მიყვარდა და როგორ გავიხარე, როცა ათეული წლების შემდეგ გენიალური მარინა ცვეტაევას ფრაზა წავიკითხე: „Физкультура – это трата времени на трату сил“.

ჩემი სკოლა ჩიტაძის ქუჩაზე, ახლანდელი საგარეო საქმეთა სამინისტროს, იმხანად პარტიული სკოლის – ახლა არ მკითხოთ, რომელი პარტიისო – მაშინ, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ერთი პარტია იყო – შემდეგ კი კიბერნეტიკის ინსტიტუტის შენობის პირდაპირ მდებარეობდა.

სკოლიდან თუ გაიპარებოდი, ან მაღლა, მთაწმინდაზე უნდა ასულიყავი, ან დაბლა – რუსთაველზე დაშვებულიყავი.

თუ მთაწმინდისკენ წახვიდოდი, პირდაპირ ილიას, ვაჟას, ბარათაშვილის სამუდამო განსასვენებელს გადააწყდებოდი. გალაკტიონს რომ მიასვენებდნენ, ჩვენ სკოლას ვამთავრებდით. იმ დღესაც „შატალოზე“ ვიყავით და მთაწმინდიდან ვუცქერდით, როგორ მოჰყვებოდა მის კუბოს სერპანტინივით დახვეულ აღმართზე მთელი საქართველო. დიდებული სანახავი იყო ეს მსვლელობა.

დაბლა თუ დაეშვებოდი, ჯერ საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი მდივნის კაბინეტს, ახლა რომ უშიშროების მინისტრი ზის, ჩაუქროლებდი, მერე პიონერთა სასახლესა და მინისტრთა საბჭოს შუა გაივლიდი და პირდაპირ კინოთეატრ „რუსთაველს“ მიადგებოდი.

იქ ვეზიარეთ ომისშემდგომ ე.წ. „ტროფეინი“ ფილმებს პირველად. ბილეთი სულ რაღაც ოცდაათი კაპიკი ღირდა, თუმცა კონტროლიორები ხანდახან უბილეთოდაც გვიშვებდნენ ბალღებს.

იყო მესამე გზაც. სკოლის ეზოდან ეგრეთ წოდებული უკანა კარიდან თუ გაიპარებოდი, ბესიკის ქუჩაზე ბაღში აღმოჩნდებოდი. ახლა ამ ბაღში დიდი საბას ძეგლი დგას.

დილაა. პირველივე გაკვეთილს ვაცდენ რამდენიმე მეგობართან ერთად.

გაზაფხულია.

მთაწმინდიდან ნიავს ახლად აყვავებული ნუშისა და გარგარის ყვავილის გამაბრუებელი სურნელი მოაქვს.

თბილა.

„მაწონი... მაწონი...“ ჩაიარა რუხი ბრეზენტისგან ხელით შეკერილი დიდი ჩანთებით ახორხლილმა კოჯრელმა მემაწვნემ. ამ ქალს პირველად არ ვხედავ, ყოველ დილით დადის აქ და მყუდროებას არღვევს...

სიწყნარეა...

პურის მაღაზიაში კანტიკუნტად შედიან მთაწმინდელები.

ჩვენ გრძელ მწვანე სკამზე ვსხედვართ და უდარდელად ვეწევით სიგარეტს.

არანაირი აზრები არ აწუხებს და აშფოთებს ჩვენს გონებას. არადა, რთული პრობლემა გვაქვს გადასაწყვეტი: ქვევით დავეშვათ თუ ზევით ავუყვეთ?

ამ დროს გაისმა ყვირილი, ღრიალი – რაც გინდათ, ის დაარქვით...

„ჩემი ინსტრუმენტი...“

„ჩემი ინსტრუმენტი სად არი, ტო... მოვკლავ... დამიბრუნეთ ჩემი ინსტრუმენტი, თქვე უნამუსოებო, ხალხი არა ხართ?“

– ეს ჟორიკა არ არი? – იკითხა მალხაზმა.

– ჰო, ის არი, ნასვამია? – შოთაც დაბნეულია.

– ნასვამი კი არა, გაგლეჯილია, ვერ ხედავ?

ასე ადრიანად სად მოასწრო?!

მე ჟორიკას არ ვიცნობ. ჩემს წარმოდგენაში ინსტრუმენტი ვიოლინო, როიალი და ვიოლონჩელოა და ამიტომ, ბუნებრივია, ამ თავგანწირული ღრიალის გაგონებისას რომელიმე ცნობილი მუსიკოსის ან კონსერვატორიის სტუდენტის გამოჩენას ველი.

ამ დროს ჟორიკაც მოგვიახლოვდა.

– ეს ვინ არის? – ვიკითხე მე. არაფერი მიპასუხეს.

– ბიჭებო, მიშველეთ, ჯიგრებო, ჩემი ინსტრუმენტი... უთხარით, სთხოვეთ, დამიბრუნონ, დავიღუპები უიმისოდ... დავიღუპები...

– სად არი ინსტრუმენტი, ჟორიკ, სად?

– რა ვიცი, წუხელ აქ შუხური იყო, ჩვენები და სოლოლაკელები... ერთი შემოვარდა, ამ უბნელია, სიფათზე ვცნობ... ინსტრუმენტი მთხოვა, მათხოვეო, წავიდა და წავიდა, მთელი ღამე არ მეძინა, ველოდი, ველოდი... არ მაიტანა... არ მაიტანა... დავიღუპე, დავიღუპე... ბ ი ჯ ე ბ ო ო... ჩემი დანა... ჩემი კუკლა, ტარზე შავტყავგადაკრული დანა სად არი?

– ვინ არი ჟორიკა? – მეორედ ვიკითხე მე.

– შენ კიდე რა მოგივიდა, ამ უბნელი საპოჟნიკია. ■

# ლევან ზარიძე

●

ღრუბელი – ქარის ნაცემი,
ცა – ერთი თავით მაღალი
და მთვარე გამოკვერილი
ქართველი ღმერთის ნამგალი.

სად გუშინდელი ღელვა და
სად დღევანდელი ავდარი,
ყეფს სულის სევდა-მორევში
მზე კოჭებამდე ჩამდგარი.

გზა – გაცვეთილი მუხლამდის,
ბოლო სიზმარი მაცხოვრის,
გული – გასული ყუაზე
და სინანული ნაცნობი.

ტანი – ჟრუანტელაყრილი,
მზერა – დაცლილი ბოლომდის,
ტირის ჩავლით თუ ჩაფრენით
ცას აცდენილი ფოთოლი.

ღრუბელი – ქარის ნაცემი,
ცა – ერთი თავით მაღალი
და მთვარე გამოკვერილი
ქართველი ღმერთის ნამგალი.

●

გვიცნობენ? არა, გვცნობენ,
შორი მზე ალმაცერობს,
ცელქობს საათი მაჯის,
ჩამორჩეს? არ არსებობს.

წავიდნენ? არა, მოვლენ,
ჩემი სიტყვის თუ გჯერა,
მზეც მოვა ცხრავე თვალით
და მთვარეც თვალებჭრელა.

ველოდოთ? არა, ლოდინს
უყვარს გულების ხეთქა,
მერე სინანულს მივცეთ,
რაც სიხარულმა ვერ თქვა.

მივსდიოთ? არა, მოგვსდევს
ბედი კოჭლობით, ფორთხვით,
ბავშვობის მიწურულზე
ცეცხლთან თუ თამაშობდი.

გვიცნობენ? არა, გვცნობენ,
შორი მზე ალმაცერობს,
ცელქობს საათი მაჯის,
ჩამორჩეს? არ არსებობს.

●

წუხელ სიზმრებმა გნახეს პირიქით,
ფეთქავდა სულში მზე ჩაკუჭული,
რა პატარაა სამყარო თურმე,
სივრცეში ჭკნება ქარის ჩურჩული.

ხმელი ღრუბელი ცას აჩუქურთმებს,
ყველა სიხარულს გულისთქმა ეწვის
და, როგორც ქარში ნაცემი ზარი,
დაღლილი სულიც ჰკიდია ბეწვზე.

●

ჭოტის ექო ქარის სიზმრებს ლექსავს
და ხეებზე თეთრი ცეცხლი ბღავის,
სხვისი გზები გაფრენილან უკვე,
შენი დარდი სათქმელადაც არ ღირს.

ხავსნაჭამი ნანგრევები სიტყვის
ზედ აყრია მშრალი ტუჩის ყორეს,
სხვისი გზები გაფრენილან უკვე,
მოდის უკვე შენი სიმარტოვეც.

●

სადაც გზები, იქაც შენი გასავლელი,
სული დაგაქვს ყველა ცისკრის გასაღები,
გასამდები, ცის გუმბათზე დასახლდები,
ღმერთის ცრემლი გაგიხდება დასალევი.

სხვას რას ელი, გემატება წლებზე წლები,
ერთი-ორი ტკივილი გაქვს გასაძლები,
დამარცხდები? ერთხელ ყველა
დავმარცხდებით,
ფრთა გაშალე, ჯერ ცა არის წასაქცევი.

●

ვერ გამიგია, რისთვის,
ვერც ის გავიგე, რატომ,
მზე ამოდის და ჩადის
და მე აქ დავთამაშობ.

ჩემი შენ გითხრეს (დღემდე),
ვერ გამიგია რისთვის,
წუთი მაკლდება ბოლო,
დრო გახდეს საკმარისი.

ისეც არ მინდა, უცებ
ჩაქრეს მორევი სისხლის,
ვერ გამიგია, რატომ,
ვერც ის გავიგე, რისთვის.

●

ქარმა წაიღო ხმაური პეპლის,
სულში გაიდგა ფესვი სიცივემ,
პირველი თოვლით დაჭრილი ღამე
მხრებიდან კანკალს ვეღარ იცილებს.

გამხმარ ხეს ისევ ფეხებთან უწევს
ზამთრის ცა – ცივად ჩამოფანტული,
გათენებულა და გულის ფეთქვა
ამ ფიფქებივით როგორ მატულობს.

ფოთლებს უხდებათ ხმელი ბარბაცი,
აეწვა ქალაქს გზები ტიტველი,
დღეს ბეღურებმა ფრთებში ჩაიდნეს
გაბერწებული თოვლი პირველი.

ქარმა წაიღო ხმაური პეპლის,
სულში გაიდგა ფესვი სიცივემ,
პირველი თოვლით დაჭრილი ღამე
მხრებიდან კანკალს ვეღარ იცილებს.

●

კოკა გაუტყდა ღრუბელს,
გადაიღეღა მკერდი,
ცრემლი გაექცა თავქვე,
ცრემლი მომისვა გვერდით.

გადაყოლია თქარუნს
გაუხედნავი ხევი,
ელავს და თითქოს ბევრგან
ცა არის დასახევი.

გამოიდარებს სულში,
გაღმა დატოვებს ნარიყს,
ღრუბელი მიყვარს ქარის
ჩემი ბედივით წყნარი.

კოკა გაუტყდა ღრუბელს,
გადაიღეღა მკერდი,
ცრემლი გაექცა თავქვე,
ცრემლი მომისვა გვერდით.

●

მოგონებები გართობს,
ხსოვნას არ უყვარს ფიქრი,
ნეტა, რა უნდა იყოს
ანდა ვინ ამ ცის იქით.

როცა ცალფეხა კაცის
ნაბიჯს მზის სხივი ტკეპნის,
დაიმახსოვრეთ, ძმებო,
მკვდრებს სტკივათ არაფერი.

იქნებ, დროებით მოსულ
ფოთლებს არ ესმით შენი,
რა გაუწყალე გული
ქარდაქარ თამაშებით.

მოგონებები გართობს,
ხსოვნას არ უყვარს ფიქრი,
ნეტა, რა უნდა იყოს
ანდა ვინ ამ ცის იქით.

●

ქარში ხმაური სიჩუმეს უდრის,
ბოლოს მუნჯდება ყველა საყვირი,
ვეღარ ვუყურებ გახელილ თვალით
ღიმილთან ერთად დამჭკნარ საყურეს.

ქარში სირბილი – გიჟების დოღი,
ბოლოს კოჭლდება ყველა ნაბიჯი,
აი, წეღანაც გადაიწივლეს,
ვერ დაეწევი, თუ არ გაგიჟდი.

●

ნეტა გცოდნოდა მეტი,
ვიდრე "ანი" და "ჰოე",
რას ემართლები ახლა
გაფრენილ საღამოებს.

ჩუმად გცოდნოდა შენთვის
ბოლო სიზმარი ღმერთის,
სულის კედელზე როცა
ბრდღვიალებს სამსჭვალეთი.

ერთი გქონოდა ნეტა
ცისკენ ბილიკი ჭრელი,
ჩაილოცებდი ფიქრებს
ნისლების დამაჭრებით.

ნეტა გცოდნოდა მეტი,
ვიდრე "ანი" და "ჰოე",
რას ემართლები ახლა
გაფრენილ საღამოებს.

# facebook მიმოხილვები

## დასაწყისი

დიდი ხანია, ლიტერატურამ ჟურნალ-გაზეთებიდან ინტერნეტ სივრცეში გადაინაცვლა. ახლა გაცილებით უფრო მეტი მხატვრული ნაწარმოები თავსდება სხვადასხვა საიტზე, ვიდრე - პრესის ფურცლებზე.

ამ პროცესმა ერთი დადებითი ასპექტი მართლაც მოუტანა ლიტერატურას - ერთმანეთთან უფრო დააახლოვა ავტორი და მკითხველი და მათი ურთიერთობა უფრო ინტერაქტიული გახადა.

დღესდღეობით, საინფორმაციო ბაზარში სოციალური ქსელების აბსოლუტურმა მონოპოლიამ ყველა ბეჭდური გამოცემა აიძულა, რამენაირად დაკავშირებული იყოს სხვადასხვა საიტთან. სწორედ ამ მიზნით თავსდება ,,ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული მასალები სხვადასხვა ინტერნეტსაიტებზე.

დარწმუნებული ვართ, გაზეთის მკითხველს ძალზე აინტერესებს, თუ რა გამოხმაურებები აქვს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ სტატიებს სოციალურ ქსელში.

სწორედ ამიტომ, შევქმენით ყოველთვიური რუბრიკა - **მკითხველის ხმა** - რომლის ფარგლებშიც ჩვენი გაზეთის მკითხველს საშუალება მიეცემა, ბეჭდური სახით გაეცნოს კონკრეტულ ნაწარმოებზე ინტერნეტმკითხველის გამოხმაურებას.

,,ლიტერატურული საქართველოს“ ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა ახალგაზრდა პოეტისა და კრიტიკოსის **დიმიტრი ბახუტაშვილის** წერილი: ,,თეთრი ვარდი ანუ ვანგას და ადოლფის სისხლიანი ოპერა (სალომე ბენიძის ერთი ლექსის ინტერპრეტაცია)“, რომელმაც, ბევრი მწერლის აზრით, გამოაცოცხლა ლიტერატურული პროცესი. ხსენებული წერილის გამოხმაურებების რაოდენობამ ყველა რეკორდი მოხსნა - ინტერნერტგვერდებზე უამრავმა ადამიანმა გამოთქვა საკუთარი პოზიტიური თუ ნეგატიური მოსაზრება დიმიტრის კრიტიკასთან დაკავშირებით და მწვავე კამათიც გაიმართა. თავისი აზრი დააფიქსირა უამრავმა ნეიტრალურმა მკითხველმაც, მოგვიანებით კი კამათში პროფესიონალი ლიტერატორებიც ჩაერთვნენ და დისკუსია უფრო საინტერესო გახდა. კომენტარების საერთო რაოდენობამ კი რამდენიმე ასეულს გადააჭარბა.

,,ლიტერატურული საქართველოს“ დღევანდელ ნომერში მკითხველს სტილის სრული დაცვით ვთავაზობთ ამ გამოხმაურებების გარკვეულ ნაწილს.

წერილი რომ ოსტატის ხელითაა დაწერილი, არა მგონია, ამაზე ვინმემ იდავოს.

ასეთი კეთილგონივრული, ლაღი და დახვეწილი ტექსტი უიშვიათესია. “პოეზიის სამსახურში” ამგვარი ავტორები და მსგავსი კრიტიკული ხედვები უპირობოდ, მუდმივად არსებობენ ხოლმე, მიუხედავად იმისა, ეს მოსწონს, ვინმეს თუ არა.

ავტორი: **ნატალია ბერძენიშვილი**

მეტად ღირებული წერილია, თავისთავად არც ავტორს აყენებს ზიანს.

მივესალმები და წარმატებებს ვუსურვებ ასეთი კრიტიკის ავტორს - მწვანე გზა!

ავტორი: **Lala Ne**

ანუ მარტო მე მგონია, რომ ასე კრიტიკული წერილი არ უნდა იწერებოდეს? ყველაფერში ვეთანხმები დიმას, მაგრამ ლიტ. გაზეთებსა და ჟურნალებში ასეთი წერილები არ უნდა იბეჭდებოდეს.

ამას ჰქვია ავტორის გაფარჩაკება პირდაპირი მნიშვნელობით, რაც მიუღებელია. არსებობს გარკვეული ნორმები, რომელიც კრიტიკის ავტორმა უნდა დაიცვას, რომ უშუალო შეურაცხყოფაზე არ გადავიდეს ნურავინ შემედავება ამაში.

არც კრიტიკის ენითაა დაწერილი. ეს არის სამეგობრო წრეში (ვთქვათ ლიტ. სალონში) ნათქვამი სიტყვა.

ავტორი: **ბექა ყორშია**

როგორი დონის წერილებს უნდა ბეჭდავდეს ლიტ. ჟურნალ-გაზეთები, ამის განსაზღვრა მეტისმეტად პირობითია; დილეტანტიზმი ისეთი ოხერი რამაა, უნებურად აღენიშნებათ ხოლმე ადამიანებს და, ხშირ შემთხვევაში, ამ ტერმინის გამოყენება საკუთარი პოზიციის დაცვის უნიათო „გარანტი“ ხდება.

არა მგონია, მკითხველის გაფარჩაკება (პირდაპირი მნიშვნელობით:) მისაღები რამ იყოს, აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ აქ შეურაცხმყოფელი არაფერია, და არც იმაზე, რომ გარკვეული ნორმები, რომელიც კრიტიკის ავტორმა უნდა დაიცვას ამ წერილში სრულიად დაცულია. დიმას კრიტიკა სწორედ კრიტიკული ენის თავისთავადობითაა საინტერესო, ენის მოქმედების არეალი კი, ჩვეულებრივ, შეუზღუდავია.

ავტორი: **ნატალია ბერძენიშვილი**

მიმაჩნია, რომ ლიტერატურული კრიტიკა აქ, ჩვენთან სუბიექტურია, სხვა ქვეყნებში როგორაა საქმე, არ ვიცი. ნუ ვტკენთ ერთმანეთს გულს, ის ხომ ასეთი სათუთია, განსაკუთრებით კი შემოქმედი ადამიანის. არ შეიძლება, ლამაზი მხრიდან შევხედოთ ერთმანეთს?..

ავტორი: **ეკა ქურხული**

ნუთუ იმდენად ყოვლისმომცველია თანამედროვე ქართული სალიტერატურო კრიტიკა, რომ ცალკეულ ავტორთა ცალკეულ ლექსებს მთელი სტატიები ეძღვნება?

ავტორი: **რაულ ჩილაჩავა**

კომეტარებში ამოვიკითხე, - კრიტიკული ენა (ალბათ, სტილზეა მინიშნებული) არ გააჩნია ნაწერსო... ვაჰ, რა საინტერესოა, რა ენაზე მეტყველებენ კრიტიკოსები? ან, რატომ უნდა უნდოდეს მავანს სტანდარტულ კლიშეებში მოქცეული საკითხავი? სტილი გამართულია, აზრიც გამართულია, სათქმელი ნათქვამია, ლოგიკა დაცულია, სათაურში გამოტანილი მეტაფორები ნათელია (ახსნილია), შრიფტი მისაღებია, აბზაცები დაცულია, ქვეპუნქტები გამოყოფილია, ავტორი გაცხადებულია, კრიტიკის ობიექტი (ლექსი) ნამდვილად უხარისხოა... დიმა, მშვენიერი ნაწერია... ყველა დანარჩენი პრობლემა მოდის ჩვენი პრიმიტიული - “სადღეგრძელოს” პონტში აღქმული და მიღებული პრინციპებიდან...

ავტორი: **მიშა რატიანი**

გეთანხმებით, ბ-ნო მიშა, მშვენიერი ნაწერია, მაგრამ ხომ შეიძლება კრიტიკაში რაღაც, ოდნავ მშვენიერზეც იყოს ყურადღება გამახვილებული თუ მხოლოდ უნდა გავკიცხოთ ავტორი?

ავტორი: **ეკა ქურხული**

ეკა, ცხადია... კრიტიკული ნაწერი ჰქვია იმ ტექსტსაც, სადაც განსახილველი მასალის თუნდაც მხოლოდ ღირსებებზეა საუბარი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველა ტექსტში აუცილებელია ამგვარის არსებობა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში საუბარია ერთადერთ უხეირო ლექსზე (მიუხედავად მისი გარეგნული სიკეკლუცისა) და რაც ყველაზე მთავარია, დიმას თვალი ჩასწვდა სწორედ იმ უხეშ შეცდომებს, რომლებიც მიუხედავად პოეტურ-ენობრივი ნორმების სრული დაცვისა, აზრობრივად დაუხვეწავია... არცთუ იშვიათია ამგვარი პოეტური ტექსტები: ერთი შეხედვით გარკვეულ განცდას როცა იწვევს (ლამაზია, პოეტურია...), მაგრამ სრულიად დაკარგული აქვს ღირსება, ელემენტარულად ლოგიკაში ვერჯდომის გამო. პოეტურ ლოგიკას ვგულისხმობ, თორემ საყოველთაო ლოგიკის ძიება შემოქმედებაში სისულელეა. ამდენად, დიმას უბრალოდ არც ჰქონდა რაიმე პოზიტივის ძიების არც სურვილი და არც საშუალება...

ავტორი: **მიშა რატიანი**

ეს არის ძალიან მაგარი ტექსტი, გინდა კრიტიკა უწოდეთ გინდა - ესე. დიმა არის მხეცი, ანუ ერთგვარი ტყის სანიტარი, გავწმინდოთ პოეზია ელიტარული სიბნელისგან.

ავტორი: **მინდია ცეცხლაძე**

ვატყობ, კრიტიკის ცნება ზოგს არასწორად ესმის. კრიტიკა არ არის მხოლოდ ის, რამაც ავტორი უნდა გაზარდოს ან მკითხველის გემოვნების დახვეწაზე იფიქროს. ეს დეფინიციები კრიტიკას ავტონომიურობას უკარგავს. არადა, ის ლიტერატურის ისეთივე დამოუკიდებელი დარგია, როგორებიცაა: პროზა და პოეზია. მაგალითად, თამაზ წივწივაძის კრიტიკული წერილები, ამავე დროს, ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოებები, თვითმყოფადი ტექსტებია. ამიტომ, წაიკითხეთ ეს წერილი, როგორც მხატვრული ლიტერატურა.

ავტორი: **ლექსო დორეული**

ბექა, შენი მოწოდებები, მაგ.”თვალები გაახილეთ” საკმაოდ თავხედურია, თავხედობას აქ რაღაც ქუჩურ-ხულიგნური გაგებით არ ვგულისხმობ, რასაკვირველია ამგვარ, - პირობითად ლიტერატურულ - თავხედობას საკმაო “დუხი” და თავდაჯერება სჭირდება ვაფასებ, რომ ეს ყველაფერი გაქვს. მაგრამ, მოდი დაფიქრდი, რა დავწერე მე და რა - შენ. მე გავაშინაარსე, მიზანსცენაში ჩავსვი ბენიძის ტექსტის ერთი მონაკვეთი, ხოლო შენ ის დააკოპირე და თქვი, რომ მარაზმია. თუ მარაზმს უარგუმენტობას ეძახი? შენ არ შემოგითავაზებია სხვაგვარი გაშნაარსების არცერთი ინტერპრეტაცია. თუ თავად ფორმას ეძახი მარაზმს, მაშინ შეგახსენებ, რომ სულ ახლახანს, - მრავალი კონფორმისტის და არაკონფორმისტის და ჩემს თვალშიც ძლიან კარგი კრიტიკოსის- ლევან ბრეგაძის წერილი გამოქვეყნდა სადაც ის ტარიელ ჭანტურიას ტექსტების უხარისხობას ამტკიეცებს. იცი როგორ? ანალოგიური ვერსიფიკაციით და ესთეტიკით წერს იგივე “სიმაღლის” და მორალის სხვა ლექსებს: აი, მე არაპოეტი კაციც კი ვწერ, რა უნდა ამის დაწერასო. ახლა გეკითხები, არის თუ არა ეს მარაზმი? კრიტიკა ისეთივე ლიტერატურაა, როგორც დანარჩენი სხვა და მე მაქვს არჩევანის თავისუფლება, მაგალითად ახლა ვირჩევ იმას, რომ შენი “კრიტიკის კრიტიკა” მეტისმეტად სულელური და “ლაწირაკული” მგონია. ეგ დადებითი თავხედობა არავისზე ნაკლები არ მაქვს.

**P. S.**

მადლობა უკლებლივ ყველას, ვინც წაიკითხა. მე ლიტერატურის გადარჩენა ან რამე მსგავსი არ მქონია მიზნად, აზრი მაქვს და გამოვთქვი, ვისაც სიამოვნებს, წაიკითხავს ვისაც იგივე აზრი აქვს - გაუხარდება.

ავტორი: **დიმიტრი ბახუტაშვილი**

სწორედაც რომ, მკითხველის გემოვნების დახვეწაზე უნდა იფიქროს კრიტიკამ. ისე, ლექსო, აჯობებს, რომ სასკოლო ლიტერატურის კრიტიკაზე უფრო მეტი იმუშაონ კრიტიკოსებმა.

ავტორი: **ეკა ქურხული**

ეკა, არასწორი და არაკომპეტენტურია შენი შეხედულებები. ამ საკითხზე რომ მეკამათო, მინიმუმ როლან ბარტის, დერიდას, გადამერის და ბოდრიარის შეხედულებები უნდა გქონდეს წაკითხული კრიტიკაზე. ასევე, ჰაიდეგერის და ზედლმაიერის კრიტიკული წერილები რილკესა და ჰოლდერლინზე. ამის მერე კი, ვიკამათოთ ან მეორე ვარიანტია, მაგ კონიუქტურიდან უნდა გამოაღწიო ინერციით (ბუნებით გამოღწევაში დახმარეაბს ზემოთ ჩამოთვლილი ავტორების ტექსტების შესწავლა გაგიწევს).

ხოდა, თუ ამ ავტორებს ვერ წაიკითხავ, მე აგიხსნი მოკლედ: მკითხველის გემოვნების დახვეწა კრიტიკის მხოლოდ შედეგი შეიძლება იყოს, და არა - დანიშნულება. და ახლა არ გინდა, ეს ,,ლიტერატურშინა“ გამოსვლები.

რაც შეეხება ამ წერილს და სალომე ბენიძის ლექსს, ჩემი აზრი ასეთია: წერილი საკმაოდ დინამიურად, საინტერე-

სოდ და ცოცხლად აკითხებს მკითხველს თავს - რაც ყველაზე მთავარია. კარგია ისიც, რომ რეალურად დიმას კრიტიკა, როგორც ცალკე აღებული ლიტერატურული ნაწარმოები, მაღალი ხარისხისაა და დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მისი იქ გამოთქმული აზრები უტყუარი ჭეშმარიტებაა თუ არა. თუმცა, ჩემი აზრით, ობიექტურობის დონე მაღალია. რაც შეეხება სალომე ბენიძის ლექსს, ის ძალზე უბადრუკი და გულისგამაწვრილებლად მარაზმულია.

ავტორი: **ლექსო დორეული**

მე ცხოვრებამ მასწავლა და იქ წავიკითხე, როლან ბარტი, დერიდა, გადამერი და ბოდრიარი... შენს ახსნილს ვენდობი და მაინც, ვეცდები წავიკითხო.

ავტორი: **ეკა ქურხული**

მიუხედავად იმისა, რომ მგონია, ამ ჩვენს დემოკრატიულ ქვეყანაში ყველას აქვს თავისი აზრის გამოთქმის უფლება, მიუხედავად წერილის ავტორისადმი ჩემი სიმპატიისაა, ამ კრიტიკული წერილის ავტორსაც ვუთხარი-წინასწარგანზრახული ჩაკირკიტებაა-მეთქი, რაც ცუდია. მეორე - ,,უბადრუკი და გულისგამაწვრილებლად სუსტი" - მეტისმეტად შეურაცხმყოფელი შეფასებაა, კრიტიკა კიდევ ოქროს შუალედი, სადაც ძალიან უნდა ეცადოს ადამიანი, რომ პიროვნულ შეურაცხყოფაზე არ გადავიდეს პატივისცემით, სალომეს პირველი და მეორე წიგნების რედაქტორი.

ავტორი: **დიანა ანფიმიადი**



დიანავ, სალომეს პირველი და მეორე წიგნის რედაქტორო! თუ თვალი არ მატყუებს, მაგ სიტყვებით არაოფიციალურად შევაფასე ტექსტი და არა - ავტორი. და სალომეს ეგ ტექსტი რომელი ,,ბიბლია" ან ,,უპანიშადებია", რომ მისი შეურაცხყოფა საერთოდ შესაძლებელი იყოს? მე როდესაც ტექსტს ვაანალიზებ, სულ არ ვფიქრობ იმაზე, ვინაა ავტორი. თორემ კრიტიკა რომ ოქროს შუალედია და თეთრი მტრედი რომ უნდა ავაფრინოთ გულიდან, მაგაში ეჭვს რა შემატანინებს. ხოდა, კიდევ, დიანა მეგობარო, ამ ახალი წიგნის რედაქტორობის პატივიც შენ გხვდა წილად?

ავტორი: **ლექსო დორეული**

დიახ, ლექსო, შეგიძლია ჩემი გულისგამაწვრილებელი და მარაზმული სტრიქონებიც გამოყო, არაა პრობლემა, კრიტიკა გვზრდის. ერთადერთი, იმ ადამიანების მსგავსად, ვინც ამ დიალოგზე გამახსენდა - გადამდგარ პოლიციელს და ეროვნულ უმცირესობას ნუ მიწოდებ, ოღონდაც.

ავტორი: **დიანა ანფიმიადი**

ვცადე, ავტორისგან დამოუკიდებლად წამეკითხა, ყოველგვარი სუბიექტური დამოკიდებულებისგან გავთავისუფლებულიყავი (თუმცა, ის არც მაქვს) და ისე წამეკითხა ეს წერილი. მაინც არ გამოვიდა. სადღაც, სხვა გვერდზე ზაალ ჩხეიძის კომენტარს მოვკარი თვალი და ვეღარ ვიპოვე. ძალიან კარგად და არგუმენტირებულად ჰქონდა ჩამოყალიბებული აზრი. თავისთავად, მცდელობა იმისა, რომ პოეზიაზე დაიწეროს, კარგია, თუმცა იმ სინამდვილეში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ და იქ, სადაც ლიტერატურულ პროცესზე არაფერი იწერება, რომელსაც ერთი და ორი კი არა, სხვადასხვა ღირებულებების და ესთეტიკის მქონე ავტორები ქმნიან, ერთი კონკრეტული ავტორის ერთი კონკრეტული ლექსის ანალიზზე დროის ხარჯვა ჩემს თვალში სუბიექტურობას ვერაფრით სცდება. არც იმ აზრს ვიზიარებ, რომ კრიტიკა არის ხელოვნება - სხვის ხარჯზე ისე გამდიდრდე სულიერად, რომ ქურდობა ვერავინ შეგნიშნოს, პირიქით - ჯანსაღი კრიტიკა აუცილებელიც კი მგონია, მაგრამ დასაწყისშივეა შეცდომა დაშვებული, როცა წერილის ავტორი პედალირებს "ელიტარულ" წრეებზე და სოციალურ სტატუსზე. მე მაინც მგონია, რომ მანამ ადამიანები ჩვენი პირადი დამოკიდებულებებიდან არ გამოვალთ, არც კრიტიკას და არც პოეზიას არაფერი ეშველება.

ავტორი: **კატო ჯავახიშვილი**

კატო, რეცეფციული ესთეტიკის თეორიაში უტყუარ ჭეშმარიტებადაა მიჩნეული, რომ თავად ფენომენოლოგიური რედუქციაც კი, რომელიც ყველაზე უფრო მეტად არის ესთეტიკური უანგარობის შესაძლებლობის მქონე მეთოდი - არ იძლევა განწყობებისაგან სრულიად აბსტრაჰირების (განყენების) საშუალებას და ეს არცაა აუცილებელი. ამიტომაც ჭეშმარიტების დადგენის პრეტენზია არც არავის აქვს. ყველა ისეთ მხატვრული საზრისის სიცოცხლეს ანიჭებს ტექსტს, როგორიც მის რეფელქსიაში მოეცემა. დიმას ასეთი ინტერპრეტაცია მოუვიდა, პავლეს ისეთი... რაც არც არის სავალდებულო, რომ ავტორის ჩანაფიქრს ემთხვეოდეს. ავტორიც ერთი რიგითი ინტერპრეტატორია თავისი ტექსტის და მეტი არაფერი.

ავტორი: **ლექსო დორეული**

გეთანხმები, ლექსო ტექსტისაგან სრულად განყენება შეუძლებელია, ეგრე კანტი სრულად "სუბიექტიდან" გამოდიოდა, აპრიორული გულისხმობს სუბიექტურობასო, მაგრამ ეს სხვა ამბავია, მაშინ ისეთ დონეზე და სიღრმისეულად უნდა მიდიოდეს განხილვა, რომ ეს ყველაფერი ზედაპირზე იყოს წამოწეული. მე აქ "ცინიზმმა" მეტად გამაღიზიანა და მომეჩვენა, რომ წერილის ავტორი ტექსტიდან კი არა, პირველ რიგში, პერსონიდან გამოვიდა.

ავტორი: **კატო ჯავახიშვილი**

კატო, კანტი ,,სუბიექტურიდან" რომ გამოდიოდა ან აპრიორული რომ გულისხმობს სუბიექტურობას, სად წაიკითხე? ამ კრიტიკაში კი სალომეს პიროვნულ თვისებებზე არ მგონია, ლაპარაკი იყოს.

ავტორი: **ლექსო დორეული**

სუბიექტი აიძულებს აპრიორულ ცოდნას ემპირიულ ცოდნასთან გაერთიანდეს - ასე უფრო ზუსტი იქნება. ამ თემებზე სხვა დროს შეგვიძლია უფრო დაწვრილებით ვისაუბროთ, მე საკმაოდ ბევრი წელი შევწირე ამას წერილი კი, როგორც ლიტ-კრიტიკა ვერ აღვიქვი, რა ვქნა.

ავტორი: **კატო ჯავახიშვილი**

ვახ, მართლა დამაინტერესა, კატო, სად უწერია კანტს ეგ, ვერ მიმითითებ? ჩემი აზრით, ნონსენსს ამბობ და იმიტომ. აპრიორული ცოდნა არის ეპისტემეს ის ტიპი, რომელიც არასოლიფსისტურია და ამიტომ შეუძლებელია ადამიანმა მას რამე აიძულოს. შენ თუ ,,ნივთი თავისთავადისა" და ,,ნივთი ჩემის" პარადიგმაზე საუბრობ, ეს სხვა რამეა.

ან მეორე ვარიანტია: იმას ხომ არ გულისხმობ, რომ ცოდნის აპრიორულობა ემპირიულად უნდა დაფუძნდეს?

ავტორი: **ლექსო დორეული**

ცოდნის აპრიორობაზე ვსაუბრობ, კი. ის, რომ ის უნდა გაერთიანდეს ემპირიულ ცოდნასთან. საიდან სადაო და ამ წერილიდან - კანტამდეო მოკლედ, ჩემი აზრი გამოვთქვი, არც დიმაა ჩემი მეგობარი და არც სალომე. სრულიად ობიექტური ვარ ამ შემთხვევაში.

ავტორი: **კატო ჯავახიშვილი**

აზრი შემექმნა, რომ თანამედროვე ქართულ პოეზიაში ამაზე საშინელი არაფერი იქმნება, ვინაა ეს გოგო (სალომე ბენიძე), ამას დუღუპავს ჩვენი კულტურა!

ააა! მივხვდი! სექსსა და გენიტალიებზე არაფერს ამბობს და ლექსს ლექსად ვინ ჩაუთვლიდა?!

ავტორი: **მარიკა პიტიურიშვილი**

სალომე ბენიძე - "ილარია". ყოველგვარი ღრმადფილოსოფოსობის გარეშე: ყოველთვის ინტერესით ვკითხულობდი მის ლექსებს და მომწონდა. ჩემი კრიტერიუმი ასეთია: რაც მომწონს ყოველთვის მამახსოვრდება, შესაბამისად, მახსოვს მისი ლექსები. სალომეს არაჩვეულებრივი თარგმანებიც აქვს. თუ რომელიმე კრიტიკოსს სურს აზრის გამოთქმა, შეუძლია ეს ცინიზმის გარეშე გააკეთოს, აი, მაშინ იქნება ეს კრიტიკა სასარგებლო სალომესთვის. წარმატებები მის ახალ წიგნს.

ავტორი: **ნინო ქოქოსაძე**

კარგია, რომ კრიტიკული წერილები იწერება. ეს ერთი. მეორეც, კრიტიკას ბუნებრივად მოჰყვება გაკრიტიკებულის გულისტკენაც და ესეც გასაგებია. ჩემთვის გაუგებარია, რატომ იქცა ბატონი დიმიტრის სარკასტული კრიტიკის მსხვერპლად მაინცა და მაინც ქ-ნი სალომე (მისი სახელი პირველად გავიგე) და მაინცა და მაინც ეს ლექსი? მე აქ ვერაფერი საგანგაშო ვერ შევნიშნე. ამგვარი პოეტები და უფრო სახელმოხვეჭილნიც მრავალნი არიან ჩვენში, სახელმოხვეჭილნი სწორედ აქ გაკრიტიკებულის მსგავსი ლექსებით. ბატონ დიმიტრის შეეძლო ერთნაირი წარმატებით დაეტეხა მათთვის სარკაზმის ქარიშხალი. ისე, კანტი მეც წამიკითხავს, მაგრამ კანტის გარეშეც შემიძლია ლექსის ავკარგიანობაზე მსჯელობა. გნებავთ, უგემოვნო მიწოდეთ, მაგრამ სულ არ მეჩვენება აქ მოყვანილი ლექსი მარაზმული. რაც გაუგებარია ბატონი დიმასათვის, ის გასაგებია, ჩემთვის! თქვენ უფლება გაქვთ გააკრიტიკოთ ნებისმიერი ავტორი (ანასაც უკიჟინებდნენ ყაყაჩოს ღვინო სალხინო ვის გაუგონია და გალაკტიონსაც რა უბედურებაა: "ჩემი ლურჯა ცხენები ქროდნენ ეფემერული და ფერადი ქარებითო", მაგრამ მერე რა?), მაგრამ კრიტიკოსის საუკეთესო თვისებაა მიუკერძოებლობა, ტაქტი და ობიექტურობა. კრიტიკამ ღვარძლი კი არ უნდა თესოს, ღვარძლი უნდა აღმოფხვრას... ასე მესმის მე. სხვაფრივ მშვიდობით ბრძანდებოდეთ და შენდობით... და ა. შ. და ა.შ.

ავტორი: **დარეჯან კვანჩიანი**

*„ალო, ადოლფს იცნობთ?*

*- დიახ, ჩემი მეგობარია (სატრფო, მეუღლე ...)*

*- იცით? ძალიან ვწუხვარ... ადოლფი გარდაიცვალა, ვიზიარებ ქაბატონო, ორშაბათს გადაასვენებენ ოჯახში.*

*- როდის?*

*- წუხელ.*

*- რით?*

*- თავი ჩამოიხრჩო.*

*- ლურჯი „კაშნით" ხომ არა?*

*- ... დიახ...*

*- უიჰ, (ილიმის).,,* - დიმიტრი ბახუტაშვილის წერილის ეს ნაწილი რომ მართლა ლექსის ნაწილი იყოს, მაგალითად, გაგრძელება, ალბათ, არავის გაუკვირდებოდა.

ავტორი: **გიორგი პატარაია**

მოამზადა

***თეკო დადიანმა***

***(გაგრძელება იქნება)***

# გოდერძი ჩოხელის „ნაკვალევზე“



*„კაცი კარგად რომ დაუფიქრდეს, ჩვენს სამშობლოში ერთ მთლიან მუზეუმს ამოიცნობს. მუზეუმს, რომლის ყოველ კუთხე-კუნჭულში უნიკალური ექსპონატებია მიმოფანტული.*

*კიდევ უფრო მეტად თუ ჩაუკვირდება, იმასაც აღმოაჩენს, რომ ყოველდღიურობაში ღრმად ჩაფლულნი ამ მუზეუმის მხოლოდ ერთ ოთახს ვტკეპნით და იშვიათად, რომ მისი დატოვება მოგვიხდეს.*

*ამ პატარა ოთახში მოფუსფუსეთაგან უდიდეს ნაწილს სურს, მოიაროს მთლიანი მუზეუმი, მაგრამ „გარკვეული პრობლემების გამო“ სურვილი სურვილადვე რჩება. დანარჩენ მოფუსფუსეთა აზრით კი – სულ არ არის აუცილებელი თითოეული ექსპონატის საკუთარი თვალით ნახვა – მათი მონიტორზე მონახულებაც საკმარისია...“* – ასე წერია შესანიშნავი, კულტურულ-შემეცნებითი მიზანდასახულობის ორგანიზაციის - „ნაკვალევი“ – facebook-ის ვებგვერდზე. და, რაც მთავარია, „ნაკვალევის“ წარმომადგენლები ყველა ღონეს ხმარობენ, ადამიანები, რომლებიც იმ „ერთ ოთახს ტკეპნიან“, გარეთ გამოიყვანონ და საშუალება მისცენ, იმოგზაურონ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მოინახულონ იქ გაბნეული ღირსშესანიშნაობები და გაეცნონ ჩვენი ქვეყნის ისტორიულ წარსულს.

ერთ-ერთი ასეთი ტური, რომელიც „ნაკვალევმა“ დაგეგმა, ტრადიციული – შემეცნებითი და ესთეტიკური მნიშვნელობის გარდა, სხვა დატვირთვასაც ატარებდა. ხსენებული ორგანიზაციის წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს, გამოხმაურებოდნენ ცნობილი ქართველი რეჟისორის, პროზაიკოსის, პოეტის... გოდერძი ჩოხელის საიუბილეო თარიღს. საყვარელ შემოქმედს, რომ არა მისი უდროო გარდაცვალება, 2 ოქტომბერს 59 წელი შეუსრულდებოდა...

ამ საყურადღებო მოვლენასთან დაკავშირებით, „ნაკვალევმა“ გადაწყვიტა, საზოგადოებისთვის ორიგინალური და მეტად შთამბეჭდავი ტური შეეთავაზებინა.

ორგანიზაციის წარმომადგენლები დაუკავშირდნენ ცნობილ ახალგაზრდა პოეტებს და სთხოვეს, ტურის ბოლოს გაემართათ პოეზიის საღამო, რომელიც მიეძღვნებოდა გოდერძი ჩოხელის ამ დიდ, წინასაიუბილეო თარიღს.

„ნაკვალევმა“ ტურში მონაწილეთათვის ჩაატარა ინტელექტუალური თამაში: „ლიტერატურული რა? სად? როდის?“. მანამდე კი მათ საშუალება მისცა, მოენახულებინათ გოდერძი ჩოხელის საფლავი. შემდეგ მონაწილეები ეწვივნენ გოდერძი ჩოხელის მშობლიურ სოფელ ჩოხში არსებულ სკოლას, რომელსაც საჩუქრად გადასცეს უამრავი საინტერესო წიგნი – როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე ლიტერატურა.

გზად საშუალება მოგვეცა, გვეცქირა გუდამაყრის ულამაზესი ბუნებისთვის - შემოდგომას ხომ განსაკუთრებულად შთამბეჭდავი ხედები იშლება საქართველოს ამ რეგიონში.

სულ ბოლოს კი, დაპირებისამებრ, სახელდახელოდ ანთებულ კოცონთან ახალგაზრდა პოეტების: ლევან მაისურაძის, დიმიტრი ბახუტაშვილის, გეგა ოდიშელის, გიო ლაცაბიძის და ლექსო დორეულის – პოეზიის საღამო გაიმართა.

გაჰყევი „ნაკვალევს“ – ის მომავალშიც მრავალ შთამბეჭდავ სანახაობას გპირდება.

***მარიამ თეთრაძე***

ლექსო დორეული

## ნელი ბუაძე – ჩემი ქართულის მასწავლებელი...

ნელი ბუაძე – ჩემი ქართულის მასწავლებელი. მუდამ მხნე და ამაყი, გულით რომ დაატარებს შენს ჩუმ სიყვარულს.

დიდი, ფიქრიანი, ნაღვლიანი თვალები – სამყარო ადამიანში, ადამიანი, როგორც მიკროკოსმოსი...

ნელი ბუაძე – ულამაზესი ქალბატონი და ჩემი მოსიყვარულე დედობილი – ზის თავის კაბინეტში, ხელში გადაშლილი სულხან-საბას „ლექსიკონი ქართული“ უჭირავს და მელოდება. მჩუქნის. მე ძალიან მიხარია. თან ვიმორცხვებ. „ოჰ, ნუ იცი ხოლმე, კაცო, მინდა და გჩუქნი!“ – მეუბნება თავისებურად... მისი ხმა – ბროლის ტკბილი სევდა – ქვაში გამოკვეთილი მოძრაობა...

ნელი ბუაძე – ქარში სივრცის მირაჟის გაელვება – მიდიხარ მასთან, ორი ნაბიჯიც და... შეხვედრის წამი მოიცავს სივრცეს... მარადიული აწმყო... უახლოვდები მასში მელანივით ჩაღვრილ სინათლეს და „თოვლია შენში“. თოვლი ეს ინტუიციაა... ეს სიყვარული კი გასროლილი ტყვიის მიდევნება...

სასწავლო წელი დაიწყო. უკვე 2013 წელია. 23-ე სკოლის კარს აღებ, როგორც წინათ. იქ აღარ ასწავლის, წამოვიდა...

აღარც შენ ხარ მოსწავლე და არც ის მასწავლებელი. მაგრამ გულში ანთებული ღიმილი ტუჩებზეც წვება – ჰარმონია ყოველთვის მარადიულია – საგნებს ქაოსით აწესრიგებ. თვალებს ხუჭავ და ფიქრში აგნებ – ის სკოლაშია და გელის. ზის თავის მაგიდასთან, ნაღვლიანი. ხელში „ლიტერატურული საქართველო“ უკავია. შენ შედიხარ ოთახში. „ლექსო, სად დამეკარგე, ბიჭო, როგორ გამახარა გაზეთმა, სად დაიკარგე, ბიჭო“.

ის ისევ ჩემი მასწავლებელია. მუდამ თავზე მადგას, როგორც მეტაფიზიკური რედაქტორი – მტუქსავს, საშუალებას მაძლევს, მოვაწყო „გაქცევა საკუთარი თავისკენ“.

ვფიქრობ, როგორ ვერ მოვინახულე ამდენ ხანს. აი, იქით კვირაში უსათუოდ *მივალ მასთან სახლში!*

*„დრო არასოდეს არ არის ცოტა*
*და არც ბევრი,*
*ის ყოველთვის საკმარისია,*
*უკმარია მხოლოდ სურვილი...*
*ღრმაა წუთი, ჭასავითაა,*
*როცა გიყვარს, ისე ლივლივებს...“*

ახლა გაზეთი მიჭირავს – დრო და სივრცე ერთ წერტილში იკვრება – შეხვედრა ფურცელზე, შეხვედრა მკითხველის თანდასწრებით.

აქ უერთდება სკოლის ქუჩას ჰაერის ნაცრისფერი ნაკადი, აქ, მეხსიერებაში.

ნელი ბუაძე – ჩემი გენიალური ქართულის მასწავლებელი, დიდი ადამიანი და მეცნიერი...

მე ის ძალიან მიყვარს.

„და სულ ესაა... სულ ესაა... სულ, სულ...“

# კარლო კობერიძე

## დასაწყისსა და დასასრულს შორის

სცადე და გვერდზე ვერ გაუხვიე
და არც გახედვა გინდოდა გვერდზე,
ერთფეროვნების გსუსხავს წუხილი
და საშველს ბედის წყალობით ეძებ,
დღეები ისე ჰგვანან ერთმანეთს,
არ დაგაეჭვებს მსგავსება წამით –
ლოლუები რომ მზეში წვეთავენ
ანდა ფოთლებზე მოგორავს ნამი.
სულ ერთს იყავი გაკრული გზაზე,
არ იცვლებოდა დრო და ფერიცა,
მიზეზად ამის, არ ჰქონდა აზრი,
ოცს გადმოსცდი თუ ოთხმოც წელიწადს
და უიმედოდ გიჩნდა ყოველი,
ზღვარი არ ედო ძველსა და ახალს,
მიდამო ესე ერთხელ მოგევლო,
ვერ აგანთებდა მეორედ ნახვა.
ვთქვათ, იანვარში თუ არ იელვა
და უდროო დროს არ მოსკდა თქორი,
სხვაფრივ დაგრჩება სიცარიელე,
დასაწყისსა და დასასრულს შორის.
ბუნება არ ცნობს სხვანაირ ნათელს –
ჩვენც ნაშიერებს თავზე ვევლებით,
ამქვეყნის მეტი თუ არა გვმართებს,
რაღა ჩვენა და რა ცხოველები!

## * * * 2003-2012

არ გეგონოთ ამოვარდნა და ბუბუნი ქართა –
ეს ოხვრაა მირონცხებულ ჩვენთა წინაპართა
და ამ წვიმის გადაღების ლოდინით რომ
ვცდებით –
ეს ცრემლია დატირების, წინაპართა ცრემლი.
და მგონია, არც მოფიფქვის და არც თოვლის
იცით –
წინაპართა ჭაღარაა, რომ იგლეჯენ სიმწრით.
რაკი გვძინავს (ჩემგან რატომ გესწავლებათ
ესეც) –
ეს გვიშენენ სეტყვას, იქნებ, წამოგვყარონ ზეზე
ანდა, იქნებ, გაგვაღვიძონ ჭექა-ქუხილითო,
ამ ყინვაში ჩვენ ცეცხლზე რომ ხელებს ვეღარ
ვითბობთ,
ზურგს და გვერდებს გვიჭრელებენ ელვის
მათრახებით,
ღმერთი ნედლად ვეღარ გვაქცევს, უმოწყალოდ
ვხმებით,
რა ნამუსით ახსენებთო დიდგორსა და შამქორს,
როცა ხედავთ, უცხო თესლი რა აშკარად
გაქრობთ,
თვალდათვალ რომ დაგელიათ ისეც ციცქნა ეზო
და დედლობით ვეღარ არჩევთ მტერს და
მოკეთესო.

## ვიოლინო

1.
შაშვის მესმის, ტოროლასიც, ცოტა –
ვიოლინოსიც,
მინდორ-ველის, ყანის მკითხეთ და აპრილის
მიმოსვლის,
ხარ-კამეჩის, ურა ცხენის და საღვინე ყურძენის,
ამ დაწყევლილ წუთისოფელს ამდენს როგორ
ვუძლებდი,
მოფიფქულზე კვლები ჩანან თეთრად
გადახნულები
და, ერთმანეთს რომ სახელით გვანან
გაზაფხულები,
გინდ ყოფილა დრო შოშიის, თუნდაც მერცხლის
მოფრენის,
არც ორღობე ორღობეს ჰგავს, აღარც სოფელს –
სოფელი,
საღამომდე სილამაზის მადლს და სურნელს
მივები –
მადლობა ღმერთს, ჯერჯერობით იებს ჰგვანან
იები.

2.
მზემ რა პირი დაიბანა, ზეცაც გადაისარკა
და მეძახის ვიოლინო გაღვიძებულ ტყისაკენ
და ყვავილთა ჟრიამულში საბოდიშოდ ვერევი:
ამ ყველასი რომ არ ვიცი სახელი და ფერები.
ჩანს, ფათალო საახალწლოდ წიფელს მწვანით
შემოსავს
და ფუღურო აყვავებულ იებს ატანს გემოსა
და ჩრდილების დაგრძელება დროს მანიშნებს
წამოსვლის,
მაგრამ შაშვი ჯერ არ მიშვებს, არც ჩხრიალი
წყაროსი,
მზე ფოთლებში ვიოლინოს სიმებივით შემოდის
და ბილიკი თავს იწონებს ორად გაჭრილ
მდელობით.

## ოთხმოცი წელი რომ შემისრულდა - იმაზე

ძლივს გუთანი მოვდე ყამირს, ძლივს გავავლე
ჩემი კვალი,
ვენახიდან ვეღარ გაველ, გზები თვითონ
შევიკარი,
ეგ რომელი სამართალით, შე საწყალი კაცის
ბედო,
ეს ამდენი წელიწადი თავი მუდამ ბელტზე მედო
და ერთადერთს მე გამიჯდა მიწისა და წვიმის
სითბო,
ღმერთო, როგორ დავიღალე ამ უაზრო
სიცოცხლითო,
უკან ნუღა მიმახედებ და ეს მაინც მაცოდინე –
რა ისეთი დავაშავე, ამდენ ხანს რომ
მაცოდვილებ,
სხვათა ფიქრით გამორჩევავ, რა სიკეთეს
მომიტანო,
როცა ბზაც და ძეძვის ბარდიც ლამაზად ჩანს
შორიდანო,
სხვა მადლია, ფერდობები აპრილს როცა
წამოისხამს,
მაინც ვერსად გაექცევი ვარამს არარაობისას,
რათ, ბავშვობის სიდუხჭირევ – შემახსენე თავი,
ჭირო,
როგორ მინდა, როგორ მინდა, სამუდამოდ
დავიძინო.

## ოთხმოც წელს რომ გადმოვცდი, ახლა ამაზე

დაწყევლილია ყოფნა ისედაც
და ოთხმოც წელსაც რომ გადმოსცდები,
სასაცილოა, თავს რომ იქცევდე
ისევ ნატვრით და ისევ ოცნებით.
არ ვჩივი, რაც რომ მოხდება მერე,
მოლის ბიბინი მამშვიდებს დღესაც,
მშვენივრად ვხედავ სიმღერის ფერებს,
ჯერ კიდევ ვისმენ ფერების ხმებსა
და ჩემად მიჩანს სათქმელი ესეც,
რაშიც ვხედავდი სიცოცხლის მიზანს –
წვიმის, ფშანის და გუბესი მესმის,
აგორებულ და ხავსიან ქვისაც,
მაინც სატკივრად მექცა ყოველი
და უარესი მჭირდა ფიქრითაც,
გზა რომ შემიკრეს ჩრდილის მორევით,
ვერ გამოვსულვარ დღესაც იქიდან.
ღმერთო, მიწისას ვერაფრით ვითმენ
გვირაბის, თხრილის, არხის იარებს,
შემინდე მოსვლა ამდენი ხნითა
და ესეც – წასვლას რომ ვაგვიანებ.

## ტელევიზორთან

*ბორბლებს ატრიალებს,*
*თვალებს აბრიალებს,*
*დორბლებს აფრიალებს...*

***ქუჩურად გადაკეთებული***
***გიორგი ქუჩიშვილის ლექსიდან***
***„მლესავი ალექსი“***

მომხვდები ხოლმე რამდენჯერ თვალში,
კახურად გითვლი იმდენ მოკითხვას
(ბოლო სიტყვა რომ სარითმოდ ამშლის,
სწორედ ის დროა, სული მოვითქვა)
და როდის აღარ მიხტები შინა,
ვერ ამინთია ეკრანი შიშით,
მეც მახსენდება ამიტომ ხშირად
შენი ოჯახი, გვარი და ჯიში!..
ჩაენაცვლება ბინდი დილასა
და ჩათავდება სიბერის წლებიც
და გული მწყდება მხოლოდ იმაზე,
საპანღურედ რომ ვერაფრით გწვდები.

## ლიბიის უდაბნო

***დიმიტრი ამილახვრის მოსაგონარი***
*ლიბიის უდაბნოშია დაკრძალულიო*

ვგავდე ზღაპრად ნასროლ ისარს,
ფიქრის ვიყო თითქოს:
უდაბნოში ლიბიისა გავჩნდე ერთი დღითო,
მავანს მინდა გავუმხილო –
ამ ხვატს ძებნით ვუძლებ,
მიწა ჩვენი, ნაკურთხი რომ
არ დაჰყრია გულზე,
ქართველისას, მაგრამ ელდად
ფრანგი ოფიცრისო,
ხამს უფალი, ნატვრად ჩემდა,
ვინძლო, მოიცლისო –
რაკი ასე მარონინებს,
რწმენის მავსებს მადლი,
თქმა არ უნდა, მაპოვნინებს
წაფარებულ ნაბდით.
რა ხანია, არ მინახავს
(სიზმრებიდან ვიცნობ) –
მივეახლო ამილახვარს,
ბატონ დიმიტრისო,
ღვთით, აიკრავს ნება-ნება
ცაც საწვიმარ ღრუბელს –
გკადრებთ, თქვენო ბრწყინვალებავ,
უცხოდ როგორ სუფევთ?

## კახეთის რკინიგზა

*(ჩემი ვენახისა და სახნავ-სათესის გზასა ჭრის)*

ბალახბულახით დანაგვიანდა,
დაფარებია სიმწვანე ვაკისს,
წვეთივით ვეღარ ხედავ ლიანდაგს
და დღე წარსულის ნატვრაში გარბის:
წერილს ვატანდით და ამანათებს,
ბლომად მიჰქონდა საბაზროდ ხილიც,
თან გვისწორებდა ხოლმე საათებს
მატარებელი ღამის და დილის
და მომავლისაც გვიჩნდა იმედად
და გვიმძაფრებდა დიდობის სურვილს
და მოუხსნელად დღემდე მიება
ქვანახშირის და სადგურის სუნი,
ნაღვლის მოწოლად გვიღირს დანახვა,
მაგრამ ვერაფრით გვერდს ვერ აუვლი:
ახლა ვაკეზე ცხვარი ბალახობს –
რის დარაჯი და რა შლაგბაუმი,
ჯერ მარტო ჩრდილი ედება მხოლოდ,
საცაა ვაკისს მისწვდება ძეძვიც,
ხვართქლის ყვავილი თეთრადა ბოლავს
და ნანახს უკანმიხედვით ებრძვი,
აღარც პრიალი გაუდის რელსებს,
არც დაწინწკლულა ვაკისი ზეთით
და მოგონებად გვიქციეს ესეც,
და მტერთა ამდენ მზაკვრობას ერთვის,
მიყოლებით რომ დამპალა შპალი –
ხრეშს ამჩნევია შავად ნაფხვენი,
სჯობდა კი აქვე მეყვირა, ბარემ,
რაც გინებით მაქვს გადასახვევი.

# სიყვარულის ვენა...

## ნაწყვეტი

გოგი მამაცაშვილი

### სიყვარულის სათავესთან...

მდედრს „არა“ ერქვა... მამრს „ჰო“...

გაწბილებაც ამას ჰქვია... იმედის გაცრუებაც ეს იყო!..

არქეოლოგმა შორეულ წარსულში გადაიხედა და აქეთ დღევანდელობაში თავზარი დაეცა... იქ, სამი ათასი წლის წინანდელ პაპირუსზე სწორედ ეს სახელები ამოიკითხა:

„ჰო“ და „არა“...

... სხვას ელოდა და შედეგად სხვა მიიღო... მოდი და მშვიდად შეხვდი ასეთ მოულოდნელობას?!.

... მშვიდად ვერც ის შეხვდა!..

სიახლეებს ყველა დღევანდელობაში ვეძებთ... არქეოლოგი წარსულში ეძებდა... სიძველეებში იქექებოდა...

ვისაც წარსულში სურს იმოგზაუროს, თოვლ-ჭყაპშიც და თაკარა მზეშიც მიწები უნდა თხაროს... მეცნიერულად ამას გათხრებსაც ეძახიან... არადა, მიწის ზემოთაც დგანან უძველესი ქალაქები, სადაც შორეულ წარსულში შეიძლება მოხვდე და... იმოგზაურო!..

მიწისქვეშა ისტორიები მაინც სულ სხვაა... იქ უძველეს დროში მოხვედრას უკეთ გრძნობ და განიცდი!..

„ჰო“ და „არა“...

უმშვენიერესი ბგერებია... ვერაფერს იტყვი!.. ამასთან... მასში არის რაღაც იდუმალება!.. ჯანდაბას, ბგერებიც და იდუმალებაც... არქეოლოგი მიწაში სულ სხვა რამეებს ეძებდა... სურდა, ძველ სამყაროზე დამკვიდრებული წარმოდგენები შეეცვალა... უნდოდა, ისტორიული სამართლიანობა აღედგინა!..

ეს რომ შეძლო, ბედი უნდა გქონდეს... არქეოლოგსაც სჯეროდა, რომ ჰქონდა ბედი... ცუდია, როცა ბედნიერება უკან გრჩება... კარგია, როცა იგი წინ გელის!.. მანაც კარგად იცოდა თუ რაში მდგომარეობდა მისი ბედნიერება... ისიც იხტიბარს არ იტეხდა და მთელი თავისი არსებით მიიწევდა წინ „შორეული წარსულისკენ“... სჯეროდა, რომ ნანატრი შემოქმედებითი ბედნიერება მას სწორედ წინ... „შორეულ წარსულში“ ჰქონდა!..

ასე დაიწყო მისი იმედგაცრუების მატიანე...

ეს პაპირუსის ისტორიის ისტორია გახლდათ!..

სამი ათასი წლის წინანდელ მდედრს „არა“ ერქვა... მამრს „ჰო“... სამი ათასი წლის აქეთა ქალს დღესაც „არა“ ჰქვია... მამაკაცს „ჰო“... ეს თან მოულოდნელი, თან მტკივნეული მსგავსება გამოდგა... გამაოგნებელი ერთიდაიგივეობაც ეს გახლდათ!..

თუ არ გინდა გაწბილდე, მოლოდინი არ უნდა შეიქმნა... არც იმედი უნდა გაიჩინო... არქეოლოგმა ერთიც შეიქმნა და მეორეც გაიჩინა... ისიც უსაშინლესი გაწბილებით... გაწბილდა!..

ასეთ ერთიდაიგივეობას არც ელოდა და არც უნდოდა!!!

პაპირუსის სამი ათასი წლის წინანდელი ისტორია სასიყვარულო ისტორია გახლდათ... რომელშიც მამრი სახელად „ჰო“ სატრფოს მთელი თავისი არსებით ეძალებოდა, მდედრი სახელად „არა“ კი უმოწყალოდ გაურბოდა...

ესეც შენი პაპირუსის ისტორია!!!

„მე მასზე ლამაზიც ვარ და ეშხიანიც“, – დაჩივლებით ღაღადებდა „ჰო“... – ეგ არაფერი, რადგან მე იგი მიყვარს... გულიც მისკენ მიმიწევს... ის კი... ჩემი ქალბატონი „არა“, ახლოსაც არ მიკარებს... ჰოდა, მე თავმოყვარეობაც შემელახა და ღირსებაც... ამაო მცდელობაშიც გავჭაღარავდი... უარესიც დამემართა... მეც გაჩენას ვიწყევლი!..

ისევ და ისევ ამქვეყნად ერთადერთი ჩემი „არა“ მიყვარს!..“

დამთავრდა პაპირუსის ისტორია...

... ისე დამთავრდა, რომ მომდევნო ეპოქებმა ქალის და მამაკაცის სასიყვარულო ტრფიალში ვერც უკეთესობით და ვერც უარესობით ძველი ვერა და ვერ ჩაანაცვლეს!

... ჩანაცვლება არც შეიძლებოდა...

### სატრფიალო განცდების ქრონიკა...

... ოჰ, ეს ადამიანები!..

ეს სიტყვები თითქოს ზეციდან  გადმოგვძახეს... ნეტამც ასე იყოს!.. მაგრამ რა ვუყოთ იმ სიყალბეს, რომელიც ამ ნათქვამიდან გამოსჭვივის... იქიდან, ზემოდან, შეუძლებელია სიტყვიერი განკითხვა წამოვიდეს... იქიდან ყოველთვის სასჯელით განგვიკითხავენ!.. ეს ნათქვამიც სარწმუნოდ რომ გაჟღერდეს, მთქმელმა მასში თავისი თავიც უნდა გარიოს... ამ შემთხვევაში ეს შესაძლებელია... ჰოდა, გავაგრძელოთ დამაჯერებლად თქმა იმისა, რაც სჯობს უთქმელობას!..

... ჩვენც, ადამიანები, თან საამაყოებიც ვართ, თან სამარცხვინოებიც... ვინც არ მოგვწონს, მასზე უარს ვამბობთ... ხოლო თუ მოგვწონს, რომც არ მოვწონდეთ, მათ მაინც მიველტვით, მეტიც, ვეტმასნებით, კიდევ უფრო მეტიც – ვეტენებით...

საამაყოები ვართ, როცა გვინდა, მაგრამ არ მოგვწონს და მასზე უარს ვამბობთ.... სამარცხვინოები ვართ, თუ არ მოვწონვართ და ვეტენებით!..

თვით ბავშვობის მეგობრებსაც ცხვირსახოცებივით ვიცვლით!..

საკუთრივ ჩვენი თავის გამოცვლა კი არ გვინდა... არადა, საჭიროა... ზოგჯერ აუცილებელიც!..

... კარგიც რომ ვიყოთ... უკეთესობა უნდა გვინდოდეს... შეგვეძლოს და შეიძლებოდეს!..

... ყოვლისმცოდნეობაც – ეს ჩვენი ღირსების საკითხია!..

... მაინც რითა ვართ უარესები?!. რა თქმა უნდა, იმით, რომ სიძულვილის გრძნობები გვაქვს და ბოროტების ჩადენა შეგვიძლია!..

მაინც როდის ვართ საუკეთესოები?!. რასაკვირველია მაშინ, თუ ყველა და ყველაფერი გვიყვარს!.. როცა სიყვარული აგვამაღლებს და, არამც და არამც, პირიქით!..

გამორჩეული სატრფიალო სიყვარული მაინც სხვაა... ეს ორი მოქმედი პირის – ქალ-ვაჟის სპექტაკლია... სადაც... ამ დროისა და სივრცის აბორიგენი მდედრია. მამრი კი პერსონა ნონ გრატა!..

მდედრი „არას“ ... მამრი „ჰოს“ სახელებით... წარუდგებიან ერთმანეთს... გაცნობაც ან შედგება, ან არ შედგება... თუ შედგა, იგი უმნიშვნელოვანეს ადამიანურ მოვლენად შეიძლება იქცეს!.. ეს, რა თქმა უნდა, გადაუჭარბებლად... რადგან უფრო მნიშვნელოვანი ჩვენს სამყაროში უბრალოდ შეუძლებელია... ყოველ შემთხვევაში, უახლოეს მომავლამდე მაინც!..

ქალი, როგორც „არა“, და მამაკაცი, როგორც „ჰო“... რა არის ეს... უფრო ცუდია თუ უფრო კარგი!.. უთუოდ უკეთესობაც ეს არის!.. სხვა შემთხვევაში ეს სახელები დროს ვერ გაუძლებდნენ...

„ჰო“ და „არათი“ დაიწყო და გახდა მშვენიერი სიცოცხლე... ამავე სახელებით გაგრძელდა იგი... ჩვენი ყოფნა-არყოფნის ეს მარადიული საკითხიც... ყოფნის სასარგებლოდ ქალ-ვაჟის „ჰო“ და „არას“ სატრფიალო პაექრობაში გადაწყდა...

„ჰო“ და „არათი“ იწყება მდედრის და მამრის ფათერაკებით სავსე ამბები, იწერება სასიყვარულო თავგადასავლები...! ყველას მადლიერება გვმართებს... ჩვენც ეკლესიებში დავდივართ და ღმერთს მადლობას ვწირავთ!.. ზოგჯერ შავს თეთრს ვარქმევთ და თეთრს – შავს!.. სხვებსაც ვატყუებთ და თავსაც ვიტყუებთ... უარესსაც ჩავდივართ... ღმერთის მოტყუებასაც ვცდილობთ... მაინც რომელი უფრო ძნელი მოსატყუებელია – საკუთარი თავი თუ ღმერთი?!. ეს პიროვნებას გააჩნია... ვინც არ უნდა ვიყოთ... საკითხი თუ ჩვენ გვეხება, მაშინ სჯობს ჩვენს თავს უცხო თვალით შევხედოთ!.. ჩვენ კი... ვთქვათ და შეგვრჩა... გვგონია, რომ გაგვივიდა... გვეჩვენება, რომ ყველასთან ყველაფერიც გამოგვივიდა!..

„ჰო“ და „არა“...

ამ სიტყვებიდან განხეთქილება იჭყიტება... შეთქმულების ეჭვებიც ჩნდება... ეს მამრის და მდედრის შეთქმულებაა ერთმანეთის მიმართ... შეთქმულება არა სხვებთან, არამედ თავის შიგნით, საკუთარ ნება-სურვილებთან... ესეც შენი ერთი პირის შეთქმულების თეორია!..

თესლიც ეს არის და ნაყოფიც!.. იდეაც ეს არის და შედევრიც!.. ის გახლეჩილობაც ეს არის, რომელიც გამთლიანებისკენ მიედინება... ეს ბზარია და არა ნაპრალი... ბზარი, რომლის შეწებება შეიძლება!.. ასეც იქნება, თუ ვაჟი შეთქმულებით აჯობებს ქალიშვილს...

– „ჰო“ თუ „არა“?!

ქალ-ვაჟის ამ დიდებულ სატრფიალო შემოქმედებაში... მამრი მარტივი და მართალი სუბიექტია... მისი სიტყვა ისე უნდა გავიგოთ, როგორც ითქვა... „ჰო“ ჰოდ... „არა“ არად!.. მდედრი კი რთული ვინმეა.. შეფარულიც და შესაბამისად „ძნელად გასაგებიც...“ იგი ერთს ფიქრობს და მეორეს ამბობს... სრულიად სხვაგვარად იქცევა... მისი „არაც“ ყოველთვის არას არ ნიშნავს... მისი „არაც“ ხშირად „ჰოს“ ნიშნავს... შენც თუ ბიჭი ხარ, მისი ყალბი „არა“ არ უნდა დაიჯერო... თუ მახვილგონიერი მოაშიკე ხარ, იმედი უნდა გაიჩინო... შენც თუ თავითფეხამდე შეყვარებული ხარ, იმედს იოლად გაიჩენ... თუ არა და, გაგიძნელდება...

ეს ტრფიალია, ქალბატონებო და ბატონებო...

ეს აშიკია... შებმაც და შეხვევაც ეს არის!..

ყველა შემთხვევაში ეს გენიალური შემოქმედებაა... დიდებული სასიყვარულო ისტორიაც ეს გახლავთ!..

მაინც ვინ არიან ეს იდუმალებით სავსე ქალბატონები?!. გგონია, რომ, როგორც იქნა, გამოიცანი და თურმე ჯერ სადა ხარ?!. თურმე ეს ნიღაბია და არა მისი ნამდვილი სახე!.. სიტყვაზე მიენდე და მოტყუვდი... თვალებს დაუჯერე და თვალებმაც მოგატყუეს... გამომეტყველება, ჟესტიკულაცია, მიმიკა... ძნელია, რომელიმე მათგანზე რომ არ წამოეგო!. არადა, ეს ის მშვენიერი ასულია, რომელსაც ყველაზე მეტად გინდა, რომ მიენდო!.. გინდა, მაგრამ არ შეიძლება... შენც მასში ისე უნდა დაეჭვდე, რომ ეს რწმენას ჰგავდეს... რომ მას გული არ ატკინო... თუ ატკენ, რაც მოგივა, ყველაფერიც საკუთარ თავს დააბრალე!..

მდედრი მის მიერ გამოგონილი „არათი“ ხომ იტყუება და იტყუება... იქვე მამრის ნათქვამ „ჰოშიც“ ეჭვი შეაქვს... სწორადაც იქცევა... არც „ჰოს“ უცებ დაჯერება შეიძლება... ამას გოგოს ქალური ინსტინქტი ავალდებულებს... ეს საუკუნეების განმავლობაში დადგენილი წესჩვეულებითაც მოეთხოვება!.. ბოლოს და ბოლოს, ხომ დადიან დუნიაზე წუთიერი გატაცების და ერთი ღამის სიყვარულის მაძიებელი მაცდური მამაკაცები... ჰოდა, ასეთმა ქალურმა ინსტინქტებმა საუკუნეებს გაუძლო და კიდევ მეტს გაუძლებს!..

ტყუილი „არას“ სიმართლედ გასაღება და მართალ „ჰოში“ დაეჭვება... „არას“ „ჰოდ“ გარდაქმნა და მამაკაცის „ჰოსთვის“ დაეჭვების ჩამორეცხვა ეს ის არის, რაც ქალ-ვაჟის ტრფიალს უდიდეს ადამიანურ შემოქმედებად აქცევს... და რაც კიდეც არის როგორც დადგმული, ისე ექსპრომტისეული უმაღლესი ხელოვნება!!!

ცალმხრივი „ჰო“ და ცალმხრივი „არა“... ის იდუმალი მიზეზობრივი კავშირია... რომლითაც წამოიწყება სატრფიალო თავგადასავალი!.. ის შეიძლება როგორც ავბედითად, ისე სვებედიანადაც წარიმართოს... როდის როგორ?!. ყველა დაშორიშორების  დასასრულის დასაწყისი ეს არის... ყველა შეერთების დასაწყისის დასაწყისიც და ყველა დასაწყისის დასასრულიც ეს არის!..

კარგია, როცა მდედრი „არათი“ იწყებს... სწორედ აქედან იწყება მსვლელობა... ქალ-ვაჟსაც ჯერ ყველაფერი წინა აქვს... ისინიც ერთმანეთისკენ მიდიან და ერთმანეთისგან მოემართებიან... მიდიან, როგორც ორმხრივი „ჰოსკენ“, ისე ორმხრივი „არასკენ“... რა თქმა უნდა, საბედნიეროდ და საუბედუროდაც!..

ცუდი ის იქნებოდა, თუ მდედრიც უცებვე იტყოდა „ჰოს“..

მყისვე ნათქვამი საყოველთაო ორმხრივი „ჰო“ წარწყმედდა კაცობრიობას...

ბოლომდე ნათქვამი საყოველთაო ორმხრივი „არა“ დაღუპავდა სამყაროს!..

მამრი სულ ერთთავად ძიებაშია... ათვალიერებს... განჭვრეტს... გონების თვალით, გულის კარნახით და რითაც გინდათ... სადაც და როცა გინდათ... იგი რაღაცით მეძებარს წააგავს... რაღაცით მაძებარსაც...

ჰოდა, ერთხელაც ქალური მშვენიერების ნაღმზე აფეთქდება... აფეთქდება თავის შიგნითაც და გარეთაც... გადაირევა... ისიც აღელვებულ-გონებაარეული შეეცდება, სახელი დაარქვას იმას, რაც მის შიგნით მოხდა და ხდება... რა არის ეს, ძლიერი მოწონება თუ მისი უზენაესობა სიყვარული?!. წუთიერი გატაცებაა თუ ის გრძნობა, რომელიც დროს გაუძლებს?!. მამრიც მიმოდის... ეძიებს და პოულობს!!! თავისი გემოვნებით, თვალით, ალღოთი... ზომავს და წონის!.. ცდილობს, თავის შესახედაობას და მდედრის შესახედაობას შორის შემადარობა აღმოაჩინოს...

შემადარე წყვილს ხომ მართლაც არაფერი სჯობს... ბუნებით წესიერ ვაჟს მასზე ბევრად ლამაზი ქალიშვილიც არ უნდა... არც ის უნდა, რომ მასთან გარეგნობით დაიჩივლოს და არც ის უნდა, გარეგნული განსხვავების გამო მისი თანამეწყვილე სინანულში ჩააგდოს!..  ისიც, როგორც კი თავის რჩეულთან შემადარობას აღმოაჩენს, მალევე იმის დადგენას შეეცდება, რამდენად პრეტენზიულია მისი რჩეული... თავისი ინტელექტით მასთან გაქაჩავს თუ ვერა?!. შესწვდება მას თუ არა?!. ჰოდა, თუ მოეწონა, თუ შეუყვარდა... იგი გულისსწორთან „შემადარობას“ უთუოდ აღმოაჩენს... ისიც მთელ თავის შემოქმედებით ნიჭს და უნარს გამოამზეურებს... სიტყვებითაც ხელგაშლილი გახდება... აღარაფერს აღარ დაინანებს და სატრფოს ოქროს მთებს დაუდგამს... ბროლის კოშკებსაც აუგებს!.. ეს ტყუილი არ იქნება... ეს იმედოვნებაა, რომ ის დანაპირების შესრულებას შეძლებს...

სულ სხვაა ერთი ნახვით შეყვარება... შეჩეხება-შეჯახებით... ერთი თვალის მოკვრითაც... რო ცა ასული მთელი თავისი მშვენიერებით თავს დაგატყდება და ვნებათაღელვის საამურ მორევში ჩაგითრევს... წამოგახურებს და ცეცხლის ალში გაგხვევს... შენც სხეულში, სულში, გონშიც... ისეთი სიამენი მოგაწყდება, რომელიც არც არასდროს გიგრძნია და განგიცდია... არც მსგავსი და არც მიახლოებული სიამენი გიგრძნია და განგიცდია... შენც საკუთარ თავს ვეღარ ცნობ!.. შენს შიგნით იდუმალი განცდების საბადო გქონია?!. თურმე რა ძალის სიამეთა შეგრძნებები შეგძლებია!.. ჰოდა, სიამისგან ჭკუას კარგავ და ბრმავდები შენც... მშვენიერი ასულის ქალურ სიდიადეს ვერ ხედავ, მაგრამ ნათლად გრძნობ... მას ხელით არ ეხები, თუმცა მთელი შენი არსებით უსაზღვრო სიამეს განიცდი!.. იწვი, დნები, გიზგიზებ!!!

გრძნობ... განიცდი და ვერ დაგიჯერებია... აბა, ამას რას იფიქრებდი, რომ ასეთი ძალის სიამეს და მღელვარებას შეიძლებდი... რომ ასეთი რამ შეიძლებოდა... რომ ასეთი ძალის ვნებათგზნებას გაუძლებდი... შენც გგონია, რომ შეუძლებელი შეძელი... რატომაც არა... ეს გარედან წამოსული საოცრებაა... ან ტალღებია ან სხივები... ეს შენს სხეულსა და სულში მომხდარი სასწაულებია!.. ისღა დაგრჩენია, უკან დაიხიო... შენც ვნებათა ღელვით შინდები. არც გაგემტყუნება... კიდევ ერთი ნაბიჯი წინ და უსაზღვრო ძალის მგზნებარებისგან გული შეგიღონდება... გული, რომელიც მკერდიდან ამოვარდნას ცდილობს...

ჰოდა, მშვენიერი სხეულის სიამისგან თუ სიკვდილი შეიძლება... ეს შენი სიკვდილია!..

ჰოდა, მშვენიერი სხეულის განცდისგან თუ დაბადება შეიძლება... ეს შენი დაბადებაა!..

უდავოდ და უტყუარად, ეს დაბადებაა... დაბადებაა მამაკაცად!.. დაბადება – ქალად!..

ბიჭი სულმოუთქმელად ელოდება თავის ტალღას, რომ მასზე აცურდეს!..

▶▶ დასასრული მე–16 გვ.

# თემურ ჭუმბაშვილი

* * *

*ბაბუა ალუდაურს*

იმღერე, ჯიგარი დაშაშხოს,
ძარღვებს დაუაროს გრიალით.
სხეულში ჩაგიდგეს ზარხოში,
სანამ განთიადი იალებს.

მერე გადაორთქლილ სარკმელში,
როცა რიბირაბო მოხელთო, –
ცეცხლი შეუკიდე საკმეველს,
ხსოვნა ადღეგრძელე მოყმეთა!

შესვი განთიადი თასიდან,
გულზე მოიფინე ცისკარი,
იტვირთე ტკივილი, აზიდე,
საგზალად მცირედი იკმარე!

სულაც არ იქნება იოლი
ხსოვნის მარადისი ტვირთება,
ხანდხან ბედისწერად იელვებს,
ხანაც შთაგონებად ინთება.

ვიცი, სიმარტოვე ძნელია,
ვერავის დაუწყებ მოლოდინს, –
აღსავლის კარებთან გელიან,
გასწი, გაიტანე ბოლომდი!

## დილა ხიდიკარში

*ლ. ბიჭაშვილს.*

ღამე სარკმელში მიიჟონება,
ვიცი, ქარები კბილით დახევენ.
ასე თანდათან და დაჟინებით
მეხსნება სიზმრის მკრთალი სახვევი.

ახლა თუ ყველა სხივმა ინათა,
თუ ყველა ხსოვნის ალი ავანთე,
სხვა შეღამებას სადმე, მყინვართან,
მარადისობის ახლოს გავათევ.

გადავსდევ მერე ჯიხვების ფარას
და ბეჭზე დავცემ ოქროსრქებიანს.
შემომაშველეთ სიზმრები ჩქარა,
თორემ ვარსკვლავნი უკვე ქრებიან.

მგლისფერს გაიკრავს ცა გასარკული,
გადახევს ზეცას კლდეთა ქიმები,
მხოლოდ ქარები თავგადაკლულნი
ნისლის სახვევით უაქიმებენ.

იღვრება მაინც სისხლი ხევშია,
დახანჯლულ ზეცას ეწვის აისი,
თუ ბეწვის ხიდზე გავლა მერჩია,
სულით ხორცამდე შენით ავივსე.

ჩემო მდინარევ, იწყები აქვე,
მძივად ჰკიდიხარ ჯერ კიდევ ქარაფს,
ხმასა და ფერებს ერთ სახელს ვარქმევ
და საიდუმლოდ ჩემს სულში ვმალავ.

ნებდები მერე ბედის განგებას
და მონიჭებულ კალაპოტს ეძებ.
დააგდებ, თითქოს, იმ გაქანებას
და უხმაუროდ ჩამივლი გვერდზე.

მაგრამ ცოცხლობენ ჩემში ფერები,
სათავის განცდა ისევ აბორგდა,
უფრო ალერსით მოგეფერები,
ჯერ კიდევ სულის სამარაგოდა.

ახლა დილაა და შენს ტალღებში
მთათა ძარღვების რიტმი ხმიანებს,
ამიჯანყდება სისხლი ნაგეში,
შემოხვალ მზით და სათავიანად –

შემომანათებ სიმწუხარეში
ფიქრთა კეთილთა ხვავმადლიანო...

## ძმური შეხუმრებით

*შერმადინ ქალდანს*

შენზე ზედმეტია ქება,
შენს სვანობას რა ვუთხარი,
შეალეწე ჯიხვის რქები
სირაჯხანებს და ლუდხანებს.

ახლა იმის აჩრდილი ხარ,
ჰადიშში რომ ბალახს თიბდი,
პოეზიით დაჭრილი ხარ,
ლექსად უნდა ანათებდე.

შენ კი ახლა რით იგრილებ
არყით გახურებულ კეფას,
ერთხელ მაინც გადუგრგვინე
ამდენ ფინიების ყეფას.

მთვრალი ხარ, თუ ნასვამი ხარ,
დარდს სამარე გაუთხარე.
ასე მორცხვი რა სვანი ხარ,
შენს სვანობას რა ვუთხარი!

* * *

მზე დასავლისკენ მიესვენება,
ოთახს მიმწუხრის ფერი ედება,
არვის ახარებს ჩემი ხსენება, –
კეთილ სიტყვასაც არ იმეტებენ.

ღვინოში ჩავყრი ბოღმის ნაფლეთებს
და უნიჭობაც აღარ მახელებს.
თამბაქოს ბოლი შემომაფეთებს
გამოლენჩებულ წითელ სახეებს.

რამ მომიყვანა? ჩემი ბიჭები,
ალბათ, ღრეობენ სადმე უჩემოდ.
ოთახში ბოლო სხივი იჭრება,
კედელს ახალი დარდი უჩნდება, –

გადაქანდება გართხმულ ჩრდილებით
და სურათების აფართქალებით,
სადაც ლოდინით და მორჩილებით
დედიშობილა წვანან ქალები.

რაღა ფასი აქვს ასეთ მოლოდინს,
შენ არ გეკუთვნის როდესაც იგი.
ვნებაჩამდგარი მზერა ბოროტი
გადიკარგება ჰორიზონტს იქით.

ჩემს ექსტაზს ახლა სითბო სწყურია,
მთრთოლვარე ბაგის ცხელი ალმური,
მოიწურება როცა სრულიად
შარბათი სხეულს გადაღვარული.

ახლა ალერსიც ძალზე მწყურია,
ნუ ვინ შემავლებს მზერას დამცინავს,
შთაგონებანი გაბაწრულია,
ბედს სულ სხვა გზაზე გავუტაცივარ.

ახლა ნუ მომთხოვთ განსჯას რაიმეს –
ეს ერთი ღამე მაინც მაცალეთ,
სანამ ნეტარი ჰყვავის ყვავილი,
ნუ გამაფხიზლებთ, თქვენ გენაცვალეთ!

ჩამეძინება ბოლოს მკვდარივით,
თავს დამადგება სხივი ელვარე
და ჩემს სიზმრებში კელაპტარივით
ამოენთება თეთრი მწვერვალი.

## მთების სიმღერა

ყველაზე ადრე თენდება მთებში
და განთიადი იცრება ნისლში.
მეღვრება მერე სინათლის თქეში,
სისხლში ქარიშხლის სიმღერა ისმის.

ქარაფებისკენ გაფრენილ ჯიხვის
რქებზე გაფენილ ნისლის მერდინებს,
ჩლიქდაკრული კლდე გულ-მკერდზე იხვევს,
რომ დილის ცვარი გადაედინოს.

იქნება სადმე კრთიან ზვავები
და აკანკალებთ რქათა ჯახანზე,
მოიღვენთება შორი ზმანება
ქარიშხლის ფრთებით გადანახაზი.

იქნებ არც იყო ეს მთები უწინ,
გაფიქრებაც კი საოცრად მზარავს,
თუ იყო ლტოლვა ზეცისკენ მიწის,
რეკავდა ღმერთის უენო ზარი...

ბედის განგება მდინარის თოკებს
ასე ეწევა ზღვისკენ ოდითგან
და ზარის ხმაზე იწყებენ როკვას
პოსეიდონი და აფროდიტა...

მთების ზარია, მაშ, ეს ქუხილი,
თუ წარმართული სისხლის მოქეზე,
წუხელ სიზმარში ვიღაც უხელო
წუხილით მხვევდა ელვის პროტეზებს

და მაგიური სითეთრე თოვლის
სუდარასავით ფერდობს ეფარა
და სინამდვილე, შემძვრელი ყოვლის,
ასე უჩუმრად წამოგვეპარა...

ახლა ერთია, ვისი სხეული
ყინულის ლოდად იყო ქცეული...
ქედზე ნისლები ჩამოხეული,
ქარაფს ყორანი მისდევს ეული...

ახლა ერთია, ვისი სხეული
მთების სიმღერად იყო ქცეული.
ახლა ერთია, სიჩუმე მეფობს,
თუ სადმე ახლოს ზვავი გრიალებს.

სხივო, სიცოცხლის უმანკო შხეფო,
სამარადისოდ დაიგვიანე...

დედის გოდება მომესმა წუხელ,
გაბრწყინდა ცრემლი თვალისმომჭრელად...
ჩვენს აზვავებას ქალაქში სწუხან,
წუხილი მთებზე არის მიჯრილი.

რა ვქნა, დიდ იმედს დავუცადე და
ახლა სტრიქონში უნდა ავღვარდე,
ხანდხან გავრინდდე, რომ უცაბედად
ა, იმ ზვავების მესმას ღაღადი.

ზეცის მორღვევა ჩამწვდეს გულამდე,
ვინძლო ის დიდი ტკივილი ვიგრძნო,
სივრცის დაძახილს დავაყურადებ,
რომელსაც არ აქვს განი და სიგრძე...

და მესმის, რატომ კრთიან ზვავები,
რად აკანკალებთ რქათა ჯახანზე, –
მოიღვენთება შორი ზმანება
ქარიშხლის ფრთებით გადანახაზი.

ქარი კარვებქვეშ შეხიზნულ ლტოლვას
ჩამოურიგებს ნისლის ბარათებს
და შენ, ტკივილო, ამ მთების ტოლო,
საით, რა გზაზე აღარ დაგათრევ...

▶▶ მე-14 გვერდიდან

გოგო მოთმინებით ელოდება თავის ტალღას, რომელიც წალეკავს!..

ერთიც და მეორეც ელოდება მომენტს, რომ იგი ხელიდან არ გაუშვას...

მამრი მიდის და მიიწევს... მდედრი კი ელოდება... გაურბის, თუმცა ეს უფრო შეგებებაა, ვიდრე გაცლა... მისი უმოძრაობა ყოველთვის უმოქმედობას არ ნიშნავს... ქალური თავდაჭერილობა, კდემა, მორიდებულობა – ეს უფრო გამოწვევაა და არამც და არამც გაცლა. მამაკაცსაც ხომ არაფერი ისე არ იზიდავს, როგორც განზე მიმდგარი, უკარება არსება... მისი ოცნების ქალიშვილიც ხომ ყოველთვის იყო და იქნება მიუწვდომელი მშვენიერი არსება!!!

ვაჟი თან ეძიებს, თან ყოველთვის მზად უნდა იყოს... მოწოდების სიმაღლეზე უნდა იდგეს... მისი მოდუნება წამითაც არ შეიძლება... თუ მოდუნდა, შეიძლება დაიგვიანოს და შესაძლებლობა ხელიდან გაუშვას...

...ჰოდა, ქალიშვილმა შენკენ თვალი გამოაპარა... შენ ეს უნდა შეამჩნიო!.. მზერა გამოექცა... შენ იგი უნდა დაიჭირო... თვალებით თვალებს უნდა შეაწყდე და მის სახეზე თან გადარბენილი, თან იდუმალი განცდები უნდა აღიქვა... ელეთმელეთიც ოსტატურად უნდა წაიკითხო... ამოიცნო, ივარაუდო, სად ტყუის და სად მართალია იგი... ტყუილით ამბობს სიმართლეს თუ სიმართლით ტყუის!.. რამდენად გულწრფელია და რამდენად დასაეჭვებელი... მისი ფარული და იდუმალი აზრების გაშიფრვაც უნდა შეძლო... შეძლებ, – ბიჭიც შენ ყოფილხარ!.. თუ მის გამოხატვაში „ჰო“ ამოიკითხე და შეცდი, ეგ არაფერი... შენ გააგრძელებ გოგოს გულის დაპყრობას... მაგრამ თუ მის მინიშნებაში „არა“ ამოიკითხე, შეცდი და დაიჯერე... შენ შეიძლება უიმედობამ შეგიპყროს და შეწყვიტო მისი დალაშქვრა!..

ამას სიყვარულის ამბავს ვერ დაარქმევ... სიყვარულის ამბავი ის არის, რომელსაც არა აქვს დასასრული!..

მდედრი დგას და ბედს ელოდება!..

მამრი ეძიებს!.. ნამდვილი ბედისმაძიებელიც ის არის!..

ჰოდა, თუ ბედი კარს მოგადგა ან მის კარს შენ მიადექი... იგი ხელიდან არ უნდა გაუშვა... თუ გაუშვებ, ინანებ. გაიგე, შენ ერთი ბედი გაქვს და არა ათასი!..

ოჰ, ეს მრავალუცნობიანი ქალები!!!

უდიდესი სირთულის გამოცანასაც ისინი წარმოადგენენ... გადაულახავ დაბრკოლებებსაც ისინი გვიქმნიან... გრძნობებსაც გვიწიოკებენ და გონებასაც გვირევენ... ერთს ფიქრობენ და მეორეს ამბობენ... საკუთარ მინდას არმინდად ასაღებენ... მოწონებას – დაწუნებად... სიყვარულს – „სიძულვილად“!.. შენც ამას გაგებით ეკიდები... იცი, რომ ასეთი მიეთ-მოეთის გარეშე მდედრი მდედრიც აღარ არის!.. მისი ყველა სიტყვაც გამოცანაა... ყველა საქციელიც თავსატეხია... შენ უნდა გამოიცნო და ახსნა... სიტყვაც არის და სიტყვაც... საქციელიც არის და საქციელიც... ზოგჯერ სიტყვის შინაარსზე მეტი მნიშვნელობა იმას აქვს თუ როგორ ითქმება იგი... ქალის სიდიადეც ეს არის, ყველაფერიც ისეთნაირად შექმნას და შეასრულოს, რომ თავ-გზა აგირიოს, რომ საგონებელში ჩაგაგდოს... ყოფაც გიტიროს... გაგანადგუროს, ხოლო, თუ გადარჩი, შენ მისი ხარ... ის – შენი!..

ეს ის ქალური სიყალბეებია... ეს ის მეტიჩრობა და კეკლუცობაა, რომლებიც მამაკაცებს მეტწილად მოგვწონს და ნაკლებწილად გვაღიზიანებს... ეს ის ქალური ანდამატია, ურომლისოდაც ქალიშვილი ვერ წარმოგვიდგენია... ეს ის არის, რისთვისაც ისინი მოგვწონს, გვიყვარს და მიველტვით!..

ქალიშვილიც „არას“ ისე იტყვის, რომ მასში „ჰო“ იგრძნობოდეს... ზოგჯერ მისი ნათქვამი „არა“ უფრო „ჰოა“, ვიდრე „არა!..“ ორაზროვან ნათქვამს გამოცნობა სჭირდება, გამოცნობას კი მიხვედრილობა და წინათგრძნობაც!.. ისეთი ძალის მოწონება და სიყვარული სჭირდება... საკუთარ თავზე ხელს რომ აგაღებინებს... სიამაყეს, ამპარტავნობას და ქედმაღლობას რომ განზე გადაგადებინებს... თურმე რა ყოფილხარ შენ, სიყვარულო?!. უებარი, სამკურნალო საშუალებაც შენა ხარ... ჰოდა, რა სჯობს შეყვარებას... მით უმეტეს, თუ ის შენს მანკიერ თვისებებს დაგაძლევინებს და სხვა უკეთეს ადამიანადაც გაქცევს!!!

მართლაც, რამდენად უნდა გიყვარდეს სატრფო, რომ მისი დამცინავი გამომეტყველებით გამოსროლილი „არა“ გონებაარეულმა მას „ჰოდ“ ჩაუთვალო... აქეთ გეკუთვნოდეს და იქით მოუბოდიშო... მთელ სამყაროს ზემოდან დაჰყურებდე და მას ფეხქვეშ გაეგო!..

ქალ-ვაჟის სიყვარული ის ერთადერთი შემოქმედებაა სამყაროში, საღვთოს ჩათვლით, სადაც ვნებათა ღელვაში ჩათრეულია როგორც სხეული, ისე სული და ისე გონებაც... ერთიმეორეზე საუკეთესო განცდებით... ეს ის შემოქმედებაა, რომლითაც ადამიანები ღმერთებსაც აღვემატებით.

მდედრი მთელი თავისი არსებით აუღებელი ციხესიმაგრის თავგადადებული მეციხოვნეა!

მამრი შეტევაზე გადასული გულთამპყრობელი!..

ტრფიალი – ეს ქალ-ვაჟის გამოცდაა... რომელშიც ერთიც და მეორეც ერთმანეთისა და ერთმანეთისთვის გამომცდელებიც არიან და გამოცდის ჩამბარებლებიც... ეს საკუთრივ შენს მიერ შენთვის მოწყობილი გამოცდებიც არის, სადაც გამოცდების მიმღებიც და ჩამბარებელიც თვითონა ხარ...

ქალი და ვაჟი თან მკაცრი, თან სამართლიანი შემფასებლები არიან... ეს ხომ მათი სიყვარულის გამოცდაა... სიყვარულისა, რომელმაც ისევ და ისევ დროს უნდა გაუძლოს!.. ისინიც მიმტევებლებიც არიან და დაუნდობლებიც... იმის მიხედვით, რამდენად უყვართ ან არ უყვართ!..

ტრფიალი – ეს მიძალება და წინააღმდეგობაა... რომელიც უმნიშვნელოვანეს გამოწვევას უნდა მოჰყვეს... ეს შეჯახებაა... ეს აფეთქებაა შენს გარეთ და შენს შიგნით!.. ეს დაუზავებელი ომია, სადაც ქალიშვილი ისევ და ისევ მეტი სირთულის წინაშე დგას... ეს მან უნდა გარდაქმნას მის მიერ უკვე გამოცხადებული „არა“, „ჰოდ!..“ ვაჟიც არანაკლებ გასაჭირშია ჩავარდნილი.... მანაც მთელი თავისი ოსტატობით უნდა დააძლევინოს გულისსწორს „არა“!.. მეტიც, უნდა შეიძლოს, პრესტიჟის „არა“... არაპრესტიჟულ „ჰოდ“ გადაათქმევინოს...

... რომ გადაათქმევინოს, მანამდე... ვაჟმა გულისსწორი ოცნების ქალიშვილად უნდა იქციოს და თანმიმდევრულად ის თავის გულწრფელ და უსაზღვრო სიყვარულში დაარწმუნოს... ზოგჯერ ისე, ჩანს, რომ ამ წყვილს შორის მხოლოდ ვაჟია შეყვარებული, ხოლო ქალიშვილი მის სიყვარულზე ან თანხმდება, ან არ თანხმდება. არადა, ვისაც თავდავიწყებული სიყვარული ძალუძს, ეს ქალიშვილია... ის სწორედ რომ სიყვარულისთვის... ის სწორედ რომ შესაყვარებლად არის გაჩენილი!..

მამაკაცს ქალი აქცევს მამაკაცად!..

ქალს ქალად კი... მამაკაცი!..

აი, ამაშია სიცოცხლის აზრი!..

აი, ეს არის ძლევაი საკვირველი!..

წუთისოფელი ისეა... ადამიანები კი ასე... მოკლედ, ისეც არის და ასეც... ჩვენც ღვთაებრივი მოწყობილობა ვართ... ურთულეს ღვთაებრივ სისტემებსაც ჩვენ წარმოვადგენთ... გადამცემებიც ვართ და მიმღებებიც... ქალ-ვაჟს შორის ნამდვილი ზღაპრული სიმები იბმება... ურთიერთკოსმიური კავშირიც მყარდება... ჩვენც გრძნობებს, მგზნებარებას კიდეც ვასხივებთ და კიდეც ვღებულობთ... როცა საჭიროა, ვიჭერთ... ვიტაცებთ!.. ჩვენი გრძნობისმიერი, სრულიად სულისმიერი ტალღების სატრფოსაკენ გადაცემასაც და მისგან აქეთ მიღებასაც ვახდენთ, რომ ჩვენ ეს სხივებიც და ტალღებიც უდიდესი სიამის ვნებათა ღელვად გვექცეს!.. ეს საამო მაგნიტიზმია... საამური მიზიდულობაც ეს არის...

ქალ-ვაჟიც ნამდვილი ღვთაებრივი სხეულებია... კოსმიური მშვენიერებებიც ისინი არიან... ერთმანეთის ირგვლივ ტრიალი... გრავიტაციაც... ურთიერთშერწყმაც და სიცოცხლის აზრიც ეს გახლავთ... ყველაფერზე ამაღლებული, დიადი და უმნიშვნელოვანესიც... რომელთანაც სხვა დანარჩენი არც არაფერია!..

... ეს როგორც ეკლიანი... ისე ია-ვარდით მოფენილი გზაა „არადან“ „ჰომდე“... სასიყვარულო სატრფიალო თავგადასავალია... ისტორიულ, კლასიკურ და ავანგარდულ მოტივებზე... ექსპრომტიც ეს არის და გემოვნებიანი აშიკობაც... იმის გამოცნობაც ეს არის, ვის რა გაუხარდება. ეს შეჯიბრია... გაქცევა და გამოდევნებაც ეს გახლავთ.... სადაც მამრი თავს ესხმის, მდედრი კი გაურბის... ეს ქალ-ვაჟის ზღვრულ შესაძლებლობებზე გავლაა... ეს ისევ და ისევ ქალური კეკლუცობაა... ქალური პრანჭიკელობაც ეს არის!..

ოჰ, ეს „არათი“ ნათქვამი „ჰო“...

უდავოდ, მდედრის მინდაში გაწევრიანებული ქალ-ვაჟის ფათერაკებით სავსე სატრფიალო რომანის დედააზრიც ეს არის!.. ეს მდედრის დამორცხვების, ალმურის, აწითლების და მამრის სითამამის ამბები და ჩვენი სიცოცხლის გამალამაზებელიც იგია. ეს ფორმით გაქცევაა... შინაარსით კი შეგებება... ეს ფორმით უარია... შინაარსით კი გამოწვევა...

ეს გონებაარეული ქალ-ვაჟის იდუმალი ინსტინქტებით ან ზებუნებრივი ძალების ჩარევით წარმართული სასწაულებრივი შემოქმედებაა...

ჩვენი რაობის მთელი შნო-ლაზათიც ამაშია...

ეს კატა-თაგვობანაა... თვალებით და სიტყვებით თამაშია... საამური შეგრძნებებია... გადასარევი განცდების მოზღვავებაა... ეს სიხარულით გაბრწყინებული და ვნებით მიბნედილი თვალებია... ეს ერთმანეთისკენ გაპარებული მზერის ფაქტზე წასწრებაა... ერთმანეთისთვის თვალებით თვალებზე შეწყდომაა... ეს სიტყვაზე დაჭერა და გამოჭერაა... სხეულით, სულით და გონებით აბორგებაც ეს გახლავთ!..

ეს არ არის დასასრული, ეს მხოლოდ დასაწყისია!..

თურმე მთელი სხეული დანაღმული გქონია... ამას რას იფიქრებდი... ჰოდა, საოცარი ძალის სიამის განცდები ერთიმეორის მიყოლებით იწყებს აფეთქებას: წვა-დაგვით, ბნედითი-ბნედით, მთელს სხეულში გადარბენილი ჟრუანტელებით, წამოხურვებებით, ციებ-ცხელებებითაც. ტვინში ავარდნილი და ჩამორეკილი გამაოგნებელი ზარის ხმებით... თანმიმდევრულად გრძნობ, რომ ამ ყველაფერმა შენი სხეულის ერთ წერტილში მოიყარა თავი... შენც უყოყმანოდ ამ წერტილს შენი სხეულის ცენტრად აღიქვამ... ეს უდავოდ და უტყუარად... აქ ყველა შენი საამო შეგრძნებები და განცდები ასმაგდება... დაწყვეტის ზღვარზე ძარღვების დაჭიმვაც აქ ხდება!.. ეს ის არის, რომელიც თვითონ შენი სხეულით, სულით და გონებით თუ არ განიცადე... მიახლოებითაც ვერ წარმოიდგენ!..

ეს ზღაპრული, სასწაულებრივი და ღვთაებრივი ვნებათა ღელვაა, ბატონებო!..

ეს ის უზენაესი სიამის მწველი და საამური განცდებია, რომლებიც შეგძრავს და შეგაქანებს!.. რომლებიც არ გინდა, რომ დამთავრდეს!..

ეს ხელის ხელზე უნებური შეხება და ხელის ხელზე უნებური შეხების დადგმული სცენაც ეს არის...

სხვა რომ არაფერი, ეს შენი პირველი კოცნაა!..

ბოლოს და ბოლოს, ეს შენი პირველი ხვევნა-ალერსია!..

... ეს ვნებათა ღელვისგან გაგიჟებული სხეულები და სულებია!..

... ეს შენი პირველი სიყვარულია!..

... შენი პირველი ღამეც და პირველი ქალიც ეს არის!..

... ეს შენი ახალი წელთაღრიცხვის დღე, წელი და წამებიც არის!..

... ეს ის არის, რომლისთვისაც დაბადება ღირდა...

... და რომლისთვისაც სიკვდილიც შეიძლება!..

... ეს სწორედ ის არის, ურომლისოდაც ქალი ქალად არ ვარგა და მამაკაცი – მამაკაცად!..

... ეს ისევ და ისევ ის ღვთაებრივ-კოსმიური ვნებათაღელვაა, რომელიც თავდავიწყებამდე მიგვიყვანს და სიცოცხლეში თან უმნიშვნელოვანეს, თან საფრთხილო სიტყვას გვათქმევინებს:

– **მიყვარხარ !!!** ■

# ვინ იხსნა საჩხერე აგრესორთა ბომბებისგან

აგვისტო 2008-ის ტრაგიკული მოვლენები, ავად თუ კარგად, უკვე ისტორიის კუთვნილებაა. ომის ჭრილობების მოშუშებას კი როგორც დრო, ისე გააზრებული მოქმედებები სჭირდება. თუმცა დრო მაინცდამაინც ჩვენზე მუშაობს-მეთქი, ვერ ვიტყვი და, რაც განსაკუთრებით სამწუხაროა, ქვეყნის პრეზიდენტისგან (თუნდაც ვადაგასულისგან) გააზრებულ ნაბიჯებს ვერა და ვერ ვხედავთ. მ. სააკაშვილისა და მისი ამფსონების ისტერიკა, მარად და მარად უცვლელია, მხოლოდ ერთი კია, რომ ამჯერად იგი ახალი ნიუანსით – სოჭის 2014 წლის ოლიმპიადის ბოიკოტირებისაკენ მოწოდებით „გაამდიდრეს“.

რუსეთი კი, გვინდა თუ არ გვინდა, ჩვენი უდიდესი და ანგარიშგასაწევი მეზობელი, ბირთვული სახელმწიფოა. მასთან მუდმივ ქიშპობასა და მტრობას, დაპირისპირებას შერიგება რომ სჯობს, მგონი, ამაში ყველანი ვთანხმდებით. ქართველმა კაცმა კარგად იცის სიკეთისა და მშვიდობის ფასი, მაგრამ, რაც აგვისტოს დღეებში თავს დაგვატყდა, არც იმის დავიწყებაა იოლი საქმე. შეუძლებელია არ გვახსოვდეს, რომ ჩრდილოელებმა თითქმის მთლიანად იავარქმნეს ჩვენი სამხედრო ობიექტები, სახლები, ინფრასტრუქტურა... დიდი იყო მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში.

არსებობდა კიდევ ერთი საფრთხე.

აკაკის მშობლიური კუთხე, უმშვენიერესი საჩხერე, მოწინააღმდეგეს მიზანში ჰქონდა ამოღებული. ცოტაც და, მიწის პირისაგან აღიგვებოდა იგი. არავინ იცის, ვინ იხსნა უმძიმესი განსაცდელისგან.

ჩვენამდეც მოაღწია ინფორმაციამ, რომ იმერეთს, კერძოდ კი საჩხერეს, აქ დისლოცირებულ სამთო ბატალიონს დაბომბვის რეალური საფრთხე დაემუქრა, – აღნიშნავს ერთ-ერთ კერძო საუბარში ცნობილი ბიზნესმენის, თემურ ქარჩავას თანაშემწე ანატოლი ლევი. – საბედნიეროდ, საჩხერე და ქართული ბატალიონი რუსული აგრესიისგან ბორის ივანიშვილმა იხსნა, რომელსაც უაღრესად თბილი და ადამიანური ურთიერთობა აქვს საფრანგეთის იმდროინდელ ელჩთან საქართველოში, ერიკ ფურნიესთან.

თუმცა ჯერ-ჯერობით ყოველივე ეს მხოლოდ ვერსიაა, იქვე დასძენს ბატონი ლევი.

მაშინ ყოველივე ბოლომდე არც კი გაგვიცნობიერებია. მთავარი ის იყო, რომ ბომბდამშენებმა, რომლებიც შავი ყორნებივით თავს დასჩხაოდნენ საჩხერეს და მის ნაცარტუტად ქცევას წამებიღა აკლდა, მოულოდნელად კურსი 180⁰-ით იცვალეს, იქაურობას განერიდნენ.

დიდება უფალს – გადავრჩით!

დღეს კი, როდესაც უახლესი ისტორია უკვე რუსეთ-საქართველოს დაპირისპირების პერიპეტიების საჩხერული ეპიზოდის ანალიზსაც ითხოვს, ქვეყნისთვის თავდადებული, უფლისგან მადლცხებული ადამიანის ვინაობა (რომელმაც თავისი მამულიშვილური ღვაწლით, ვინ უწყის, რამდენი ადამიანის სიცოცხლე იხსნა) კვლავ საიდუმლო ბურუსით არის მოცული. გვრჩება იმედი: მზის სინათლის ქვეშ არაფერი იმალება და არც ის დღეა შორს, როდესაც იმ კაცის ვინაობა გაცხადდება, რომელმაც საჩხერე აგრესორთა ბომბებისგან იხსნა.

***ოთარ კუსიანი***
***საჩხერე***

# ნაუწყვეტი

ძველი რვეულიდან

### *შემთავსებელი კარიერისტი*

გაალაღა კუჭი, ფაშვი,
მაგრამ დაიფუშა კი...
მწერალია, ამავე დროს –
ხელძღვანელი მუშაკი.

### *დაბნეული*

ჩემი ლექსი ვის უნდა,
კუდში მე ვის მივება...
გაგონილა ყველაფრის –
გაკოპერატივება?!

### *პროვოკატორი*

შენი ყეფა და ლაქლაქი
სიბნელეზეა გათვლილი,
ენატარტალავ, ღირსი ხარ –
სარი გაგირჭონ, გათლილი.

### *ხალხის „არჩეულ“ ხელისუფალს*

მუხლზე დაგიჩოქებ,
სანთლად აგენთები,
ოღონდ მოგვაშორე
კრემლის აგენტები.

### *ცრუქაქუნა ბელადი ტრიბუნაზე*

მიტინგები, მიტინგები...
ხან – ღრიალი, ხან – ტაში!
სად ეტევა ამოდენა
სიცრუე და შანტაჟი.

ღმერთმა შეაჩვენოს შენი
რეიტინგი, იმიჯი...
მართლა რამე რომ შეგეძლოს,
ვიცი, რასაც მიმისჯი.

### *გათელვა*

რუსეთს ჩვენი მოდგმა მიწყივ
ტყუილებით უბერნია;
მისთვის რაა საქართველო?! –
ორი-სამი გუბერნია.

### *პოეტი და „ეროვნული“ მთავრობა*

აშკარად ვხედავთ ტვინბნელთა,
პრიმიტიულთა პრიმატს...
პოეტი მონად დაუდგეს,
არავინ არ ღირს იმად.

### *დილის ფიქრი*

იღუპება საქართველო!..
ტანში გამაძანძალა.
ორში ერთი უნდა გქონდეს –
ან ჭკუა და ან ძალა.

### *ურჩხული*

არც მდიდარია და არც ღარიბი,
არც ევროპაა და არც აზია;
ერთა მოსპობის, გადაგვარების
უზარმაზარი მეტასტაზია.

### *მარტივი დაკვირვება*

ვერ ივარგეს ქართველებმა,
თავს ვერ მოუარესო,
იმდენს იქმენ, არ ასცდებათ –
ხვედრი მოუარესო.

### *საკუთარი თავის მტრები*

ყველაფერი დავანგრიეთ,
დავწვით, გადავტრუსეთო;
ვთქვათ, ამოვწყდით, ამით შენ რა
გემატება, რუსეთო?!

### *გამაძღარნი*

„მერსედესია“ მათი კარეტა,
ვხედავ, შიგნით და მოჩანს გარედან;
რა დამტკიცება სჭირდება ამას –
ეპოქა გვიდგას კვლავ ყვარყვარეთა.

### *ჩვენი დამღუპველი*

არი შეჯიბრი, ვინ უფრო
გაქნილია და სწრაფია,
უსინდისობის სიმბოლო –
ჰყვავის ქართული მაფია,
ქურდი ჯიბის თუ ბინისა
მასთან უმწეო ღლაპია,
მივხედოთ, სანამ სამშობლო
მთლიანად ჩაუყლაპია.

### *უდარდელები*

რა გულით გინდა, გული ალაღო,
სუყველაფერი დაიშალა ხო,
რამდენი ვიცი, ქეიფობს ამ დროს –
დავლურს უვლის და ცეკვავს „შალახოს“.

### *მყვლეფავი ბანკები*

ვიღაც ნაღდად შეშლილია
ან თვალთმაქცობს, განზრახ აფრენს –
ათასობით მეანაბრე,
უკვე გახდა მეარაფრე.

### *იგივე დავრჩით*

*(მუცელს გადაყოლილები)*

ვერც ცხრა ძმა ხერხეულიძემ,
ვერც არაგველმა სამასმა,
ვერ ჩაგვინერგეს კაცობა,
ვერ დაგვავიწყეს ჭამა-სმა.

### *ცხინვალში ქართველთა დაბრუნებაზე ოთხმხრივი მოლაპარაკება*

სიტყვა „ლტოლვილი“ რო მესმის,
შიგ გულში ეკლად მესობა,
აღარ გათავდა ხრიკები,
გაიძვერობა, ქლესობა,
ჩვენსავ მამულში გვაქციეს
ეროვნულ უმცირესობად.

### *გაცრუებული იმედები და ჩვენი სიგლახე*

მომავალში რაღას უნდა
მოველოდეთ გაეროსგან,
როცა ისიც კი ვერ შეძლო,
აფსუები გაეროზგა,
ჩვენც ვერარა დავაკელით –
ვერც არძინბას და ვერც ოზგანს.

### *რიტორიკული შეკითხვა*

თუ შემცდარი ვარ, მეშლება რამე,
უფალო, შენ მაპატიე,
რა უნდათ ერთად – საქართველოს და
ამ პარაზიტულ პარტიებს.

### *იდეალური ოჯახი*

დედა – კახპა, მამა – ლოთი,
შვილი დადის „მამალოთი“.

### *ობერ-ნაძირალა*

დაუდის მოსამსახურე,
ემსახურება მანქანა,
რა ნაგავიც ჰყავს მის პატრონს –
თვითონ არ იცის მან განა?

ხეს – უნაყოფოს, შხამიანს,
თავიდან არა ესხა-რა,
რყვნის, ათახსირებს თაობებს
ბოროტი და მაბეზღარა.

ძირში მოაჭრა, ახია,
ენა, ნაღველში ნალესი,
და თავზე გადაახიო –
ლექსები უწყალწყალესი.

### *ჩვენი მიამიტობა*

ჯობს, წერტილი რომ დაესვას
ფუჭ ცდებს, ხელის მოცარვებს –
გრაფიკს ვითხოვთ, აფსუები
უგრაფიკოდ გვხოცავენ.

### *უსაშველო*

უთქვამს ბენ ჯონსონს, დიდ პოეტს,
ვერწმუნოთ – რა დაგვრჩენია,
„თანდაყოლილი სიბრიყვე
უკურნებელი სენია“.

### *ჩვენი ფალავანი*

მომწონს ბრძოლა წივწივაძის,
შემართება რომ აქვს ვაცის:
ჟვეროს თხრის და გვირგავს ხე-ხილს,
მტერს დაეცა იმის მეხი.

### *მახრჩობელა*

უნამუსობა, გეთაყვა,
სად გაგონილა ეგეთი,
საქმის მკეთებელს, მეწარმეს
კლავს სახელმწიფო რეკეტი,
ის დროა, ყველა ამნაირს
შიგ თავში ჩასცხო ხელკეტი.

### *აფხაზეთი წაგლეჯილია*

ჯანს, შერყეულს, არ ვჩივი,
არც ცარიელ ჯიბეს;
საქართველოს, საცოდავს,
თავი წააგლიჯეს.

### *თავს ვიქცევ*

გაპრანჭვას ჯობს სადად ყოფნა,
სად რკინა და სად აგური,
ჯერ კი ვუძლებ, არ თავდება –
ყოფნა ჩემი, სადაგური,
შემიტყუა, ეს ქვეყანა
მახე არი, სათაგური.

**ბუტა ფორია**

*გაგრძელება იქნება*

# სხვათაც იყო ოცდაა

გიზო ზარნაძე

## იმ ოცდამეშვიდე კომისრის ვერაფერი დადგინდა?

როცა მიხეილ გორბაჩოვი მიხეილ-გორბაჩოვობდა და არცთუ ისე უცნობი ეგორ ლიგაჩოვი ეგორლიგაჩოვობდა, და როცა მათ, რაისა მაქსიმოვნასთან ერთად პირიპირშეხმატკბილებულებმა, მთელ საბჭოეთში ანტიალკოჰოლური კამპანია წამოიწყეს, სწორედ იმ ხანებში ვეწვიეთ ახლა ჩემი და ადრე ოტიას კარის მეზობლები თენგიზ კაჭარავა და როინ მუსერიძე მწერალს აგარაკზე, ლოჭინის ხეობასთან, ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის მახლობლად. აგარაკი აქ სიმბოლურად ვახსენე, თორემ რა აგარაკი, რის აგარაკი! ამის თაობაზე თვითონ ოტიას აქვს მოთხრობილი ავტობიოგრაფიულ ნოველაში – „ფინია“: „აგერ სარწყავი არხი კი გაუყვანიათ და მიჩხრიალებს წყალი ბეტონის არტახებში, მაგრამ ირგვლივ ისეთი ბირკა ბალახია მოდებული... ბირკა ბალახის მეტი რა მინახავს, მაგრამ, თუ კაცის სიმაღლე იზრდებოდა, არც გამეგონა... კი მაგრამ, ეს ბირკა და გლერტა რომ მოვსპო, ვენახი დავრგო, ატმები, ბროწეულები და ლეღვები გავაშენო, ამ წყალმა უსარგებლოდ რომ არ იდინოს, მეც სული მოვითქვა და აქაურობაც ავაყვავო, რა დაშავდება?..“

ჰოდა, გადაადგა ოტიამ იმ არხზე წისქვილი, დაანთო ბუხარი, გააშენა ვაზი და ხეხილი და ტრიალებს შიგ!.. ხშირად კვირაობით იკარგება, – არც მისამართი აქვს, არც ტელეფონი. სანთლით რომ ეძიო, ვერ იპოვი!..

მივუახლოვდით. ეზოს მწვანედ შეღებილი, სქელი, მთლიანი თუნუქის ჭიშკარი აქვს. ძაანაც რომ მოინდომო, ვერ გადაიხედავ. მივადექით.

– მაინძელო! – თუ წისქვილს ამუშავებს, რას გააგონებ! – ვუთხარი თენგიზს.

– ბატონი! – მოგვესმა ძაღლის ყეფაში ოტიას ხმა.

– გვნახეთ ერთი, აქეთ! – ვეძახი უცხოსავით.

– მეჩვენება, თუ მართლა თქვენ ხართ? – გაავებულ ფინიასთან ერთად მოადგა ჭიშკარს ოტია.

– კი, ჩვენა ვართ, ჩვენ.

– აგაშენათ ღმერთმა! – გაუხარდა ოტიას და ფინიას დაუცაცხანა. ძაღლმა უმალვე ლაქუცი დაუწყო.

– ჩვენ კი ვართ, მარა, მაინცდამაინც კაი საქმეზე არ მოვსულვართ.

– ვერ ხართ კაის მახარობლები? – თენგიზს და როინს მიუბრუნდა.

– ვერა, – თავი გააქნია თენგიზმა და გვერდზე გაიხედა. როინს კინაღამ გაეცინა.

– დეიღუპა ვინმე? – იკითხა შეშფოთებულმა.

– დაღუპვით არა, მარა...– ისევ მე ვეუბნები.

– რა მარა?!

– ის მარა, რომ მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ გამომგზავნა შენთან, – ვუთხარი მოგონილი სერიოზულობით და, ეტყობა, უმალვე „გავიყიდე“.

– კიდო გაქვთ კავშირი? არ დაშლილხართ? ისევ ჩაფსკვნილი ხართ ერთმანეთს? – უმალვე მოექცა თავის სტიქიაში, – რაიო შოთა ბატონმა, რა მნებავსო?! გარე-გარე ნუ დარბიხარ, შენც დაგვიკავშირდიო?

– მე სერიოზულად გეუბნები.

– აღარ ამოთქვამ, რა მოჰსურვილებია?! – ხმას ფხა გამოუჩინა და თვალები მოწკურა, – თუ შენთანაც გავწყვიტო კავშირი!..

– არაყის სახდელი ქვაბი რომ აქვს, სპილენძის, თავის ზარფუშიან-როფიანად უნდა ჩამოერთვასო!

– ალბათ, არაყთან და მაგარ-მაგარ სასმელებთან რომ კავშირი არ დავამყარო, ხომ? მიტომ კაია კავშირი, ზრუნავს თავის წევრებზე!..

– ჰო, აკრძალულიაო, მწერლებს რომ არ ავნოს და, ამდენად, ლიტერატურა არ დაზარალდესო.

– პირდაპირ ფეხად მოგისწრიათ!.. ეს-ეს იყო, გალოთებას ვაპირებდი.

– ჰოდა, რამენაირად გადაიფიქროსო.

– დღეის ამის იქით სათოფეზე აღარ წავეკარები, მარა იმ ქვაბ–ზარფუშ–როფს ჩვენ თვითონ წევიღებთო თუ მე მივუხრიგინოყე? ამას გარდა, ცოტა შარშანდელი ორნახადიც რომ მაქვს შემონახული, იმას რა ვუყო, ხომ არ გახსენებია?

– მაგი არ გახსენებია, მაგრამ... ამდენ რამეს რა წაახრიგინებს! მოდი, ასე ვქნათ: ორნახადი ჩვენ, ქვაბი, ზარფუში, როფი და ამისთანები იმათ!.. მოვიდა?

ოთხივეს სიცილი წაგვსკდა. ბოლოს შინაურულად მივიკითხ-მოვიკითხეთ ერთმანეთი. ოტიამ როინს ისიც კი ჰკითხა, რა ქენი, „ვეფხისტყაოსნის“ მეოცე საუკუნის ხელნაწერი თუ გაასრულეო. ვენახსა და ხეხილს მოსავლიანობის პირი გავუსინჯეთ, ცოტა საქმეზეც წავუკარით ხელი, ღარს წყალი მივუშვით და წისქვილში წავისამხრეთ. ორნახადის გარდა, ადესაგარეული რქაწითლის ლალისფერი ღვინით, ცივი მჭადით, მწუთხე ყველითა და სახრავი ატმით გაგვიმასპინძლდა ბატონი ოტია და მისივე „ნივით“ გამოვბრუნდით.

კახეთის გზატკეცილზე გამოსვლისას, ვერ გეტყვით, სიჩქარე გადააჭარბა თუ რა მოხდა (მანქანა რომ არ მყავს, მოძრაობის წვრილმანებში ვერ ვერკვევი), ინსპექტორმა ძალუმად ჩაგვისტვინა. მანქანები გზატკეცილზე ჭინჭველებივით ირეოდა და არ ეგონა, მაინცდამაინც ჩვენ თუ გვისტვენდა.

მიქრის ოტია, არ აჩერებს. სულ მალე სირენის წივილით ჩაგვიქროლა ინსპექტორმა, გზა ფიცხლივ გადაგვიჭრა და გადაგვიკეტა. ზედ შევასკდებოდით, ოტიას რომ მანქანა ოსტატურად არ დაემუხრუჭებინა.

– ვინაა ეს ჭკუის კოლოფი! – გამოსცრა გრძელმუნდშტუკგაჩრილ კბილებში ოტიამ და სვანური ქუდი ზედ თვალებზე ჩამოიფხატა.

ვდგავართ, არ ჩავდივართ მანქანიდან, ინსპექტორიც დგას, არც ის გადმოდის. უცდიან ერთმანეთს...

გაყო სიგარეტწამოცმული უშველებელი მუნდშტუკი გვერდითა სარკმელში, თვითონაც გაიჭყიტა და დაუსიგნალა. გადმოკიდა ინსპექტორმა ფანჯრიდან მსუქანი თავი და წესრიგის დამცველისათვის აშკარად შეუფერებელი ტონით მოაძახა:

– არ კადრულობ, ხომ, გადმობრძანებას!..

– რატომ უნდა გადმოვიდე, გეჭიდაო?!

– მეჭიდაო?! – შეჩქვიფდა ინსპექტორი და დაექადნა, – კამეჩთან მოჭიდავე ხარს, ხო იცი, რა ემართება!

– მაგ რო ვიცი, მიტომაც არ ვიცვლი ფეხს!..

საგზაო წესრიგის დამცველმა ლამის გამოანგრია მანქანის კარი, უსკუპია გადმოხტა მანქანიდან და ამასობაში მეც მივირბინე.

– ამხანაგო მაიორო, დააშავა რამე?

– გააშავა თუ გაათეთრა, ეგ მე ვიცი!..

– თქვენ იცით, მაგრამ მანაც იცის! ეგ ცნობილი მწერალია, ოტია იოსელიანი!

ეტყობა, ცოტა ხმამაღლა მომივიდა ნათქვამი და მაიორმაც ასევე ხმამაღლა მომიგო:

– არ ვიცი, ბატონო, არ ვცნობ მე ასეთი გვარის მწერალს და არც გამიგონია!

– და არც არაფერი წაგიკითხავთ?

– დიახ, არ წამიკითხავს!.. კეთილი ინებოს და საბუთები მაჩვენოს!..

ოტიამ ახლა მუნდშტუკი შეწია, თავგადმოყოფილმა კისერი დაიგრძელა და მაიორს მიახალა:

– ნურც ნურაფერი წაეკითხოს შენს გვარს და ჯილაგს, თუ არ წაგიკითხავს!..

– საბუთები! – თავზე დაადგა მაიორი.

გულისჯიბეში, საიდანაც, წესით და რიგით, საბუთები უნდა ამოეღო, ვაზის სასხლავი მაკრატელი დაუნახა ინსპექტორმა და მე მომიბრუნდა:

– ცნობილი მწერალია, ხომ?

– საკმაოდ. ჩვენშიაც და, წარმოიდგინეთ, ცოტა იქითაც!..

– ამით წერს და ამით ხატამს, არა?

– სხვათა შორის და, თქვენ რომ იცოდეთ, ამითაც... – დავუწყე ახსნა, მაგრამ უმალვე იქუხა:

– საბუთები-მეთქი!..

– ეგერაა, სახაბაკოში, – მშვიდად მიმითითა ოტიამ „ბარდაჩოკზე“.

გამოვაღე და მივანოდე სახეანთებულ ინსპექტორს. არც დაუხედავს, ისე ჩაბღუჯა მხარიღლივ გადაკიდებულ ჩანთაში.

– „26 კომისრებში“ გამოცხადდები ხვალ. სამიდან ხუთამდე იქა ვართ. გასაგებია?

– 26 კომისრის ყველაფერი გასაგებია, მარა იმ ოცდამეშვიდესი კიდევ ვერაფერი დადგინდა?

– ვინ ოცდამეშვიდე, რა ოცდამეშვიდე! – დაიბნა ბრინჯივით და ხან მე გადმომკრავს თვალს, ხან ოტიას, ხან მანქანის ნომერს აკვირდება – ვინაა ეს უბედური, ამას ვის გადავეყარეო! – „26 კომისრებში“ გამოცხადდები-მეთქი“ ხვალ!.. – და ისე გაგვშორდა, იმ ოცდამეშვიდე კომისარზე ვერაფერი დავტყუეთ.

– ისე, ვინიცობაა, ხელი შემეშალა და ვერ გეახელი, ადვილი მოსაგნები ქე ვარ – თქვენების კლინიკა რომაა, ჩიტაძეზე, ე, იქანა მომაკითხავ და მოგასწავლიან! – მიაწია ოტიამ და „ნივა“ ადგილიდან მოწყვიტა.

## „ესაა ქვეყანა?! კაცი ცოცხალი ყოფილა!“

ისევ და ისევ 90-იანი წლები. ისევ და ისევ ჩაბნელებული ქვეყანა.

უშუქობის გამო ტელეფონები უქმადაა. არ მუშაობს.

მოხდა სასწაული და, მთელი კვირის ჯახირის შემდეგ, ავკრიფე წყალტუბოს კოდი და დავუკავშირდი ოტიას.

– ცოცხალი ხარ შეენ?! არ მოყოლილხარ დარბევებში?! რას შობით მაქანე, რავა არიენ ბოვშები? – დამაყარა და დამაყარა.

– ვერ გიკავშირდებოდი უშუქობის გამო. თვითონ რასა იქმ?

– რაფრაც შეეფერება ტყეში მაცხოვრებელს! არა გაზეთი, არა ჟურნალი, არა რადიო! ტელეხედვა უშუქოდ ვის მოსტრებია!.. არადა, ესაა საქმე?! ისე გარდაცვლილა ნამეტანი კაი კაცი, აკადემიკოსი ავლიპ ზურაბაშვილი, წყალტუბოში კაციშვილს არ გაუგია!

დავიბენი. ხმას ვერ ვიღებ. ვთქვათ, წყალტუბოში ვერ ჩააღწია, მაგრამ აქ, დედაქალაქშიც ვერ მოვკარით ყური?!

– აბა, აბა... – ვთქვი, რაც შემეძლო, გულმწუხარესავით და შუქიც წავიდა.

დავტრიალდი, მივიკითხ-მოვიკითხე. ხალხიც დაბნეულია. ნუთუ?.. კი მარა, ერთს მაინც რავა არ დასცდა?! ყველას უკვირს, ყველა მხრებს იჩეჩავს.

ბოლოს ფსიქიატრიულშიც დავრეკე. იღბლად, პირდაპირ დირექტორთან მოვხვედრილვარ.

– გისმენთ, პატივცემულო! – მომესმა ცნობილი ზურაბაშვილისეული ხმა. კრინტს ვერ ვძრავ. თან მიხარია, თან მიკვირს. ვერ მომისაზრებია, რა ვთქვა.

– არ ინებებთ რაიმეს თქმას?!

– არაფერი, არაფერი. უბრალოდ, მიხარია, ცოცხალი რომ ბრძანებულხართ!

– აჰა! უნდა ვივარაუდოთ, რომ რაღაც ფათერაკიანი სიზმარი გინახავთ ჩემზე, არა?

ყურმილი დავკიდე და ახლა ოტიას ვურეკავ გახარებული.

– ოტო, ვინ თქვა, ავლიპი მოკვდაო! ეს წუთია, ველაპარაკე, ცოცხალია ავლიპი!

– ჰოდა, ეგ სულ უარესი! ესაა ქვეყანა? კაცი ცოცხალი ყოფილა და ჩვენ აქ, მთელი თვენახევარი, იმის შესანდობარს ვსვამთ!

## ნანამ მიხსნა!

2004 წლის ივლისია. აივანზე, ტალავრის ჩრდილში ვსხედვართ ოტია, მე და ერთი მისი ახლობელი კაცი. არ ვიცნობ, მაგრამ მასპინძელი არ თვლის გაცნობას საჭიროდ!

ვსაუზმობთ. ლაპარაკობენ ამ მთისას, იმ ბარისას. უმეტესად, მასპინძელი, რომელიც, ეტყობა, ვერაა მაინცდამაინც გუნებაზე, არავის და არაფერს ინდობს, კენწლავს, აქილიკებს...

სტუმარი ყოველ სიტყვაზე კვერს უკრავს, აპა რა, აპა რაო! ვატყობ, რაღაცის ჩართვას ლამობს, ორი სიტყვის; ხშირ-ხშირად დასჩერებია საათს, მაგრამ ოტია „ვერ ამჩნევს“.

ჩაურთო, როგორც იქნა.

– ოტიას შემოვევლე, იმას რომ შემპირდი, ვეცდები, გიშონოო, ხო არ გაგხსენებია?

–?!

– შალვას ბიჭებს შევასახელებ, კაი ბოვშები ყავს შალიკოს, თუკი სადმე იშოვება, უსათუოდ გამიხერხებენო. არადა, რა ვქნა, ხუთი კვირეა, მანქანა გარაჟში მიყენია!..

– გარაჟი ქე გააქ?

ახლობელმა თავი ჩაღუნა, თვინიერად გაუღიმა.

– ჩეირბინე ერთი ქვეით! – ახლა მე მომმართავს, – არ გეზარება და არაფერი! იქინე, სახაბაკოში, ჯვართავაა და ამოუტანე ამ კაი კაცს.

ჩავრბივარ ქვის ვეებერთელა, მრავალფალანგიან კიბეზე და შუაგზაში ვაცნობიერებ, რომ ვერ ვხვდები, – რისთვის მგზავნის!

უკან მიბრუნებაც მეუხერხულება, ხომ ცხადია, „ტრუბაში“ გამაძვრენს!

ჩავათავე კიბე, შევვარდი სამზარეულოში, სადაც ნანა მეგულება, ინასარიძე, (ოტიას მეორე მეუღლე) და სულმოუთქმელად ვეუბნები: მიშველე, ნანა, შენი ჭირიმე, სადღაც სახაბაკოში რაღაც ჯვართავა ყოფილა-მეთქი!

– „ნივის“ ბარდაჩოკშია ეგერ, – თან სიცილი ეძალება, – ქაღალდში შეხვეული კრესტავინა.

ამასობაში, შემაგვიანდა უკან აბრუნება და ოტიას რამეს გამოაპარებ? წამებში აქვს გათვლილი ყველაფერი.

– სა იყავი ამდენ ხანს, მაღაზიაში?! ■



**ბატონო თამაზ!**
**მოგესალმებით! თქვენთან ვართ და გვჯერა, რომ (თქვენეული ღვაწლის გათვალისწინებით) ქართულ მწერლობას მნიშვნელოვან სამსახურს კვლავ გაუწევთ. გიგზავნით თარგმანებს გაზეთისთვის. წინასწარი მადლობით, დიდი პატივისცემით – *ჟუჟუნა ხაჯიშვილი, ზურაბ ფირცხალაიშვილი.***

**ბათუმიდან**

## *მარინა ცვეტაევა*

●

ჩემს ლექსებს, ადრე დაწერილ ლექსებს,
(პოეტი ვიყავ – არც კი ვიცოდი)
ვით შადრევნიდან ასხლეტილ შხეფებს,
ვით ცხელ ნაპერწკლებს, ისე ვისროდი.

ცელქ ეშმაკუნებს, შემოჩვეულებს
წმინდა ტაძარში, ზეთის სურნელზე,
ლექსებს სიკვდილზე, სიყმაწვილეზე –
ჯერ წაუკითხავ და უცნობ ლექსებს –

უჭირისუფლოდ მიმობნეულებს
(რომ დასდებიათ დახლების მტვერი),
ჩემს ლექსებს, როგორც ძვირფას ღვინოებს,
მწამს, დაუდგება თავისი ჯერი.

●

თვალებზე ცრემლი! ზარი
სიყვარულის და რისხვის!
ჩეხეთი ცრემლიანი!
ესპანეთს ღებავს სისხლი!

ჰოი, შავი მთა როა,
არ ლანდავს შუქი მცირეც!
დროა, შემოქმედს, დროა,
რომ ვუბრუნებდე ბილეთს.

ჩემი უარი – ყოფნას.
უგუნურებთან ერთად
ჩემი უარი – დგომას.
იქ, მოედნებზე, მგლებთან

ჩემი უარი – ყმუილს.
არ ვარ ზვიგენთა სწორი,
იმათ გვერდიგვერდ ცურვით
ფსკერისკენ დავყვე მორევს.

მზერა ვერ ატანს ბნელში
და ჩემი სმენაც ყრუა.
მაგ შენს სამყაროს შეშლილს
ერთ პასუხს ვაძლევ – უარს.

●

მომწონს, რომ ავად არა ხართ ჩემით,
მომწონს, რომ თქვენით არა ვარ ავად,
რომ ფეხქვეშ მიწა მძიმე დ სველი
არ გატოკდება სულისშემძრავად.
რომ სასაცილოდ თავისუფალი
არ ვთამაშობდე ყალბი სიტყვებით
და არ გავწითლდე, როცა უბრალოდ
ერთურთს თითებით ველაციცებით.

და კიდევ მომწონს, გიცქერით, როცა
ეხვევით ვინმეს მოურიდებლივ
და არ მიგზავნით გეენას კოცონს,
მეც საკოცნელად რომ არ მინდებით.
რომ ჩემს ხსენებას სათუთად თქვენში
არც დღით, არც ღამით არ გაუვლია,
რომ დიდი ტაძრის სიმყუდროვეში
არავინ გვეტყვის ალილუიას!..

მადლობას გიხდით გულით და ხელით,
სულით და გულით მადლობას გიხდით,
მადლობას გიხდით, გიყვარდით ისე,
რომ თქვენ თავადაც ვერაფერს მიხვდით.
მადლობას გიხდით ამ სიმშვიდისთვის
და იშვიათი შეხვედრებისთვის,
მთვარიან ღამით, დაბინდებისას
ჯერარშემდგარი პაემნებისთვის.
რომ თავს არ გვადგას, გვირგვინის დარად,
ჩვენ შარავანდი ცხელი და მწველი...
ვწუხვარ, რომ ჩემით არა ხართ ავად,
ვწუხვარ, რომ ავად არა ვარ თქვენით.

●

უთავბოლო და უაზრო დღე მაქვს.
ღატაკის კართან პურისთვის ვდგავარ,
ფულის მქონებელს ფულს იქით ვაძლევ.

მზის ნათელს ნემსის ყუნწში ვატარებ,
გასაღებს ქურდს და ოხერს ვაბარებ,
ფერ-უმარილით ვიწითლებ ღაწვებს.

ღატაკს არა აქვს საწილო პური,
მდიდარს არ უნდა ეს ჩემი ფული,
ყუნწში რომ გაძვრეს, არ ძალუძს მზის სხივს.

არც გასაღები ქურდმა ინება,
სულელს კი ცრემლი მოედინება
უსახელო და უმაქნის დღისთვის.

●

როგორც ლურსმნით – ვმსჭვალავ შავი მიწის
გულს.
სულ ტყუილად ვწვალობ, სულ ტყუილად, სულ.
მაგ ლურსმანზე მეტად ერთგული ვარ მე,
აქ არა ხარ შენ და – აღარა ხარ შენ.

მზერას მოვწყვეტ მიწას, ცას მივანდობ თვალს,
სულ ტყუილად გეძებ, ვერ ვპოულობ კვალს.
სველ ბადიას ვხედავ, წვიმის წყლების ჭერს,
აქ არა ხარ შენ და – აღარა ხარ შენ.

იმ ორიდან ერთი ვით ვიწამო, ვით?
ან ნამეტურ – სულით, ან ნამეტურ – ძვლით.
შენ სადა ხარ თვითონ, შენ სადა ხარ მთლად?
იქ – ნამეტურ იქ , და აქ – ნამეტურ აქ.

ვერ გიმეტებ ქვიშად, ვერც ღვენთებად ცის,
ვინც საშოდან იშვი, თვისად მერგე ვინც,
მე შენს ყოფნას გვამად და ვერც ლანდად ვიქმ –
აქ – ნამეტურ აქ და იქ – ნამეტურ იქ.

ეს არა ხარ შენ და – ეს არა ხარ შენ.
გვიგალობონ თუნდაც ხუცესებმა ჩვენ
საიქიო ყოფა რომ სიცოცხლეს ჰგავს,
ღმერთი მეტად ღმერთობს, ჭია მეტად ხრავს.

ჩვენ არა ვცნობთ, არა – ლანდებსა და გვამს!
ჩვენ არ მივცემთ, არა,
სასაფლაოს ყვავილს
საცეცხლურის კვამლს!

თუ სადმე ხარ, ისევ ჩვენში ხარ
და პატივი დიდი რა იქნება სხვა:
ნუ ვიხსენებთ წარსულს, ის გათიშვა გვძულს.
შენ ნახვედი სულ და შენ ნახვედი – სულ.

●

მოსკოვთან ახლოს ლილისფერ ფიჭვნარს
წვიმის ზარები ნელი-ნელ წინწკლავს.
დადიან ბრმები კალუგის გზებით
ჩვეულ კალუგურ სიმღერებითა...
და მოგალობე უცხოელ მწირთა
სახელებს რეცხავს მერე წვიმები.
ვფიქრობ, ოდესმე მეც დავიღლები
გაბეზრებული მტრებით და ძმებით
და რუსულ სიტყვით – ყოვლის დამთმენით,

ვერცხლის ჯვარს გულზე შევიბამ ნებით,
პირჯვარს გადვიწერ – და მოთმინებით
იმ ძველ კალუგურ გზას დავადგები.

●

ერთად რომ ვიყოთ, – ბედისწერამ შეგვყაროს
ერთად –
ო, რა მოლხენით წავიდოდა დინება დღეთა!
ქედს მოგვიხრიდა ქალაქები დიდი და ძველი,
ძმავ უთვისტომოვ, მშობლიურო სულით და
რწმენით.

ვით ჩაქრა ხიდზე ლამპიონი უკანასკნელი,
მე – სამიკიტნოს დედოფალი, შენ –
მბრძანებელი.
ხალხნო, ჩვენს მეფეს ერთგულების მიეცით
ფიცი!
არსებას გიძღვნით დედოფალიც, – გჯეროდეთ
მისი!

ერთად რომ ვიყოთ, – ბედისწერამ შეგვყაროს
ერთად –
სამეფო ზარი დარეკავდა მოხმობად ჩვენდა,
მოსკოვ-მდინარეს გადუფრენდა ჭორი გნიასით
ცრუ ხელმწიფეზე და მშვენიერ თვითმარქვიაზე.

გადაქანცულებს ხეტიალით, როკვით, სიამით
გადაგვარწევდა, ძმაო ჩემო, ღამის ნიავიც –
აბოლდებოდა გზა-ბილიკი სულ თეთრად,
თეთრად –
ერთად რომ ვიყოთ, ბედისწერამ შეგვყაროს
ერთად!

●

ისევ ის სიყრმე, ადგილნი ცოდვის
და კოცონებით ღამე მდიდარი.
ჩემი ღვთიური ლირა, იცოდე
ნამდვილი დაა შენი გიტარის.

ჩვენ ერთნაირად ვართ დაწინდული,
რომ ქარბორბალა სულებში ქროდეს.
სულთა მძარცველი! – მეც ეს ტიტული,
მეც ეს წოდება აკვნიდან მომდევს.

მენდე, თითების ჯავრიან მტვრევით
შენ არ ხარ მარტო, დღეთა ნისლებში,
ვინაც ბოშური დუღილით, გზნებით
ყმაწვილ თავადებს ჭკუიდან შეშლის.

მარტო შენ როდი შეჰკიდებიხარ
ალესილ დანას სისხლის ცხელებით...
ჩვენ სიყვარულშიც ნაღდი დები ვართ
მაღალი გრძნობის ბიწიერებით.

●

რუსულ ყანაში ჭვავის თავთავს ჩემი თავდახრა,
ყანაში, სადაც დედაკაცი ჩაინაცრება...
ო, მეგობარო! წვიმებია ჩემს ფანჯარასთან,
სული შემიძრა ნეტარებამ და განსაცდელმა...

ისე ნაღდი ხარ წვიმისა და ჭირის ჰანგებში,
ვით ჰომეროსი ჰეგზამეტრის ბნკარში მიცნია,
მომეცი ხელი იმქვეყნიურ მყუდრო ნათელში!
საამქვეყნიოდ ეს ხელები ვერ მოიცლიან.

*თარგმნა*
***ჟუჟუნა ხაჯიშვილმა***

# ოთი ჩანაწერი

## „ჩვენი როა“



გოგი ქარსელაძე კვდება – „ხმელი გოგია“...

თოთო ბალღი იყო, მამა რომ დაუხვრიტეს – პოლკოვნიკი კაცი, გიორგის ჯვრების კავალერი. დავაჟკაცებულმა, სისხლი იძია: მამამისის მკვლელი მოკლა. გააციმბირეს; კარგა ხანს ახეხინეს ციხე-კოლონიები. დაბრუნდა, ოჯახს მოეკიდა. ხმელ სხეულში უსაშველო ჯანი ედგა – მუშტით ხარს ჩააჩოქებდა, კიბოს კი ვეღარ მოერია: კვდება...

თბილისში უბედურად ჩამოცხა.

დიდ „ზალაში“ გაუშალეს სასთუმალი ორმეტრიან ვაჟკაცს; დიდძალი ხალხი მოაწყდა მის სანახავად, მოსაკითხად, არ იმჩნევენ – თორემ, გამოსამშვიდობებლადაც... გარს უახლოესი სანათესავო ვახვევივართ, კაცები – ვდგავართ, ქალები – სხედან. მისი სამი ვაჟკაცი და მეუღლე ლეილაც აქ არიან. ფერხთით მედიკო ძიძიგური, ქეთი ჯაფარიძე და კიდევ რამდენიმე მგალობელი ქალი უსხედან, ხმადაბლა უმღერიან გიტარაზე მომაკვდავს.

შემოდის ჟორჟიკა იაშვილი, ქეთის გიტარას გამოართმევს, უზარმაზარ ტორებზე გამოსხმულ კოტიტა თითებს სიმებზე საოცარი სიმარჯვით აათამაშებს და დაჟღლილი ხმით დვრინს იტყვის, მერე გოგისთან მივა და შუბლზე ემთხვევა.

– ლეილა, მიხედე... – ამოიხლიჩინა გოგიმ.

გვერდით ოთახში მნახველებისთვის საუცხისო სუფრაა გაშლილი: დედას პური, გუდა, მწნილი, შაშხი და ლეჩხუმური ღვინო...

– ჟორჟიკა ჩვენია, რა მიხედვა უნდა, – გაეღიმა ლეილას.

– ჩვენი როა, ბოშო, იმას უფრო უნდა მიხედვა და ყურადღება...

ლეილა წამოდგა.

## ჭკვიანი

1993 წლის ზამთარია, ლიკანში ვარ.

ტელეფონთან მიხმობენ. სოსო ცისკარიშვილი მირეკავს:

– სასწრაფოდ დაგაზე და პირდაპირ განათლების სამინისტროში მიაჭერი...

– რა ხდება, რამე ფარსაგი ხომ არ არის კოტიკოს თავს?

კოტე გაბაშვილი მაშინ განათლების მინისტრი იყო...

– ფარსაგი შენს თავს არის... მეტს ვერაფერს გეტყვი... – და გამითიშა.

გამოვშხუილდი და ამ ჩემი გაქუცული ქურთუკით პირდაპირ მინისტრის კაბინეტში შევაბიჯე; გაბაშვილის ნაცვლად იქ მისი მოადგილე თამაზ ტატიშვილი დამხვდა.

– სადაა შენი მინისტრი? – ვეკითხები.

– ჩემი მინისტრი, თუ არ ვცდები, უკვე თქვენ უნდა ბრძანდებოდეთ... კოტე ქალაქის მერად დანიშნეს. პარლამენტის დილის სხდომაზე განათლების მინისტრად თქვენ წარგადგინეს.

იმ საღამოს ჩემთან კლასის ძმაკაცები შეიკრიბნენ. დათო ხოშტარიამ, ვერის ბაღის გამგებელმა და მაღაზიათა ქსელის მფლობელმა, წინ ძვირფასად შეფუთული შეკვრა დამიდო და მეუბნება:

– შენი ამბავი რო ვიცი, ასე ჩაფართხუნებული ივლი სამინისტროშიც მაგ შენი მოუცილებელი სვიტრითა და როლინგით, მაგრამ – გინდა, არ გინდა – აწი ჰალსტუხის გაკეთებაც მოგიწევს და პიჯაკის ჩაცმაც. მერე რო დაზმანული მიხვიდე სამინისტროში, მტერი ბევრი გყავს და, მინისტრობით გამდიდრებულაო, იტყვიან... ამიტო პირველივე დღეს კაი ჩაცმულ-დახურული უნდა წახვიდე იქ... აგერ, მაგარი კოსტუმი და პალტო მოგიტანე, ჩაიცვი, მინისტრს რო ეკადრებოდეს-იქნება და ხვალ ისე გამოცხადდი სამსახურში.

... ყოველ წელს ორ-ორ საშემოდგომო გამოცდას აყოლებდნენ, მაგრამ პრაქტიკული ჭკუით ყველა ფრიადოსანს ჯიბეში ჩაგვისვამდა დათო ხოშტარია.

გაანათლოს მისი სული უფალმა!

*თამაზ კვაჭანტირაძე*

*12.10.13*

# ბიუროკრატიული ქცევის იშვიათი ნიმუში

გასული წლის „რეზონანსის“ 26 დეკემბრის ნომერში მე მივმართავდი პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარეს ბატონ ივანე კიღურაძესა და აწ განათლებისა და მეცნიერების ექსმინისტრს ბატონ გიორგი მარგველაშვილს თხოვნით, მოგვეწყო დისკუსია ქართული ისტორიოგრაფიის დღევანდელი სავალალო მდგომარეობის თაობაზე და, აქედან გამომდინარე, პრაქტიკულადაც რაიმე გვეღონა. ქართული ისტორიოგრაფია რომ სავალალო დღეშია, ამ გარემოებას ხაზგასმით აღნიშნავდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი თავის 2012 წლის საშობაო ეპისტოლეში. მეტიც, როგორც იქნა, ამას აცნობიერებს რამდენიმე ისტორიკოსიც.

რადგან ვიცოდი, რომ ოდენ გაზეთში დაბეჭდილი განცხადებით შესაბამისი სამინისტროს ბიუროკრატიას ვერაფერს შევასმენდი, მიმდინარე წლის 3 იანვარს ზემოთ ნახსენებ ორივე პირს უშუალოდ მივმართე. კერძოდ, სამინისტროში განცხადების რეგისტრაციისას მითხრეს, რომ პასუხს აუცილებლად შემატყობინებდნენ. გაიარა სამმა თვემ, მაგრამ ამ უწყებიდან არავინ შემომხმიანებია. ამიტომ მე თვითონ შევახსენე თავი: პირადად დავუკავშირდი სამინისტროს მეცნიერების სამმართველოს უფროსს, ბ-ნ ბუგზარ ჩიტაიას და შევხვდი ორჯერ სამინისტროს თითო თანამშრომლის თანდასწრებით. თითოეული შეხვედრა თითქმის ნახევარ საათს გრძელდებოდა და ამ პირადი შეხვედრებისას კვლავაც შევეცადე, ამეხსნა საქმის ვითარება.

რაც მართალია, მართალია, ყურადღებით მომისმინეს, თითქოს გამიგეს კიდეც და მითხრეს, რომ მინისტრის მოადგილეს დავით ზურაბიშვილს მოახსენებდნენ და მასთან დამაკავშირებდნენ. შევეცადე, ამ პირთან კონტაქტი დამემყარებინა მისი თანაპარტიელის მეშვეობითაც, მაგრამ არაფერი გამოვიდა. დღეისთვის, როგორც ცნობილია, დავით ზურაბიშვილის მინისტრის მოადგილეობამ ჩაილურის წყალი დალია. რასაკვირველია, თავი არ შეუწუხებია განათლებისა და მეცნიერების ყოფილ მინისტრსაც, ახლა რომ საქართველოს პრეზიდენტობისთვის იბრძვის.

შეგახსენებთ მეცნიერების შესაბამისი დარგის დავით ზურაბიშვილისეულ ხედვას. 1994 წელს მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიის ინსტიტუტის ეგიდით გამოცემულ კრებულში შესულ თავის ოპუსში იგი დიდი რიხით წერდა: „ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა მთელი სახელოვანი (!) კოჰორტა ერთად აღებული, აშკარად ჩამოუვარდება ოსვალდ შპენგლერისა თუ არნოლდ ტოინბის ნამოღვაწარს“ (იხ. წიგნი „ჭკუა ვაისაგან“, თბილისი, გვ. 12).

მეტსაც მოგახსენებთ. აქვე ვკითხულობთ: „დიდი ქართველი მეცნიერი“ (!) ივანე ჯავახიშვილი, რა თქმა უნდა, არ არის ტიტუს ლივიუსი და არც თეოდორ მომზენი“ (გვ. 12). მომდევნო გვერდზე კვლავაც აღნიშნულია: „ივანე ჯავახიშვილი არ არის დიდი მეცნიერი“ (სხვათა შორის, მსგავს სისულელეებს იგი როშავდა ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედების „შეფასებისას“. აღარას ვამბობ არჩილ ჯორჯაძის მისეულ შეფასებაზე). ყოველივე ამის შედეგად, „ბრძენი“ ავტორის აღიარებით, „აღარც წარსულის გვესმის და ვეღარც აწმყოში გავრკვეულვართ“ (გვ. 14).

აქ ადგილი არ არის შვჩერდე მსგავსი უაზრობების კომენტირებაზე (ამის თაობაზე ავტორს თავის დროზე საკადრისი პასუხი გავეცი). მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ, როცა საქმე შეეხო დღევანდელი ქართული ისტორიოგრაფიის სავალალო მდგომარეობის გამოსწორების მცდელობას, ამ ფანფარონს, როგორც ვხედავთ, თავი არ შეუწუხებია.

ცხადია, არა მაქვს იმედი იმისა, რომ შესაბამისი სამინისტროს პირობებში ჩემეულ წამოწყებას რაიმე პერსპექტივა ექნება. მიკვირს, ძალიან მიკვირს თუ რატომ წაუყრუა ყური ჩემს თხოვნას ბატონმა ივანე კიღურაძემ, რომლის მეცნიერობისა (მათემატიკის დარგში) და გულისხმიერებისა კვლავაც მჯერა. ნუთუ ამ შემთხვევაში თავი იჩინა კორპორაციულმა თანადგომამ კოლეგა აკადემიკოს-ისტორიკოსებისადმი?

დაბოლოს დავსძენ, განა ჩემი, ვფიქრობ, სავსებით საფუძვლიანი თხოვნისადმი ყურადღების მისაქცევად ხსენებული სამინისტროს შენობასთან მიტინგის ან უფრო მწვავე ღონისძიების ჩატარებაა საჭირო? ნუთუ ჩვენი ბიუროკრატიის (ამჯერად, უპირველესად, განათლებისა და მეცნიერების დარგებს ვგულისხმობ) გონებასიჩლუნგესა და ინერტულობას საზღვარი არ უნდა ჰქონდეს?!

იქნებ, ამ უმსგავსობას ხელი შეუშალოს ქართულმა საზოგადოებრიობამ (თუკი იგი რეალურად არსებობს)?!

*გურამ ყორანაშვილი*
*ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ყოფილი პარლამენტარი.*

**მკითხველთა საყურადღებოდ!**

გაზეთის გამოწერა უკვე შესაძლებელია. ამისთვის საჭიროა დარეკოთ ან მიაკითხოთ პრესის გავრცელების სააგენტოებს: საქპრესა (გურამიშვილის გამზ. №64, ტელ: 2 51 85 18), მაცნე (საირმის ქ. კორპ. №4, ტელ: 2 14 74 22), პრესექსპრესი (ი. ჯავახიშვილის ქ. №86, ტელ: 2 96 23 11), ჯეომედია (გ. ჩუბინაშვილის №50, ტელ: 2 95 51 70), პილონი (წერეთლის გამზ. №113, ტელ: 2 34 77 43), პრესა 2012 (წერეთლის გამზ. №142, ტელ: 2 34 09 35).

გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიში:
ქ. თბილისი სს „პროკრედიტბანკი“
კოდი: MIBGGE22
ანგ. № GE61PC0183600100029708

**გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.**
**რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**ძვირფასო ავტორებო!**

**რედაქციაში გამოსაქვეყნებლად მოტანილი ან გამოგზავნილი ტექსტი არ უნდა აღემატებოდეს A4 ზომის ოთხ კომპიუტერულ გვერდს!**

დაბეჭდილია შპს "ასავალ დასავალის სტამბაში"
მისამართი: თბილისი, აგლაძის ქ. 39
ტელ: 2343330; ელ. ფოსტა: print@asavali.ge

მთავარი რედაქტორი და გამომცემელი
**თამაზ წივწივაძე**

გაზეთი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით

E-mail: litsaqartvelo@yahoo.com
ტელ.: 293 69 77

გამოდის პარასკევობით